# არილი

№4 (167) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 8 მარტი

ფასი 50 თეთრი

1199
2001

#4
2001

# ჩვენი წლისავ



ეროვნული
ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

**არილი** - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

**არილი** - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე





**№4 ხუთშაბათი, 8 მარტი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


**იუბილე**

ზურაბ კიკნაძე
"არილი" ხუთი წლისაა ........ 1
ალექსანდრე გვახარია
ნოდარ კაკაბაძე
"არილი" - ჩვენი უმცროსი მეგობარი ........ 3
რევაზ სირაძე ........ 3
ანდრო ბუაჩიძე
"არილი" გუშინ და დღეს ........ 4
ლევან ბრეგაძე
ხუთი წლის "არილისათვის" ........ 5
ემზარ კვიტაიშვილი
მუდამ მიხარია იქ მისვლა ........ 6

**ლიტერატურა**

ზაზა თვარაძე
წითელი ძაღლები ........ 8
ბესიკ ხარანაული
შენია სული საქართველოსი ........ 13
მარგერიტ იურსენარი
OPUS NIGRUM ........ 15
ლელა სამნიაშვილი
ლექსები ........ 18
XX საუკუნის ამერიკული პოეზია ........ 19

**ედგარი არგენტინაში**

ხულიო კორტასარი
ედგარ პოს ცხოვრება ........ 25
ხორხე ლუის ბორხესი
ედგარ ალან პო ........ 28

**პერსონა**

მალხაზ ხარბედია
ლამბარენელი განდეგილი ........ 30
ალბერტ შვაიცერი
ჰუმანურობა ........ 31

**პუბლიცისტიკა**

ზურაბ ჭიაბერაშვილი
"დაკარგული ფასეულობების ძიებაში" ........ 33

**დამატება**

„არილის" ავტორები ........ 37
სპეციალური ნომრები ........ 40

# "არილი" ხუთი წლისაა

ზურაბ კიკნაძე

"არილმა" თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმე საფეხური გაიარა, რამდენჯერმე იშვა, რითაც მისი ორგანული ზრდა გამოიხატა. თავდაპირველად მან გაზეთ "კავკასიონის" ბუდეში დაიწყო მცირედ ნათება და მასთან იზრდებოდა. ეს მისი პრეისტორია იყო. ეს იყო ანამნეზისის ხანა, როცა "არილი" იგონებდა წარსულს გარდაუვალ ღირებულებათა წარმოსაჩენად. ამას ემსახურებოდა რუბრიკა "ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია". "არილი" იწვევდა მოაზროვნე საზოგადოებას ჩაბმულიყო იმ დისკუსიაში, თითქმის შვიდი ათეული წლის წინათ რომ წარმოშვა ნ. მინიშვილის "ფიქრებმა საქართველოზე", რადგან იმჟამად აღძრული მტკივნეული პრობლემა ჩვენს დროში არ განელებულა და ასეა დღემდე. "არილი" ცდილობდა, გამოეცადა თანადროული ძალები და თაობათა ამ გადაძახილით "დროთა კავშირი" შეეკრა. ჩავთვალოთ ეს მცდელობა იმ "არილის" ანდერძად ამ "არილისადმი". მისი იდეისა და სახელის ავტორი თ ურაზ მაღლაფერიძე ვერც წარმოიდგენდა "არილის დამოუკიდებელ არსებობას და, უფრო ნაკლებად, მის იმ შინაგან-გარეგან სახეს, რომელსაც დღეს ატარებს. თუ იმ "არილს", ერთადერთი ქართული თემატიკით შეზღუდულს, "უცხოთათვის" ფურცლები არ ჰყოფნიდა, დღევანდელმა შეძლო არცთუ ვიწრო ასპარეზი დაეთმო მათთვის.

"კავკასიონის" სხივი (არილი) თანდათან ძლიერდებოდა, ძალას იკრეფდა და, ბოლოს დაუდგა დრო, რომ დაეტოვებინა მშობლის სახლი და დამოუკიდებელ ცხოვრებას შედგომოდა, ანუ საკუთარი ნათების წყარო თავად გამხდარიყო. ის დაიბადა ჟურნალ-გაზეთების წარმოშობის ბუმსა და ორომტრიალში და ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი, საკუთარი ბილიკით სიარული, საკუთარი ხმისა და იერის მოპოვება, თვითდამკვიდრება და ა.შ. მაგრამ მას ელოდა თავისი საკუთარი მკითხველი.

სიდუხჭირესა და "ყვითელი პრესის" მეზობლობაში დაბადებულს დალხენილი ცხოვრება არ უნდა ჰქონოდა, არც ჰქონია, არც აქვს. ის შიმშილობს, თითქმის ჩაუცმელია ზამთარ-ზაფხულ. მისი გარეგნობა ის მაქსიმუმია, რომლის მიღწევასაც დღესდღეობით მისთვის ხელმისაწვდომი მასალა იძლევა შესამოსად. შინაგან სიმდიდრეს ის ღარიბული სისადავით და მოხდენილობით ატარებს. ის ფასიანიც ყოფილა, უფასოც, ისევ ფასიანი. იგი ჩვენი ცხოვრების სრული შესატყვისია. თუ ვინმეა დღეს თავისი დროების შვილი, ეს "არილია". მართალია, მას ატყვია დროების დაღი, მაგრამ დროებას მისი შინაგანი არსება არ შეუმღვრევია. ის ეკუთვნის მას და არც ეკუთვნის. იმყოფება მასში და გარედან ჭვრეტს მას. უკუღმართ ყოფას მისი ცნობიერება და სინდისი (შეგნება) არ განუსაზღვრავს. როგორც სულის აზნაური, ის განარჩევს წარუვალს წარმავალისგან, "სუსტისა და დღევანდელისგან", რომელიც ყოველდღე მოდის და ცდილობს დაიპყრას, დაუპყრია კიდეც, ადამიანის შეგნება და სინამდვილეში გაბატონებულა. ბანალურობისა და უხამსობის ბატონობის ხანაში "არილს" აქვს არა ვინმეს მიერ, ან საკუთარი თავის მიერ დაკისრებული, არამედ სპონტანურად აღმოცენებული, თანშობილი მისია, წინ გადაუდგეს ბანალობას და უხამს პრაგმატიზმს თუ პრაგმატულ უხამსობას. ჭეშმარიტ ღირებულებათა დამკვიდრებით ის წმენდს გარემოს არცთუ მცირე ფარგალში. ის იკავებს იმ სივრცის ნაწილს, რომლის ადგილზე სხვა არსება მოგვევლინებოდა - ლეგიონია მათი სახელი, "ნუ სცემ ადგილსა ბოროტსა უფლებად ჩემდა", ანუ ნუ მიუშვებ ბოროტს იმ ადგილზე, საიდანაც იბატონებს ჩემზე.

გასულ წელს, გასული საუკუნის უკანასკნელ წელს "არილი" ჟურნალად გარდაიქმნა. ეს იყო მისი მესამე დაბადება. ამ ახალ დაბადება-გარდაქმნაში მან შეინარჩუნა ინდივიდუალობა და დარჩა თავისთავადი, როგორიც იყო. გამოიცვალა სამოსელი, მაგრამ მისი მოყვასნი ადვილად გამოიცნობენ იმავე სხივს, გაძლიერებ;ულს ახალ საფარველში. და ის კვლავ თავისი თავისა და, აქედან გამომდინარე, თავისი მკითხველის ერთგული რჩება. ის კვლავ შემოქმედებით საზოგადოებაში ტრიალებს, იმავე ნაცნობ-უცნობს უწევს მეგზურო-




„არილი" 1994, „კავკასიონის" დამატება

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, შემოყავს ქართველი მკითხველის თვალსაწიერში, რომლის გაფართოება მისი მოწოდებაა.

ჟან ბოდრიარს, მარტინ ჰაიდეგერს, მ. სერგეი ბულგაკოვს, ჰენრი მილერს, ხორხე ლუის ბორხესს, სოერენ კირკეგორს, აიზაია (ესაია) ბერლინს, ერნსტ იუნგერს, ეჟენ იონესკოს, როლან ბარტს, უმბერტო ეკოს, ოქტავიო პასს, მიშელ ფუკოს, მარტინ ბუბერს და კიდევ სხვათ, მეტ-ნაკლებად განთქმულ და სმენილ სახელებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, შევხვდებით "არილში" - ზოგი მათგანი პირველად ესაუბრება ქართველ მკითხველს მის ენაზე. ვერ ვიტყვით, რომ მათი გამოჩენა ქართული პრესის ფურცლებზე ავსებდეს იმ სამარცხვინო ხარვეზს, რომლითაც შევდივართ მესამე ათასწლეულში და მაინც მათ მიმართ "არილის" ხელგაწვდა ნიადაგს გვიფხვიერებს. მის მცირე სივრცეში ხვდებიან ისინი ქართულ სახელებს. ისინი ერთმანეთის გვერდით მჭიდროდ თანაარსებობენ. ეს ისეთი სივრცეა, სადაც ყველა აზნაური თავს სამშობლოში იგრძნობს. სადაც კვლავ მტკიცდება ძველთაგანვე აღიარებული ჭეშმარიტება, რომ სიტყვის და აზროვნების ხელოვნება არც ესთეტურ და არც მენტალურ, არც დროულ საზღვრებს არ სცნობს. "არილი" მასპინძლობს მათ თავის რუხ ფურცლებზე (რომელთაც არც ერთი მათგანი არ იუკადრისებს), როგორც თანასწორთ, დარწმუნებული, რომ ისინი აქ ჰპოვებენ გამგებს, რომ არც ერთი სიტყვა ამაოდ არ დავარდება ქვეყანაში.

ქვეყნის ტოტალური კრიზისის პირობებში არათუ შესაძლებელი ყოფილა "არილის" არსებობა, როგორი ეფემერულიც უნდა მოჩვენებოდა მავან ნიჰილისტს თუ სკეპტიკოსს, - თუმცა "არილს" იმთავითვე ასცდა ირონიული: "კიდევ ერთი ჟურნალი?" - არამედ თავად კრიზისულ ვითარებას აუცილებლობით, პარადოქსულად უნდა წარმოეშვა იგი. მისი არსებობა არის პასუხი დროის გამოწვევაზე. როგორც ერთი მოაზროვნე ამბობდა საკუთარ თავზე, რომ მისი შემოქმედებითი აქტივობა სწორედ მაშინ იზრდებოდა, როცა არსებული რეალობა ყოველმხრივ ხელისშემშლელი უნდა ყოფილიყო, ასეა "არილიც". და კიდევ, როგორც სხვა ამბობს, რომ შემოქმედებით გაქანებას დაბრკოლება ესაჭიროება, როგორც ფრთების მოძრაობას - ჰაერი, ასევეა "არილიც". თუმცა არის უკიდურესი ზღურბლიც, რომლის იქით ყოველი შემოქმედებითი ძალისხმევა აზრს კარგავს, ჩერდება, როგორც საწვავდაშრეტილი ძრავი. ჩანს, ქვეყანაში იმ უკანასკნელი ზღურბლის დრო არ დამდგარა, ჯერ არ გამოჩენილა ეს ზღურბლი. ჯერ კიდევ შემორჩენილია შემოქმედებითი წყურვილი სხვა ღირებულებებთან ერთად. "არილი" და მისი დასი ამის დასტურნი არიან.

"არილი" თავისი გამძლეობით, რომელიც მის არა ნივთიერ, არამედ სულიერ ძალას ემყარება, - მიდის, შეიძლება ეცემოდეს, წამოდგება გამდიდრებული და საოცვლილი, კვლავ მიდის - იმასაც ადასტურებს, რომ მიუხედავად დღეს გავრცელებული, მოდურად ქცეული თავშიცემისა ("ვილუპებით!"), ქვეყანა მდიდარი ინტელექტუალურ-შემოქმედებით და ზნეობრივ ძალთა მრავალსახეობით გამოირჩევა, შესაძლოა, სწორედ ჩვენს ბედკრულ დღეებში უფრო მეტად, ვიდრე რომელსამე დალხინებულ დროში. "არილს" ჰყავს მუდმივი ავტორები, ისინი ენაცვლებიან ერთმანეთს, მეორდებიან, ჩნდებიან ახლები. ის მზად არის ამ მრავალსახეობის მისაღებად, ღიაა ყველასათვის, ვისთვისაც სიტყვიერება, ხელოვნება, აზროვნება თავისთავადი, იქნებ საკრალურიც კი, ღირებულებაა და არა საშუალება რაიმე გარეშე მიზნის მისაღწევად, რასაც ჩვენს დროში არცთუ იშვიათად ვაწყდებით. "არილის" კარი ღიაა კეთილმოსურნე კრიტიკოსათვის, გზას უხსნის კეთილშობილურ საქმიან დიალოგს, რომლის უკანასკნელი ნამცეცები, რაც კი შეიძლება შენარჩუნებულიყო, პირწმინდად იხვეტება დღევანდელი სამწერლო პრესის ფურცლებიდან.

როცა "არილზე", მის დანიშნულებაზე ვფიქრობ, მახსენდება ოციანი წლების ყოველთვიური "კავკასიონი" (ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება), რომლის ასპარეზად ერთადერთი წელიწადი - ტრაგიკული 1924 წელი აღმოჩნდა. დღეს იშვიათობად ქცეული მისი ორ ყდაში ჩასმული ოთხი ნომერი ქართული კულტურის ერთი მნიშვნელოვანი პლასტია. მან გამოავლინა არა მხოლოდ იმხანად არსებული ინტელექტუალური ძალები, არამედ პოტენციურად შეინახა მომავალიც. მისი რედაქტორის ჩანთა კვლავ სავსეა, როგორც მაშინ, დიდი იმედების ხანაში იყო სავსე. თუ ვინმეს მიუწვდება ხელი იმ ჩანთაზე, დღეს "არილია" და ეს არ უნდა ჩაგვეთვალოს მხოლოდ უსაგნო სურვილად.

დაბოლოს, რა არის ხუთი წელი? დღეს ეს ხუთი წელი გაცილებით დრამატულია და გარდაუვალ გარდაქმნათა მოლოდინით არის გაჯერებული, ვიდრე ილიას დროინდელი იდილიური ოთხი წელი. ჩვენ არ ვიტყვით, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, რომ "არილი" იმკის თავისი მუშაკობის ხუთ წელს. "არილი" აღვსილია იმ შეგნებით, რომ ინტელექტუალური შრომა ისეთი თესვაა, რომლის მოსავალი მუდამ ინაცვლებს ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. "არილმა" მხოლოდ ის იცის დაბეჯითებით, რომ მომდევნო ხუთი წელი მისთვის და მთელი საზოგადოებისთვის თვისობრივად განსხვავებული იქნება.

არილი



„არილი" - 1997-98, ზამთარის ძ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბეახარია
ნოდარ კაკაბაძე

# "არილი" – ჩვენი უმცროსი მეგობარი

სათაური არ გახლავთ შემთხვევითი. აი, უკვე მერამდენე წელია (ამბობენ ხუთი, თუმცა ჩვენ გაცილებით მეტი გვეჩვენება, იმდენად შევეთვისეთ მას), "არილი" მართლაც ჩვენი მეგობარია. ამ მძიმე წლებში, თანაც ჩვენს ასაკში, ახალ მეგობრებს ძნელად ირჩევენ, ძველს კი ადვილად კარგავენ. რაც შეეხება უმცროსს, აქ მის თანამშრომელთა და ავტორთა უმრავლესობის ასაკი იგულისხმება, თორემ თავისი სამეცნიერო-ლიტერატურული დონით "არილი" არავითარ შეღავათს არ საჭიროებს.

ყველაფერი კი ჩვენს მეხსიერებაში მომცრო ფორმატის სიფრიფანა გაზეთის ფურცლებით დაიწყო და თანდათან მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ერთმანეთს ნაცნობმეგობრებს ვუგზავნიდით უცნაური სახელწოდების მქონე გაზეთს (ეს მერე წაეწერა ჟურნალს: "არილი - დასასვენებელი სიწმინდეთანი" (საბა) და "არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი" (ქეგლ)), რომლის ავტორ-შემოქმედნი გამოირჩეოდ დახვეწილი გემოვნებით, ფართე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი თვალსაწიერით, სიახლის გრძნობით. საერთოდ არ ვართ პრესის (როგორც ახლა უწოდებენ - მასმედიის) ტრფიალნი, კარგად გვახსოვს მარინა ცვეტაევას ლექსი "გაზეთების მკითხველნი", რომელშიც გამასხრებულია ამ უქმი და ფუჭი საქმის გადაჭარბებულად მოყვარულნი (ისიც გვახსოვს, რა აღტაცებული იყო ამ ლექსით ზურაბ კაკაბაძე, რომელიც საერთოდ არ კითხულობდა გაზეთებს, თუ რაიმეა საინტერესო, ისედაც გავიგებო), მაგრამ "არილი" სხვა აღმოჩნდა...

ახლა ძნელია გაიხსენო წლებს გადევნებული ფურცლები. მაგრამ საერთო შთაბეჭდილება მათთან შეხვედრის სიხარულისა არ განელებულა. იყო ეს ზოგადი რუბრიკა "არილის" ლიტერატურული ფოტოგალერეა, როდესაც ყოველ ნომერს წამყვანი გმირი ჰყავდა (ჩვენი თუ უცხოელი) და მის გარშემო იყრიდა თავს წერილთა თუ მხატვრულ ნიმუშთა უმრავლესობა, თუ ცალკეული პუბლიკაციები ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ, თანამედროვე პრობლემებზე, ახალი ორიგინალური თუ ნათარგმნი პროზაული და პოეტური ნიმუშები, წერილები, ესეები. ყველაფერს აჩნდა სიახლის, ნიჭის, გულწრფელობის ბეჭედი.

ცოტა ხნის წინ (ვგონებთ, გასული წლიდან) გაზეთი უაღრესად სიმპათიურ ჟურნალად გადაიქცა იმავე სახელწოდებით. ძირითადი ტენდენციები და ხასიათი უცვლელი დარჩა, გაიზარდა საკითხთა წრე, დაემატა მშვენიერი პოლიტოლოგიური მასალა. დახვეწილი გემოვნებით გაფორმებული ყოველი ნომერი უკვე სასურველ და სეძებარ საჩუქრად იქცა ჩვენთვის (სამწუხაროდ, ზოგჯერ გამოცემის შეფერხებისა თუ გაყიდვის იშვიათ ადგილთა გამო, თორემ ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი დარჩა). შესანიშნავია ნომრები, მიძღვნილი ჯემალ ქარჩხაძისადმი (N 16), ზურაბ კაკაბაძისადმი (N 6), მერაბ მამარდაშვილისადმი (N 14), სპარსული პოეზიისადმი (N 15) და სხვა. ასევე საინტერესოა ახალი წლის ორივე ნომერი.

ვუსურვებთ "არილის" მესვეურთ (მთავარი რედაქტორი შადიმან შამანაძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე მალხაზ ხარბედია), მთელ მის მცირერიცხოვან თანამშრომლებსა და მრავალრიცხოვან ავტორებს (ვამაყობთ, რომ მათ რიცხვში ჩვენც მოვხვდით) მომავალ წარმატებას. ჩვენ კი მოუთმენლად დაველოდებით ახალ ნომრებს.

არილი



„არილი" 1998-2001, ფოტო კარი

რევაზ სირაძე

დღევანდელი ლიტერატურული გამოცემებიდან "არილი", ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა, თავისი მრავალფეროვნებით, სიღრმითა და სიახლეთა მოწოდების კულტურით.

მე მომსწრე ვარ "არილის" სულ პირველადი დაფუძნებისა, რაც მრავლისწილ თემურ მაღლაფერიძის დამსახურება იყო. "არილი" შემდგომ უფრო გაფართოვდა და დღეს იგი მრავალმხრივი გამოცემა გახდა.

ბევრი რამაა აღსანიშნავი, მაგრამ მთავარია სიახლენი და ის, რომ ამას ახორციელებს ახალგაზრდობა, თუმცა "არილის" ავტორობა სასურველია ყველა თაობისათვის.

"არილმა" ისეთი კარგი დონე შექმნა, რომ ეს მას ავალდებულებს შემდგომ თვითსრულყოფას.

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "არილი" გუშინ და დღეს

ანდრო ბუაჩიძე

"არილი" თანდათან იკრებდა ძალას, თანდათან ხვეწდა და სიმკვეთრეს სძენდა თავის სახეს. ეჭვი არ მეპარება, ეს პროცესი დღესაც გრძელდება და არც შეიძლება არ გაგრძელდეს, მაგრამ მე მინდა იმაზე ვილაპარაკო, რისი მომსწრეც უშუალოდ ვიყავი. თავდაპირველად "არილი" სულ რაღაც ორიოდე გვერდს იკავებდა და "კავკასიონის" შიგნით იყო ჩართული. "არილი" - "კავკასიონის" დამატება - ასე მოიხსენიებდნენ ამ ლიტერატურულ გვერდებს. მერე ლიტერატურამ უფრო მოზრდილი ფართი დაიკავა, დაბოლოს ცალკე, დამოუკიდებელ გაზეთად იქცა.

დამოუკიდებლობა პირველი ეტაპია თავისუფლებისა. "არილი" "კავკასიონისგან" დამოუკიდებელი კი გახდა, მაგრამ ის ახლა თავისუფალიც უნდა გამხდარიყო. საჭირო იყო რედკოლეგიის მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება, ტაქტიკური მონახაზის შედგენა, ზოგადი ორიენტირების მონიშვნა. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს იქნებოდა არა რაღაც ერთჯერადი აქტი, არამედ ხანგრძლივი, უწყვეტი პროცესი. ამ პროცესს რედაქციის წევრთა ლიტერატურული საუბრებიდან დაედო სათავე. საუბრები არ ყოფილა ერთი თემატიკით გარშემოწერილი, ათას რამეს ეხებოდა და სხვადასხვა საკითხებს მოიცავდა. აქ მთავარი გემოვნებათა თანხვედრა და განსხვავება, პერსპექტივების მოსინჯვა და საბოლოოდ საერთო დასკვნამდე მისვლა იყო. გარკვეული თანხმობის გარეშე სარედაქციო ჯგუფის მუშაობა შეუძლებელია, მხოლოდ ეს თანხმობა უნდა იყოს ბუნებრივი და არა ხელოვნური. სწორედ ამ ბუნებრიობამ იჩინა თავი მაშინ, როცა რედაქციამ თემატური ნომრების შედგენა გადაწყვიტა. თემატური ნომრები მიეძღვნა რუსულ მწერლობას და უილიამ ფოლკნერს. მოგვიანებით მომზადდა მწერალ ქალთა ნომერიც.

რა ნიშნით იყო საინტერესო მუშაობის ამგვარი მეთოდი? ჯერ ერთი, როგორც ვთქვით, ეს იყო ერთგვარი გზაჯვარედინი, სადაც უნდა შეჯერებულიყო მოვლენათა სხვადასხვაგვარი ხედვა და განსხვავებული გემოვნება. გარდა ამისა, თემატური ერთიანობა ეკლექტიზმის დაძლევის საშუალებას იძლეოდა. უნდა გამოკვეთილიყო მეტნაკლებად მკაფიო მიმართულება, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ესთეტიკური. ესთეტიკაში "არილის" გარეგნულ მხარესაც ვგულისხმობ - მასალათა განლაგებას, შრიფტის ნაირგვარობას, მხატვრული გაფორმების სხვადასხვა აქსესუარებს.

ჩემი აზრით, "არილი" წვეთიწვეთ, მოთმინებით აგროვებდა გამოცდილებას, რათა საბოლოოდ საკუთარი თავის ძირეული გადასხვაფერება მოეხდინა და მკაფიო სახე მიეღო. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ავტორთა მოქმედი ჯგუფის ჩამოყალიბება იყო. რედაქციაში თვითდინებით მოსულ ავტორთა უმრავლესობა ვერ პასუხობდა უკვე გამოკვეთილ მიზნებს და მოთხოვნებს. მოდიოდნენ და მოჰქონდათ ფსევდოპატრიოტული ლირიკა, სადაც იყო მტერთან ბრძოლა და ხმლების ჩახაჩუხი, ომახიანი შეძახილები და ვაჟკაცობის აპოლოგია. ყოველივე ამას ისეთი გაცვეთილი სტერეოტიპის თარგზე ჭრიდნენ, რომ საქმეში ოდნავ ჩახედულ მკითხველსაც კი ირონია მოეძალებოდა. ვინაიდან "არილი" მაღალმხატვრულობისთვის ზრუნავდა, ამგვარი ავტორების არიდება თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია. ეს კი არც ისე იოლი გახლდათ.

"არილის" რედაქცია თავდაპირველად პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, სკოლის შენობაში, მერე ბესიკის განახევრებულ ქუჩაზე დაიდო ბინა. ამჟამად ყოფილი ძერჟინსკის, ახლანდელი ინგოროყვას ქუჩაზე ბინადრობენ რედაქციის წევრები. ჰოდა, აი, სწორედ პეტრიაშვილზე იყო, ერთმა ნაპატივებმა, ღაჟღაჟალოყებიანმა მამაკაცმა რომ შემოაღო რედაქციის კარი. ხელში სქელი პორტფელი ეჭირა, სახეზე კი კმაყოფილება ჰქონდა აღბეჭდილი. ამ კაცში ძაფი ნერვისაც კი არ იყო პოეტის, მაგრამ თვითონ, როგორც ჩანს, ამას ვერ ხვდებოდა. პორტფელიდან ლექსები დააძრო და საქმიანი იერით გადმოგვხედა. რადგან უშუალოდ მე ვხელმძღვანელობდი პოეზიის განყოფილებას, პასუხსაც ჩემგან მოელოდა. ბევრი წვალება არ დამჭირვებია, გადავხედე თუ არა რამდენიმე ლექსს, ყვე-





„არილი" 1994-97, პეტრიაშვილის 6, შიდა კარი

ლაფერი ცხადი შეიქნა: უფრო დაბალი დონის წარმოდგენა გაგიჭირდებოდა კაცს. რითმა რითმას არ ჰგავდა, სტრიქონი სტრიქონს, როგორც იტყვიან, ჩემს წინაშე მძიმე სურათი იყო გადაშლილი. ყველაზე ამაზრზენი ის გახლდათ, რომ ამ მხატვრულ უმწეობას ფონად ომახიანი პატრიოტიზმი გასდევდა. ბევრი ვეცადე დამერწმუნებინა ავტორი ლექსების უსუსურობაში, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. მისი პასუხი ასე ჟღერდა: ეს ლექსები ყველას მოეწონა და თქვენ რატომ არ მოგწონთ, ჩემთვის გაუგებარიაო. "პატრიოტული ლირიკა", მიუხედავად იმისა, რომ შემოტევები გრძელდებოდა, არ დაბეჭდილა, თუმცა "არილს" საბოლოო გამარჯვებისთვის იმ ეტაპზე არ მიუღწევია. საჭირო იყო ხანგრძლივი მუშაობა, არა მხოლოდ "თეორიული", არამედ "პრაქტიკული", რათა ამ წყობის (საქმოსანი პატრიოტი) ავტორი აღარ გამოჩენილიყო რედაქციაში. დღესდღეობით ეს უკვე მიღწეულია და თუ გაზვიადებად არ ჩამითვლის ვინმე, უნდა ვთქვა: სწორედ ამგვარი ყალბი პატრიოტიზმის აღმოფხვრით უნდა დაიწყოს ყველა ლიტერატურულმა რედაქციამ მუშაობა, ვინაიდან ასეთი აშკარა გადმონაშთი კომუნისტური წარსულისა, მართლაც რომ იშვიათია.

"არილი" ორიგინალურ ლიტერატურასთან ერთად აქვეყნებს თარგმანებსაც. მთარგმნელობითი მუშაობა თავიდანვე იყო "არილის" "სტრატეგიული მიმართულება". მთელი ხუთი წლის მანძილზე იბეჭდებოდა როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები. ბევრი ისეთი ავტორი ითარგმნა და გამოქვეყნდა, რომელიც მანამდე საერთოდ არ იყო ქართულ ენაზე თარგმნილი.

მე მიმაჩნია, რომ არილმა" სადღეისოდ სასურველ დონეს მიაღწია. აქ იგულისხმება უკვე ჟურნალის და არა გაზეთის თემატური მრავალფეროვნება, მხატვრული გაფორმება, საერთო მკაფიო ხელწერა, გემოვნება, ერთხელ არჩეული გეზის ერთგულება. ძნელი სათქმელია, რა იქნება ხვალ, მაგრამ, ჩემი აზრით, უკვე მიღწეული დონე უნდა გაღრმავდეს და არჩეულ საკითხთა წრე გაფართოვდეს.

**არილი**

ლევან ბრეგაძე

# ხუთი წლის "არილისათვის"

მაქვს პატივი, ვითვლებოდე ადრე გაზეთ, ახლა ჟურნალ "არილის" ერთგულ მკითხველად, ავტორად, გულშემატკივრად. მეც მის კვალდაკვალ გამივლია ის მარშრუტი, რაც ჩვენგან უდროოდ წასული მწერლის, მეცნიერისა და პედაგოგის თემურ მაღლაფერიძის მოწადინებით ხუთი წლის წინ დაარსებულმა "არილმა" თავშესაფრის ძებნაში გაიარა: პეტრიაშვილის ქუჩა - ბესიკის ქუჩა - ინგოროყვას ქუჩა.

1997 წლის გაზაფხულზე ერთი სტატია გამოვაქვეყნე "არილში" სათაურით "ხადლეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება", რომლის გამო გამოხმაურებები - დადებითიც და უარყოფითიც - დღემდე გრძელდება.

"არილში" შედგა ჩემი ვაჟის მთარგმნელობითი დებიუტი ჰერმან ჰესეს "ევროპელის" პუბლიკაციით.

მარტო ეს ორი ფაქტიც საკმარისი იქნებოდა, "არილის" მიმართ ჩემი სიმპათიების ასახსნელად. მაგრამ მთავარი სხვა რამ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ "არილი" მაქსიმალურად არის განრიდებული ბანალობას, უფერულ საშუალობას; შეიძლება აღფრთოვანდე იმით, რასაც მასში წაიკითხავ, შეიძლება აღშფოთდე იმით, რასაც მასში წაიკითხავ, მაგრამ გულგრილი არ დარჩები.

როცა "არილში" კარგ ლექსს, მოთხრობას, თარგმანს, კრიტიკულ წერილს ვკითხულობ, მიხარია, მაგრამ არ მიკვირს. ის, რაც თან მიხარია, თან მიკვირს, გახლავთ ჩინებული პოლიტიკური პროზა, ყოველ ნომერში რომ გვთავაზობს ჟურნალი "არილი" და რომლის ტრადიცია, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ არ გვქონია (გთხოვთ, პოლიტიკური პროზა პუბლიცისტიკაში არ აურიოთ - ის ცოტა სხვა რამეა). მხედველობაში მაქვს ვასილ მაღლაფერიძის, დავით ზურაბიშვილის, სოზარ სუბელიანის და მეტადრე ია ანთაძის თხზულებანი. ამ ხარისხის პოლიტიკური პროზით არათუ ჩვენი, უცხოეთის ბევრი ცნობილი ჟურნალ-გაზეთი ვერ დაიკვეხნის! (და კიდევ ერთი რამ მაკვირვებს მათი კითხვისას: როგორ შეიძლება ესოდენ გაჭირვებული იყოს ქვეყანა, სადაც ასე ჭკვიანი ადამიანები ცხოვრობენ!).

იკითხეთ "არილი"!

**არილი**



„არილი" 1997-98, ბესიკის 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# მუდამ მიხარია იქ მისვლა

Cხოვრების დაღმართზე უფრო და უფრო საგრძნობი ხდება, როგორი ულმობელი სისწრაფით მიექანება დრო. ამქვეყნიური ამაო ჭაპანწყვეტა არც გაცლის, რომ დღეთა თავბრუდამხვევ მდინარებას დააკვირდე ანდა გულმშვიდად მიიხედო უკან. უკვე ხუთი წელი გვაშორებს „არილის" პირველ ნომერს. თავიდან იგი გაზეთ „კავკასიონის" ჩანართი იყო; მეორე წელია, ჟურნალის ფორმა და იერი მიეცა. ფერისცვალება ფეხბედნიერი აღმოჩნდა – ჟურნალად მოვლენილი, ადრინდელზე გაცილებით მიმზიდველი და პოპულარული გახდა, იმრავლეს მისმა მკითხველებმა. უმეტესობა, ცხადია, ახალგაზრდობაა, მაგრამ ლიტერატურის, ხელოვნების სიყვარულს ასაკი და ხანდაზმულობა ვერ დააბრკოლებს.

„არილის" სათავესთან ჩემი უნივერსიტეტის მეგობარს, ნაადრევად გარდაცვლილ მშვენიერ მწერალსა და იშვიათი სიკეთის ადამიანს თემურ მაღლაფერიძეს ვხედავ. ეს მოხდენილი, პოეტური სახელწოდებაც, ვგონებ, მისი შერჩეულია. რამდენჯერმე მთხოვა, ამოდი (რედაქცია იმხანად პეტრიაშვილის ქუჩაზე იყო, სკოლის შენობაში), ვატა როდონაიაც იქ არის, ნიჭიერმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი, გვერდით დავუდგეთო. მართლაც ძალზე სასიამოვნო აღმოჩნდა იქ ყოფნა. სხვა სული ტრიალებდა, კედლებიც სხვანაირად იყო მორთული. მეც ჩამაბეს მუშაობაში. ვატამ რამდენიმე წერილი დამაწერინა, რისთვისაც დიდად ვემადლიერები.

დროდადრო „არილში" ქართველ პოეტთა (გარდაცვლილთა და ცოცხალთა) რჩეული ლექსები ქვეყნდებოდა, თითო გვერდი ეთმობოდა თითოეულ ავტორს და მცირე წინათქმაც ახლდა. მე მთხოვეს ამ გვერდების შედგენა (ზოგჯერ სხვებიც მენაცვლებოდნენ) და მცირე წერილების წამძღვარება. კარგა ხანს ვაკეთებდი ამას, სანამ რედაქციამ თავად არ გააუქმა ეს რუბრიკა, მაგრამ „არილთან" თანამშრომლობა არ შემიწყვეტია.

ერთხელ, აპრილის მზიან დღეს, თემურ მაღლაფერიძე მელიქიშვილის ქუჩაზე შემხვდა. აშკარად უგუნებოდ იყო, დაღლილობასაც უჩიოდა (სადოქტორო ნაშრომი ახალი დამთავრებული ჰქონდა). რად მოვიკალით თავი ამ დამოუკიდებლობისათვის, თუკი ერთმანეთს დავჭამდით, ვერაფერს ვერ შევიღირსებდითო, შემომჩივლა. მერე მთხოვა, რედაქციაში ავყოლოდი. ტაატით ავუყევით პეტრიაშვილის აღმართს. მაღალი, ქუჩისკენ გადმოხრილი, სუროთი ტანშებურდული ჭადრები ჩვილი ფოთლებით მწვანედ იყო დაწინწკლული. ჩემი მეგობარი თურმე უკანასკნელად ავლებდა თვალს უცნაურად გადახლართულ ტოტებს. თემოს რაღაცნაირი წარმართული გზნებით უყვარდა ხეები. მახსოვს, ნასვამი იჩოქებდა ხოლმე ლამაზი ხეების წინაშე და მათი სიწმინდის, უცოდველობის გამო ჰკოცნიდა კიდეც... რედაქციის კარი როცა შევაღეთ, ბიჭებს სთხოვა, თქვენს გახარებას, ლუდი დაგვალევინეთო (ეტყობოდა, დაგულებული ჰქონდა). მაშინვე გამოგვიტანეს. ძალიან გვესიამოვნა ცივი ჩეხური ლუდი. მე მალე წამოვედი. ორი თუ სამი დღის მერე მისი უეცარი სიკვდილი შემატყობინეს. ხშირად ვიგონებ, მენანება. ბევრი განუხორციელებელი ჩანაფიქრი ჩაიყოლა ამ მრავალჭირნახულმა კაცმა საფლავში. უთუოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ „არილს" იმთავითვე ჭირისუფლობდა და ამჟამადაც ერთგულად მეურვეობს თემურ მაღლაფერიძის ვაჟი ვასილ მაღლაფერიძე. მე კარგად ვიცი, თუ რა დიდი ტრადიციების წმინდა ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ვასიკო და ჩემთვის ძალზე გულსატკენი იქნება, საბოლოოდ, იგი თუნდ ერთ ქართველ მწერალსაც რომ დაუპირისპირდეს.

დღესდღეობით მრავალი (მათ შორის, სალიტერატურო) გაზეთი და ჟურნალი გამოდის საქართველოში, მაგრამ „არილი" ყველასაგან განირჩევა, სარედაქციო პოლიტიკა იქნება, დიზაინი თუ თვალსაწიერი. აქ ნაკლებად ფიქრობენ ვინმესთან დაპირისპირებაზე, იმაზე თუ ვინ ვის ბანაკშია (რა ბანაკობანა აგვიტყდა ამ ისედაც განეწილ, გაუბედურებულ ქვეყანაში), ქართველ მწერალთა კავშირს არ უყურებენ, როგორც საბჭოეთის გადმონაშთს და, საერთოდაც, ასაკობრივი მიჯნით არ აცალკევებენ მწერლებს; მთავარია, ვინ როგორ წერს და რამდენად გამოსადეგ, საჭირო მასალას შესთავაზებენ მათს ჟურნალს. რედაქციის ამგვარ მიმართულებასა და განწყობას, ძირითადად, განსაზღვრავს, ჩვენი ახალგაზრდული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის, ჟურნალის მთავარი რედაქტორის შადიმან შამანაძის პიროვნული თვისებები. იგი მუდამ სიახლეს, ახალ თემებსა და ახალ ავტო–



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ეძებს, ცდილობს, არ გამორჩეს დღევანდელი მსოფლიო ლიტერატურისათვის, კულტურისათვის ნიშნეული რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა თუ მიმდინარეობა - ჟურნალის თემატურად მრავალფეროვან ნომრებში უხვად არის წარმოდგენილი ცალკეული გამოჩენილი მწერლებისა თუ ფილოსოფოსების, კულტურის სხვადასხვა მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ორიგინალური თუ თარგმნილი მასალები. "არილის" წარმატებაში ასევე დიდი წვლილი შეაქვს მთავარი რედაქტორის მოადგილეს, მრავალმხრივ განათლებულ, დახვეწილი გემოვნების მქონე ახალგაზრდა ლიტერატორს, საუცხოო ესეების ავტორს მალხაზ ხარბედიას. სასიხარულოა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხარდამხარ "არილის" საკეთილდღეოდ ასე ნაყოფიერად იღვწიან ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდები - თამაზ ვასაძე, დათო ანდრიაძე, ზაზა ჭილაძე, ანდრო ბუაჩიძე, ირმა არჩუაშვილი, ია ანთაძე, ირაკლი სამსონაძე, ზაზა თვარაძე და სხვები.

"არილი" ზოგიერთი გალაქული ჟურნალივით თავბრუდამხვევი რეკლამებით არ არის განებივრებული (ეს მას არც ესაჭიროება); ფულებში ჩაფლულ უნიჭოთა და უგულოთა ხელში, უმაღლ[illegible]ი ხარისხის ქაღალდზე ფერადი ბეჭდვაც და დიდ-დიდი ჰონორარებიც რომ ვერ შველის საქმეს, ამისი მოწმეც ხშირად ვართ. დაე, კვლავაც უბრალო საგაზეთო ქაღალდზე იბეჭდებოდეს "არილი", ოღონდ ახალგაზრდული შემართება და მიმზიდველობა არ დაკარგოს. მე მსიამოვნებს, რომ ამ მშვენიერი ჟურნალის მკითხველიც ვარ და ავტორიც. მკითხველი უფრო ადრე ვიყავი, მერე ავტორიც გავხდი. ახლა ორივე ვარ და მინდა დიდხანს გაგრძელდეს ეს კეთილი ურთიერთობა თუ, რა თქმა უნდა, ღმერთმაც ინება. "არილში" რაიმეს დაბეჭდვა სხვანაირ, გამორჩეულ სიხარულს მანიჭებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩემი მოკრძალებული პროზაული ცდები შარშან მაინცდამაინც "არილს" შევთავაზე.

მრავალი რამის და, უპირველეს ყოვლისა, სითამამის, დაუცხრომელ ძიებათა გამო მომწონს "არილი". მუდამ გულისყურით ვკითხულობ ყოველ ნომერს. ზოგიერთი სურვილი თუ შენიშვნა ნამდვილად შეიძლება აღგძრას. ფორმის კლასიკურ სისადავესა და ნატიფობას, ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ექსპერიმენტულობის თვალსაზრისით, ზოგჯერ შეიმჩნევა ერთგვარი გადამეტება პოეზიასა და, ნაწილობრივ, პროზაშიც, მაგრამ ეს ახალგაზრდა ავტორთა მიმართ უთუოდ რედაქციის კეთილი განწყობის გამოხატულება გახლავთ და, ამდენად, გამართლებაც მოეძებნება.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო - "არილი" არავის ღვაწლსა და თავდადებას არ ივიწყებს, ყველას ფასი და მნიშვნელობა იცის. მახსოვს, რა მღელვარება დამეუფლა, როდესაც შარშან, გაზაფხულზე (ეს იყო 2000 წლის 12 მაისი), პირველად ავიღე ხელში ჩემი ახალგარდაცვლილი მეგობრის, ბრწყინვალე ქართველი პოეტის გივი გეგეჭკორისადმი მიძღვნილი ნომერი. შემკრთო გარეკანზე აღბეჭდილმა გივის ნაღვლიანმა, ოდნავ ღიმილშეპარულმა გამოხედვამ, გამახსენდა წვრილთვალა ჯაჭვის პერანგივით ნაქსოვი მისი შალის სვიტერი, აქ რომ აცვია. ამ ფოტოს რომ ულებდა ერთი ნაცნობი წლების წინათ, მის გვერდით ვიდექი. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას მერე და ახლა ქვესკნელის მდინარემ გაიყოლა ჩემი უსაყვარლესი ძმა. შინ მისულმა პატარა, ნაუცბათევი ლექსი დავწერე - "ქაღალდის ჯვარცმა". არსად არ გამომიქვეყნებია, აქ მინდა მოვიტანო; უბრალოდ არის ნათქვამი ახალი თაობის, კერძოდ "არილის" მესვეურთა მეტად თბილ დამოკიდებულებასა და სიყვარულზე ამ სანთელივით წმინდა კაცისადმი:

გრძელ სტენდზე გამოტანილი,
დღეს დავინახე "არილი",
ზედ შენი სახე დავლანდე,
ბედნიერ-გაუხარელი.

ამ ქვეყნად მადლი დატოვე,
აწ სულეთიდან ირჯები;
დაკარგავს შენსას ნწუხან და
გეფერებიან ბიჭები.

* * *

ამჟამად "არილის" რედაქცია სოლოლაკში, ინგოროყვას ქუჩაზეა (N5). ამ სახლში ადრე ძმები, ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეები ცხოვრობდნენ. მწერალთა კავშირიდან მომავალს, ხშირად იქეთკენ მიმიწევს გული. რამდენიმე საფეხურს ჩავივილი. ზედა კიბის ქვეშ, ფასადს მიბჯენილი, პატარა, ტლანქი თაღი ირკალება. ღია ყავისფერად შეღებილი ყრუ კარები, თავიდან ბოლომდე, წვრილი ფიცრებითაა დაღარული (ფინური სახლი გაგახსენდება). ვიცი, მარჯვენა მხარეს უნდა დავაჭირო ზარს თითი (მარცხნივ მობინადრე ცხოვრობს). იქ მუდამ გულღიად და ღიმილით გეგებებიან. არავითარი დაცვა არ უყენიათ და არც საშვს მოგთხოვს ვინმე. იღება კარი და პატარა დერეფანს გაივლი. არცთუ ნათელი ოთახი მიწის პირზეა, მაგრამ სიმყუდროვე არ აკლია. მიმოიხედავ და მაშინვე სასურველ გარემოში მოხვდები. სკამს შემოგთავაზებენ. ირგვლივ ისეთი ფუსფუსი და საქმიანი ატმოსფეროა, გერიდება, მასპინძლები მუშაობას არ მოაცდინო, თუმცა ამას არავინ გაგრძნობინებს, პირიქით, ცდილობენ გაგართონ, რაც თავად გაინტერესებს და გსიამოვნებს, იმაზე გაგიბან საუბარი. მე მუდამ მიხარია იქ მისვლა. მგონია ახალგაზრდობა მიბრუნდება.

ხუთი წელი შესრულებია "არილს". ვისურვოთ, კიდევ უფრო ემრავლოს "არილის" ტირაჟს, გამრავლებულიყვნენ მისი მკითხველები. ეს თვით საქართველოს გამრავლება და გადარჩენა იქნება. ვისურვოთ, სულ მალე "არილს", სარჩევის თავში, აღარ დასჭირვებოდეს დაბეჭდვა ჩვენი სამშობლოს რუკის შავი გამოსახულებისა, რომელსაც ჩრდილოეთისკენ მიქცეული ნაწიბური (აფხაზეთი) განზე გასერილი და ჩამოკვეთილი აქვს; აღარ დაგვჭირვებოდეს იმ რუკაზე წარწერილი, ყველა ჩვენთაგანისათვის უზმოდ ტკივილიანი მოწოდება - "გახსოვდეს აფხაზეთი!" - დამცირებულებს და შეურაცხყოფილებს იმდენი შეგვძლებოდეს, დაგვებრუნებინოს უკეთურთაგან ყაჩაღურად წაგლეჯილი ქართული მიწები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ფიზიკურადაც და სულიერადაც გამთლიანდე[illegible] ჯვარცმული საქართველო, გადამთიელებს არ წავაბილწინოთ წინაპართა საფლავები...

ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ განვლილზე, გარდასულზე. გუშინდელ დღესავით მახსოვს ჩემი სიყმაწვილე. გული და ხასიათი იგივე შემრჩა. ალბათ ამის გამო არის - ვერც გავიგე, ისე ვერაგულად მომეპარა სიჭარმაგის ჟამი. თაობები ენაცვლებიან ერთმანეთს ("ერთი წავა და სხვა მოვა"...). ღვთის ნებით შექმნილ უსასრულო სამყაროში არაფერს და არავის ძალუძს ელვის სისწრაფით მსრბოლავი დროის შეჩერება. წლებს წინ ვერაფერი დაუდგება. ერთი რამ კი უნდა გვახარებდეს და გვანუგეშებდეს - "არილი", როგორც სიჭაბუკის ერთ-ერთი ლამაზი კერა და ნიჭის საასპარეზო, მუდამ ახალგაზრდული იქნება, არასოდეს დაბერდება. სწორედ განახლების მარადიულმა სასწაულმა, უბერებლობის უკვდავმა შეგრძნებამ ათქმევინა პოეტს: "რა ახალია ეს დედამიწა!"

ზაზა თვარაძე

# წითელი ძაღლები

ამ დღეს ქალაქს წითელი ძაღლები შემოესიენ - წითელი ძაღლები - დჰოლები.

მე კოჯრის გზით ვეშვებოდი ქალაქისკენ. კომკავშირის ხეივნის კარიბჭეს გამოვცდი და მოკლეზე ჩავჭერი - ბაღებით, დავითაშვილის ქუჩამდე.

საღამო იყო და სოფელ წავკისიდან ვბრუნდებოდი. იქ ამ ათი წლის წინ ჯერაც გვქონდა სახლი და დიდი ეზო. მაგრამ სახლიც და ეზოც გავყიდეთ. სწორედ იმ წელს მოვიყვანე ცოლი. წავკისის სახლში აღებული ფული - ჩემი წილი - კარგა ხანს მეყო. მერე კი ცოლსაც დავშორდი და ვცხოვრობდი მარტო. ახლაც მარტო ავედი ჩვენს ყოფილ სოფელში - სერპანტინისებრი დახვეული გზით. შევხედე სოფელს და იმავე გზით დავბრუნდი უკან. 10 წლის მანძილზე სოფელი შეცვლილიყო და გალამაზებულიყო. თხელ სინათლეში ლაპლაპებდა ხეებში ჩაფლული სახლების სახურავები. ვიგრძენი რომ იქ რაღაც ჩამრჩა - რისი ამოცნობაც ვერ მოვასწარი და ვერც ვერასოდეს მოვასწრებდი. ფეხით დავეშვი ოქროყანისკენ. მივუყვებოდი ტერასებს და ტერასებს. ოქროყანასთან პირდაპირ სასაფლაოზე გადმოვჭერი. აქ იყო ქვის ჩაჟანგული ფილები და ორიოდე ახალი ჯვარი. ზოგიერთ საფლავის ქვას ძლივს ემჩნეოდა ოდესღაც ამოკვეთილი ეპიტაფია. მაგალითად ასეთი: "ვიყავი. მოვკვდი, ეხლა არ ვიცი სადა ვარ". ან - "ვჭამე და ვსვი, დრო გავატარე. მნახველო, შენ მანდიდან დამლოცე, მე აქედან შემოგიკურთხებ". ან - "ქალები მიყვარდა, სმა და დუდუკი. ახლა აქ ვლპები. ომარი".

მზე ჩავიდა.

უკვე ბნელდებოდა, როცა დავითაშვილის ქუჩაზე შევაბიჯე. უცნაურია, ეს ქუჩა ყოველთვის მოასფალტებული მახსოვდა, ახლა კი ქვით მოკირწყლული დამხვდა. ტროტუარის კიდესთან მცირე წყალაკი მირბოდა. ორსართულიანი ფსევდოკლასიკური შენობები გაუნძრევლად იდგნენ, როგორც ყოველთვის. ყველა კარი მტკიცედ იყო ჩარაზული. ზოგი ფანჯრიდან გამოდიოდა მოწითალო შუქი, რომელსაც კიდევ უფრო აწითლებდა და ამუქებდა სქელი შტორები.

უცნაურია - გავიფიქრე - სად არის ხალხი?!

სწორედ ამ დროს დავინახე ადამიანი. ვიღაც ბოგანო. შუა ხნის ბინძური კაცი, გაჩეჩილი წვერ-ულვაშით, დაბებკილი ძონძებით.

- წითელი ძაღლები! - მივუახლოვდი თუ არა, უაზროდ შესძახა, თითქოს ოდესღაც შეწყვეტილ დიალოგს განაგრძობდა - ქალაქს წითელი ძაღლები შემოესივნენ!

- რა წითელი ძაღლები? - შევჩერდი და ისე ვკითხე.

- წითელი ძაღლები! - შესძახა, - დჰოლები! - და მერე მძაღე ხითხითით დაამატა - უთვალავი არიან! ერთიანად გადასჭამენ აქაურობას!

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, იქვე მოცელილივით დაეცა და ხრინწიანი ხვრინვა ამოუშვა.

მიმოვიხედე. ჰაერში მართლაც იგრძნობოდა რაღაც ავისმომასწავებელი. შენობებსაც ავბედითი ელფერი გადაჰკრავდა. კარგა ხანს ჩქამი არ ისმოდა, მხოლოდ ბოგანოს ხვრინვა და წყლის ლიკლიკი ფილაქანზე. მერმე სადღაც შორს ეულად შეჰყეფა რომელიღაც ეულმა არსებამ. სახლის ფასადებს მანქანის ფარების დიდი შუქი აეფარა და ჩვენგან ქვემოთ, ოციოდე ნაბიჯზე, ხრჭიალით დაამუხრუჭა დიდმა ბეემვემ. წინა ფანჯრიდან შემელოტებული თავი გამოყო უცნობმა ახალგაზრდამ.

- გურამ! - ასძახა აივნებს.

- რა იყო! - გაისმა პასუხად და მეორე სართულის აივანზე გურამი გადმოდგა.

- ძაღლები, ბიჭო! ძაღლები შემოგვიცვივდნენ! შენები სახლში გყავს? - დაიყვირა მანქანის პატრონმა. შუბლზე ოფლი სდიოდა.

- ვიცი! ყველანი სახლში მყავანან. შენც სახლში გავარდი, ბესო, იარაღს მოკიდე ხელი! - დინჯად და ნერვიულად გადმოსძახა ძმაკაცმა ძმაკაცს.



- ვაი, ბიჭო! - ბესომ ვიღაცას თუ რაღაცას შეუკურთხა და მოწყვეტით დაძრა ბეემვე.

"აჰა! ესე იგი, მანქანის პატრონს ბესო რქმევია!" - რატომღაც კმაყოფილებით გავიფიქრე და ენგელსისკენ ჩაქროლებული მანქანის უკანა წითელ ფარებს გავადევნე მზერა.

წამის შემდეგ ქუჩა ისევ ისეთი ჩუმი და ცარიელი იყო. ბინდში სახლები კვლავ ზედმიწევნით ჩუმად ზიმზიმებდნენ. როგორც იბერიული ველური კერპები წმინდა ნინოს შემოსვლამდე. ცაცხვის თუ აკაციის ძირას ისევ ის ბოგანო იწვა და უგონოდ ხვრინავდა.

ამ ყველაფერში იყო რაღაც დაუჯერებელი. წითელი ძაღლები! დჰოლები! უცნაურია. ისინი მე ყოველთვის მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფად მიმაჩნდა. მწერლის - კიპლინგის. მის "ჯუნგლის წიგნში" დჰოლებს საკმაოდ კონკრეტული და გამჭვირვალე სიმბოლური დატვირთვა ენიჭებათ. მაგრამ დღეს? აქ? ვარსკვლავიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის ქვეშ, გორგასლის დაფუძნებულ თბილისში? ხომ არ შეიძლება, კიპლინგის ფანტაზიის ნაყოფი უეცრად მატერიალიზებულიყო და ქალაქში შემოჭრილიყო. მით უმეტეს, რომ კიპლინგი კარგა ხანია გარდაიცვალა. არა. ჩანს, რაღაც უფრო ჩვეულებრივთან უნდა მქონოდა საქმე. ეს ალბათ ჩვეულებრივი ძაღლებია. ეტყობა, ამ კაცმა, ამ ბოგანომ, ადრე, ოდესღაც, როცა ჯერ კიდევ კეთილშობილი კაცის სახელი ჰქონდა, როცა ჯერაც არ იყო გალოთებული, კიპლინგი წაიკითხა. მას შემდეგ შემორჩა მის ცნობიერებას ეს სახელი და ახლა ახირებულმა ლოთურმა ფანტაზიამ "დჰოლები" და "ძაღლები" ერთმანეთს დაუკავშირა. იყო ამაში რაღაც ირონიული. აი, ტროტუარზე წევს და ხვრინავს გალეშილი კაცი, რომლის ფანტაზიამაც ჩვეულებრივი უპატრონო ძაღლები დჰოლებად აქცია. და ამ მეტამორფოზას სრულიად თბილისში მიეცა რეზონანსი! - ქალაქში, რომელსაც ძაღლები შემოესიენ.

უეცრად თვალწინ დამიდგა ოფლის წვეთები ბესოს შუბლზე და მთელი სიგრძე-სიგანით გავაცნობიერე - ეს ხომ ძაღლებია! ქალაქიდან განდევნილი მაწანწალა ძაღლების მრავალრიცხოვანი ხროვები. დამშეული ქოფაკების დიდი ურდოები. ისინი ალაჰმა უწყის როგორ, დაირაზმნენ და ერთად შემოესივნენ ქალაქში, რათა შეჭამონ ყველა და ყველაფერი, რაც კი გზაზე დახვდებათ - ნაგავი, ვირთხები, ადამიანები, თვით ქუჩის მაწანწალა ძაღლებიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ბოლომდე მაწანწალა და ბოლომდე წითელი. ველური ქოფაკები მათაც დაჭამენ - ამ უსუსურ, ქეციან ძაღლებს, რომლებსაც მხოლოდ ის შეუძლიათ, მარტოხელა გამვლელი დაკბინონ, ან ზამთარში, შიმშილით გაბოროტებულებმა, დიდუბის გამოფენასთან მცირეწლოვანი გოგო დაგლიჯონ. სიპარტახე და განადგურება - აი, რა დაისადგურებს ქალაქში მათი თარეშის შემდგომ. გადარჩენილი ადამიანები შიშით ამოაღებენ სარდაფის კარებს და დილის უსულგულო ცივ ნათელს ახედავენ.

ეს ყველაფერი სწრაფად გავაცნობიერე. მაგრამ არ შემშინებია. მხოლოდ მომაგონდა ალა მაჰმად ხანის ლაშქრობა თბილისზე 1795 წელს. მაშინ ერეკლე 76 წლის იყო, ალა - 78-ის. ორი ბერიკაცის უკანასკნელი დიდი ომი. ერეკლემ კრწანისთან ოთხ რიგად განალაგა სანგრები. მესამე სანგარზე თვით ერეკლე იდგა. მეოთხე ბასტიონის შიგნით და შიგნით - მეზარბაზნეები. ზურგში, სოლოლაკის ქედის მისადგომებთან, კოჯრის გზაზე - იმერლებისა და მოქალაქეების ჭრელი ლაშქარი. სწორედ ამ მხრიდან შემოაღწია მტერმა. თბილისის მოქალაქეები ლუტუები თუ ლოტები (მათი სახელი შემორჩა ლოტკინის გორას) - მწყერებივით დაიფანტნენ. ბებერმა ალამ მარტოდმარტო, ცხენდაცხენ გადაცურა ადიდებული მტკვარი, მეტეხის სიმაღლიდან მოავლო თვალი მოწინააღმდეგის განლაგებას და ისევ უკან გამოვიდა. სწორედ ამ მოქმედებამ გადაწყვიტა ბრძოლისა და მთელი სამეფოს ბედი. და კიდევ რაღაც ღალატმა, რომელიც დღემდე ზუსტად არავინ იცის, რაში მდგომარეობდა. რაც უნდა ყოფილიყო, ფაქტია - ბრძოლისუნარიანი ჯარის უდიდესი ნაწილი ომში არ ჩაება. გამოსული იყვნენ მოქალაქეები - ხელოსნები, ვაჭრები, თვით მსახიობებიც კი. მსახიობი მაჩაბელი იბრძოდა და მღეროდა. ეს სიმღერა დღესაც აირეკლება თბილისურ პოეზიაში. თუმცა ღალატმა მაინც თავისი ქნა.



გამახსენდა აგრეთვე უკანასკნელი დიდი ომი თბილისში, როცა გვარდიამ და მოქალაქეებმა ალყა შემოარტყეს პრეზიდენტის სასახლეს. მერე კი ნერვიული და ისტერიული ატმოსფერო, როცა განდევნილი ექსპრეზიდენტი, თავისი გაკაპასებული რაზმებით ქალაქის ასაკლებად მოიწევდა. მოქალაქეებმა მაშინაც იარაღს მოკიდეს ხელი. გამოვიდნენ მსახიობებიც. ყველგან ფუსფუსი და არეულობა სუფევდა. სახელდახელო რაზმებს აყალიბებდნენ და მცხეთის კარიბჭესთან აპირებდნენ ბრძოლის მიღებას. რა შეიძლება დავუმატოთ ყველაფერ ამას? მე-11 არმიის შემოჭრა თბილისში 1921 წელს, კოჯრის და სოღანლუღის გზებით. გაქცეული მთავრობა, ეტლებსა და ურიკებზე აზარგებული მოსახლეობა, დახოცილი, გაძარცული და დახვრეტილი მოქალაქეები. ქალაქში ბოლშევიკური რაზმები შემოდიოდნენ - სწორედ ისინი იყვნენ წითელი ძაღლები - ცხადია, სიმბოლური, გადატანითი მნიშვნელობით. მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიულ წარსულს ჩაბარდა. ახლა კი ისევ წითელი ძაღლები - არც სიმბოლური და არც გადატანითი მნიშვნელობით - ნამდვილი, ხორციელი წითელი ქოფაკები, მშიერი ქოფაკების მთელი ურდოები, რომელთა თარეშის შემდეგ ქალაქში სიპარტახე და იავარება დაისადგურებს. გადარჩენილი მოქალაქეები შიშით ახედავენ დილის ცის ცივ ნათელს.

მხვრინავ ბოგანოს დავხედე. ჰმ! ამ უბედურს ხომ თავშესაფარიც კი არა აქვს. თუნდაც რაიმე სარდაფი. თუ აქამდე მოაღწიეს, ძვლებიანად დახრავენ. საინტერესოა, რომელი მხრიდან შემოიჭრნენ ქალაქში? თუ დიღმის, ან, მით უმეტეს, გლდანის მხრიდან, მაშინ აქამდე მოსასვლელად კარგა ხანი დასჭირდებათ. მაგრამ იქნებ უკვე ახლოს არიან? იქნებ უკვე მთელს ქალაქსაც მოედნენ?

- მეგობარო! - დავიხარე და ბოგანოს ფრთხილად ჩავყვირე ყურში, თუმცა ეს ლოთი, ბინძური და საზიზღარი ადამიანი მეგობრად სულაც არ მიმაჩნდა. მის თმებსა და წვერ-ულვაშში შავი მკბენარები დაცოცავდნენ.

- მეგობარო! - ჩავძახე მეორედ და თითის წვერით მხარზე შევეხე.

იგი ხვრინავდა და ხვრინავდა. მთელი ეს ბედკრული რეალობა, წითელი ძაღლებითურთ მისთვის ამჟამად სულაც არ არსებობდა. იგი გადასახლებულიყო თავისი არაცნობიერი ფსიქიკის ტკბილსა და ბლანტ ლაბირინთში, სადაც, ვინ იცის, ფროიდისტულ-ოიდიპალური კომპლექსით ატანილი, როგორც გიგანტური კრაზანა, შხამიანი ბზუილით ეტანებოდა საკუთარ აწ გარდაცვლილ დედას და ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაენესტრა. ან, იუნგიანურად თუ ვიტყვით, ხელში ჩაბღუჯული ჰყავდა თავისი სიყრმისდროინდელი (მაშინ იგი სავსებით ნორმალური, ღირსეული ახალგაზრდა გახლდათ) წითურთმიანი ანიმა, ბურჯგნიდა და დანჯღრეულ გიტარასავით აკვნესებდა. ამ ყველაფერს მოწმობდა ნეტარი გამომეტყველება მის ნატანჯსა და ღრმა ნაოჭებით დაღარულ სახეზე.

- მეგობარო! - ჩავყვირე მესამედ, და მყისვე მივხვდი, რომ იგი ნამდვილად არ იყო ჩემი მეგობარი - ეს მთვრალი, ბინძური და საზიზღარი კაცი. არადა, მისი გულისთვის შეიძლებოდა საფრთხეშიც ჩავვარდნილიყავი, რადგან არავინ მეტყოდა, როდის გამოჩნდებოდნენ წითელი ეშმაკები.

- ეი! - დავუყვირე მთელი ხმით, - ადექი, შე დამპალო ნაბიჭვარო! შე ტილიანო მათხოვარო! ადექი-მეთქი, თორემ გაგიჭეჭყე თავი!

თითქოს მთავარანგელოზის საყვირი ჩაესმაო - მაშინვე თვალები დაჭყიტა და გაოგნებით შემომაჩერდა. წარმოუდგენელმა ბრაზმა ამიტანა. ფეხის წვერი ფერდში ვკარი.

- ადექი, შე ჩათლახო! - ადექი, თორემ ისე დაგჭამენ ძაღლები, ვერც გაიგებ!



ვურტყამდი და ვურტყამდი ფეხსაცმლის წვერს. მაგრამ მოზომილად. მხოლოდ იმდენად, რომ ტკივილისგან მაინც გონზე მოსულიყო. იგი ჭუჭყიანი ხელით ცდილობდა მოგერიებას.

- თავი დამანებე! ნუ გამარღვევე... ნუ გამარღვევე... - ბუტბუტებდა დორბლმორეული თუ რაღაც ამდაგვარი.

- ადექი, მე შენი დედა მოვტ...ნ!

აქ კი მოკეტა. ზეზე წამოიზლაზნა. ჩემს წინ ქანაობდა და გათეთრებული თვალებით მიყურებდა.

- შენ ვისი დედას შეაგინე... შენ ვისი დედას... - იმეორებდა ბუტბუტით. ალბათ პოლიციელი თუ ვეგონე, თორემ ხელსაც შემომიბრუნებდა. და ალბათ სწორი იყო ჩემი მიხვედრა მისი სიზმრების შესახებ.

- ვისი დვდა შეაგინე, შე ძაღლო!

- გაიქეცი, უბედურო, თორემ მართლა ძაღლებს მალე ნახავ!

--რა ძაღლებს... შენზე მეტი ძაღლი...

- წითელ ძაღლებს! ქალაქში წითელი ძაღლები შემოცვივდნენ! - ვუპასუხე მისივე სიტყვებით, უკვე სრულიად დამშვიდებულმა, და ვამცნე ზუსტად ის, რაც 10 წუთის წინ თვითონვე მამცნო. ეს ცნობა მისი ნამძინარევი ტვინისთვის ერთგვარი სიახლე აღმოჩნდა. შეშფოთებით მიმოიხედა. თითქოს გასაქცევად მოემზადა. მაგრამ სად უნდა გაქცეულიყო ეს უბედური - ერთ ადგილას გაჩერებასაც ძლივს ახერხებდა. იდგა, ადგილზე იგრიხებოდა და უცნაური ღრეჭით ამომყურებდა ქვემოდან. სიმძიმის ცენტრი უნუგეშოდ დაკარგული ჰქონდა. ვიფიქრე, რომ ვერსადაც ვერ წავიდოდა და აქვე დაჭამდნენ ძაღლები, მაგრამ მოვტყუვდი. თვით ასეთ ლოთსა და დაღუპულ ადამიანშიც მძლავრად იფეთქა სიცოცხლის ინსტინქტმა.

- ძაღლები! - ხრიალით წამოიყვირა და წამსვე კიდეც გამოფხიზლდა. სწრაფად წაჩლახუნდა ერთი ხიდან მეორე ხისკენ - ეს იყო ბებერი აკაცია - მთელი სხეულით შემოესალტა და სპირალურად, გველივით დაიწყო ახოხება. რენესანსის პერიოდის ნახატებზე სწორედ ასე გამოახავდნენ ედემის გველს - კაცური თავით და გველური ტანით, ხეზე სპირალურად შემოკლაკნილს. ეს ლოთიც ასე მიცოცავდა, თან ღრეჭით მიყურებდა. მიყურებდა, მიყურებდა, სანამ მისი გაბურძგნილი სახე ხშირ ფოთლებში არ გაუჩინარდა. ტანი კიდევ რამდენიმე წამს ჩანდა ყარჯსქვემოთ, მერე ტანიც კლაკვნით მიიმალა ფოთლებში - ალბათ ხის დიდ ტოტზე გაწვა. ერთი ეგ არის - ხელში ვაშლი არ ეჭირა და არ მიწვდიდა - სხვაფრივ, ნამდვილ სატანას ჰგავდა. განსხვავება კიდევ ერთი იყო - ევა არ მედგა გვერდში. მეუღლეს კარგა ხანია გავშორდი.

არ ვიცი რატომ, - ალბათ იმიტომ, რომ ჩემს ახლოს მაინც ადამიანს, თუნდაც ასეთ ლოთს ვხედავდი - აქამდე შიში არ მიგრძვნია. ახლა კი მისმა ასეთმა სახეცვლილებამ დამაფრთხო.

- ფუ, შენი დამბადებლის დედა!.. - ჩავიბუტბუტე და დამფრთხალი დავუყევი ქუჩას. - ეს მამაძაღლი როგორმე გადაირჩენს თავს. ან რომელი ძაღლი მიეკარება ალკოჰოლით გაჟღენთილ ამ ლეშს. ერთი პირი რომ დააკაროს, ნებისმიერი ჯანსაღი ქოფაკი დათვრება და გამოიბრუჟება. მაგრამ მე რაღა ვქნა? ნუთუ ეს უბადრუკი არსება უნდა გადარჩეს, მე კი ასე უაზროდ დავიღუპო?!

კაციშვილი არ ჩანდა. მხოლოდ ბნელი ფილაქანი და წყალი. მერე რამდენიმე ლანდმა ჩაირბინა სახლებთან - ენგელსის ქუჩისკენ ჩარბოდნენ. და უეცრად რაღაც უცნაური, გულისშემაღონებელი ყმუილი დაირხა ჰაერში. დამფრთხალი გავხტი უკან. ძაღლები! ასე მალე! ისევ ყმუილი და გოდება. არა! ეს ადამიანი ყმუოდა. მუხრუჭების ხრჭიალი. ფარების თვალისმომჭრელი შუქი. ხმები.

- რა მოხდა, მალხაზ! რა მოხდა! - ყვიროდა ვიღაც მანქანიდან. კარი გამოაღო. გადმოხტა. ქუჩაში მობარბაცე ლანდს მკლავში წაატანა ხელი.

- მალხაზ! ბიჭო! გუჯა ვარ! მალხაზ! შემომხედე! გუჯა ვარ-მეთქი! ვერ მიცანი?! - ჩაჰყვიროდა და ჩაჰყვიროდა.

- უუუ! - უცნაურად დაიყმუვლა თუ დაიღრიალა ლანდმა-მალხაზმა.

- რა მოხდა, ბიჭო, თქვი, არ ამბავია? - აჯანჯღარებდა მეგობარი.

- ძაღლები, - დაუნაწევრებლად ამოიყვირა.

- სად არიან?

- ოთახში შემოგვიცვივდნენ, - ლანდი მთელი ტანით დაიგრიხა, - კარი შემოგვიმტვრიეს, მე მაგათი დედა!..

- გიკბინეს? ბიჭო, აზრზე მოდი, გუჯა ვარ, მალხაზ! - ჩაყვიროდა მეორე ლანდი.

- ვერ მიკბინეს. ტყვიები გამითავდა, - დაიყვირა ლანდმა და მერე უფრო ხმამაღლა იღრიალა, - თეა შეჭამეს ბიჭო! თეა შეჭამეს! გუჯა! გესმის?! გუშინ ბადმინტონს ვეთამაშებოდი ბოტანიკურში!

- რას ამბობ! აზრზე მოდი, რას ამბობ! - გუჯას გაფითრებული სახე თეთრად გაკრთა სიბნელეში, - სადა, სად არიან, მე მაგათი დედა!.. ჩაჯექი, დროზე ჩაჯექი!

მაგრამ მალხაზის ლანდი მთვრალივით ბარბაცებდა და აწყდებოდა აქეთ-იქით. გუჯამ ხელებით, ძალისძალათი ჩატენა მანქანაში. თვითონაც ჩაჯდა. ვიდრე დაიძრებოდნენ იქვე მოწყვეტით გაჩერდა მეორე.

- გუჯა.

- გიო ხარ?

- ჰო. სად ვიკრიბებით?

- სად უნდა შევიკრიბოთ, - გამოსცრა გუჯამ, - ყველაფერი დაიკავეს, მე მაგათი დედა...

ორივე მანქანა - ჯერ გუჯასი, მერე გიოსი - ხრჭიალით მოწყდა ადგილს.

წამში სრულიად მარტო დავრჩი - დავითაშვილის ქუჩაზე, გერგეტის ქუჩის გასაყართან. დაფეთებულმა მიმოვიხედე. ნიაღვრის ქუჩიდან ძუნძულით ჩამოირბინა რამდენიმე ქოფაკმა. არა. ესენი არ იყვნენ წითელი ძაღლები. ესენი ქუჩის ჩვეულებრივი მაწანწალები იყვნენ. ენგელსის ჩასახვევში გაჩერდნენ და წკავწკავი დაიწყეს. ფრთხილად ყნოსავდნენ ჰაერს. დინგები ფრთხილად ჰქონდათ წინ გაწვდილი. მერე რაღაც გადაწყვიტეს და, თითქოს დათქმულ ნიშანზე, სწრაფად დაეშვნენ ენგელსზე. წყალი ჩხრიალებდა. ჰაერში ავისმომასწავებელი ბგერა ჟღერდა. წითელი ძაღლები ჯერ არსად ჩანდნენ, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს-ესაა, ყველგან ერთბაშად გამოჩნდებიან-მეთქი, როგორც რადიაციული გამოსხივება.

ვაი დედა! - გავიფიქრე თავზარდაცემულმა, - ნუთუ ბინების კარებსაც ამტვრევენ და სახლებშიც უვარდებიან მოქალაქეებს. მყისვე ჩემი მიტოვებული ცოლ-შვილი გამახსენდა. იმავე წამს მწარედ ვინანე, რომ მათ გავშორდი. ცხოვრება ხომ ისედაც ხანმოკლეა. ამ უაზრო არსებობაში როგორმე უნდა მოგვეხერხებინა და ერთმანეთის გვერდზე შეგვენარჩუნებინა თავი. ახლა ისინი შორს არ-

იან, მე კი აქ ვდგავარ, ღამის ქუჩაში, რომელზეც არასოდეს მიცხოვრია, ჩემს სიმარტოვეში, რომელიც ნამდვილად ჩემი არასოდეს ყოფილა, უხილავი საფრთხით გარშემორტყმული და ამავე საფრთხით იქ, შორს, გარშემორტყმული არიან ჩემი მიტოვებული ცოლი და შვილი - ჩემი სისხლი და ხორცი. სისხლის და ხორცის გაფიქრებაზე რაღაც უცნაურად შემზარა. ეჰ, ნეტა მომესწრო და რკინის კარი დამეკიდა, მაგრამ არა უშავს. სიმამრი ყაირათიანი კაცია. მისი ბინის კარი, თუმცა ხისაა, საიმედოდ იკეტება. მათი ეზოს ჭიშკარიც, ალბათ უკვე საიმედოდაა ჩაკეტილი. უკვე ღამეა. ბავშვს, ალბათ უკვე აძინებენ. გვერდზე ბებია უწევს. ჩემი ცოლი სამზარეულოში ზის და წიგნს ჩაკირკიტებს. ამ აზრმა ცოტა დამამშვიდა. თან, მომაგონდა ისიც, რომ სიმამრის ბინა მესამე სართულზეა. "მადლობა ღმერთს", - ვიფიქრე ჩუმად. ძალიან ფრთხილად - შიშით, რომ რაიმე სხვა გაუთვალისწინებელი ფიქრი არ ამოტივტივებულიყო.

უეცრად თვალწინ დამიდგა ჩემი ორი ნაცნობი ქალიშვილი - ტყუპი დები. ისინი მშვიდად ისხდნენ დივანზე, ქსოვდნენ და თან ტელევიზორს ადევნებდნენ თვალს. "რა დროს ესენია!" - გამიელვა და იდილიური ჩვენება, რომელიც ჩემს ცნობიერებაში მომწვანო თბილი შუქით ციმციმებდა, თავიდან მოვიშორე. მაგრამ ჩვენება არ მშორდებოდა - დიდი წრე მოხაზა ჩაბნელებულ სივრცეში და იმავე სახით დამიბრუნდა უკან. იგი აშკარად რაღაცას მანიშნებდა. და აი, რას - მათი ბინა ხომ პირველ სართულზეა. მაშინვე ელდასავით დამკრა - ფანჯრის მინა არც ისე მტკიცე ბარიერია გაცოფებული ხროვის შესაჩერებლად. ერთბაშად ჩემს გონებაში ტყუპი დების მშვიდი ჩვენება გაქრა და მის ნაცვლად წარმომიდგნენ წითელი ძაღლები, რომლებიც დინგებით და თათებით ამტვრევდნენ ფანჯარას. სხვადასხვა სიდიდის ბანჯგვლიანი სხეულები ოთახში შეღწევას ლამობენ. ლია - ერთ-ერთი ტყუპთაგანი - პერანგისამარა ყვირილით მივარდება ფანჯარას. ხელში ხორცის საკეპი დანა უჭირავს. ჩამსხვრეული ჩარჩოდან დინგები მოიწევენ. მთელი ფანჯარა სავსეა აყეფებული, დაღრჭენილი წითელი დინგებით. ლია ხელის უმწეო, მდედრული მოძრაობით იქნევს და ურტყამს. მის ფეხებთან ეცემა წაკვეთილი დინგის წვერი, წითელი თათი. ცოცხალივით სხმარტალებს. მაგრამ ლია ამას ვერ ხედავს და ისევ გამეტებით ურტყამს. თანდათან არაქათი ეცლება. მისი პერანგი წითლად შეღებილია. ძაღლები - ათობით და ასობით დაკუნთული სხეული - ვულკანური ამონანთხევივით ასკდებიან ჩატეხილ ჩარჩოს. შიგნით საჭმელი ეგულებათ - აკივლებული ადამიანები. მაია, მეორე ტყუპი - ლოგინში წევს. იგი მძიმედ არის ავად. მას ფეხი აქვს დამსხვრეული. "რა ხდება, ლია!" - შეშფოთებული გაჰყვირის. ესმის დის კივილი, ღავღავი და ყეფა. ცდილობს წამოდგეს. ტკივილი მაინც ლოგინზე აჩერებს. "რა ამბავია, ლია, მითხარი, რა ამბავია" - გასძახის სუსტი ხმით. მერე დის კივილი აღარ ისმის და ოთახები წითელი სხეულებით ივსება.

ნუთუ ლოგინში ამოჭამეს? - გავიფიქრე შეშინებულმა, - ასე იცის ძაღლების დამშევამ! დაამშევენ, გაყრიან ქალაქიდან, დაივიწყებენ. მერე ეს დამშეული და დავიწყებული ქოფაკები ხროვებად იკრიბებიან და ყველაფერს აპარტახებენ. გაველურებული ძაღლი ხომ ნებისმიერ ნადირზე ცბიერი და დაუნდობელია. ასე იცის ძაღლების დამშევამ!

წვიმა წამოვიდა. რაღაც უსასო და უსუსური. აკაციის ხეებზე ოვალურმა ფოთლებმა შრიალი დაიწყეს. შორიახლოს კიდევ ორმა ქოფაკმა ჩაირბინა. მირბოდნენ და მთელი ტანით ცახცახებდნენ. ცახცახებდნენ მათი დინგებიც ელნათურის ჩაბჟუტულ შუქზე.

- ეჰეე! - შევუძახე ჩემს თავს, - მე აქ ფანტაზიებს მივცემივარ, ძაღლები კი, ალბათ მალე ალყას დამარტყამენ. რა ვილონო?! იქნებ რომელიმე მობინადრეს ვთხოვო თავშესაფარი? მაგრამ რომელი მობინადრე გაგიღებს კარს უცნობს, ამ გვიან საღამოს. მართალი რომ ითქვას, უხერხულიც არის, ვინმეს კარზე რახუნი ატეხო - მიშველეთ, ძაღლების მეშინიაო. არადა, რამდენი მარტოხელა ადამიანია ახლა ამ ბინებში. რამდენი მარტოხელა ქალი. ისინი სხედან სიმარტოვის შიშით ატანილები და კაცი ენატრებათ - თუნდაც უბრალო ხმის გამცემი. რა იქნება, რომელიმე მათგანს რომ მივადგე? უცნობი - უცნობს. მამაკაცი - ქალს. მაგრამ წესი არ არის, შეღამებისას უცნობ ქალთა ბინაში მისვლა. ფანჯრიდან რომ შევუვარდე? თვალწინ დამიდგა სურათი - მარტოხელა ქალი მარტოსულ ოთახში. ლეღვი. ქიშმიში. ვარდი მაგიდაზე. ფანჯარა იმსხვრევა. მოცოცავს ვილაც სველი და აცახცახებული უცნობი. მაგრამ ეს ხომ სულმთლად საძაგელი, ძაღლური საქციელი იქნება. თანაც, მე რა ვიცი, კონკრეტულად რომელ ბინებში ცხოვრობენ მარტოსული ქალები. ფანჯრიდან მაინც გამოიხედოს რომელიმემ. თუნდაც აი იმ ფანჯრიდან, სქელი შტორებით რომ არის დაბინდული, შიგ რომ მოწითალო შუქი ღვივის. წითელი ზამბახის გული.

ჩარაზულ ფანჯრებს უიმედოდ მოვავლე თვალი, შევბრუნდი და გერგეტის აღმართზე ავვარდი. ქვით მოკირწყლული პატარა ქუჩა, ერთსართულიანი სახლებით, მარჯვნივ - დაღმამიმავალი კიბეებიანი სკვერით, მარცხნივ, მომცრო ბექობზე უცნობი გოგონა იდგა. განცვიფრებული გავჩერდი.

- გამარჯობა! - შემომცინა ბავშმა. 8-9 წლის თუ იქნებოდა. დაუბანელი. შავგვრემანი. ისე შევაცქერდი, თითქოს ურჩხული დამენახოს.

- რას აკეთებ აქ მარტო?

- არაფერს, - მიპასუხა მან.

- წადი სახლში. უკვე ღამეა. წვიმს. საშიშია ქუჩაში ყოფნა.

გოგონამ თავი გააქნია. ლოყა რაღაცით ჰქონდა მოთხვრილი. სხვაფრივ საკმაოდ ლამაზი ბავშვი იყო.

- წადი სახლში, შვილოსან.

- მე სახლი არა მაქვს! - მიპასუხა აშკარა კმაყოფილებით.

- დედა და მამა სად არიან?

- არც დედა და მამა მყავს, - ესეც ხალისიანად და კმაყოფილებით მითხრა. არ ვიცი, რა ახალისებდა. ალბათ - საკუთარი ბავშვობა.

- მამა არა გყავს?! - ვკითხე უცნაური შიშით ატანილმა.

- არა. სადღაც დაიკარგნენ. ჯერ დედა დაიკარგა, მერე მამა.

- კი მაგრამ, ვინ გივლის? საჭმელს ვინ გაჭმევს?

- ელისო.

წვიმა ხეების ვარჯებში, ჩვენს თავსზემოთ შრიალებდა. ქვემოდან რაღაც ზუზუნი ისმოდა.

- სად ცხოვრობს ელისო? სასწრაფოდ წადი მასთან! ახლა აქ წითელი ძაღლები მოვლენ. აქ ყოფნა სახიფათოა, - მკაცრად შევუძახე.

- არ მეშინია წითელი ძაღლების. არც შენი მეშინია.

- ჩემი რატომ უნდა გეშინოდეს? - დაბნეულად მიმოვიხედე და კვლავ ვიგრძენი საფრთხე. ახლა საჭირო იყო, ბავშვი გადამერჩინა და მერე სასწრაფოდ მეშველა საკუთარი თავისთვის.



- რა გქვია?

- ასმათი.

"საკვირველია", - ვიფიქრე. ჩემს ყოფილ ცოლსაც ასმათი ჰქვია. ო, ღმერთო, ნეტა ახლა ჩემს ცოლ-შვილთან ვიყო და ამ გაუგებრობაში არ მქონდეს თავი გაყოფილი.

- ასმათ! - ვუთხარი დაბეჯითებით, - დამიჯერე. მალე აქ ძაღლები მოვარდებიან. ველური ძაღლები. მარტო რომ დაგინახავენ, შეიძლება კიდეც შეგჭამონ.

- ვერ შემჭამენ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აი, აქ ავალ, – მან მიმანიშნა ლითონის უცნაურ კონსტრუქციაზე. ეს იყო მაღალი ოთხფეხა ქანდარა ზედ გადებული თუნუქის სახურავით. იგი იდგა იმავე ბექობზე, რომელზეც ჩვენ ვიდექით, სიღრმეში, პატარა ბილიკის პირას, ხელმარჯვნივ. მის პირდაპირ კი მოჩანდა ლითონისავე დიდი გალია – ალბათ მანქანის გარაჟი.

სუსტი წკავწკავი გაისმა. ეს ხმა გალიიდან მოდიოდა.

– ეს რა არის?

– აჰა! შეგეშინდა! – გოგონამ ხელი ხელს შემოკრა.

– რისი უნდა შემშინებოდა? – მივუგე და ხაზგასმული სითამამით მივუახლოვდი გარაჟს. თავიდან სიბნელეში ვერაფერი გავარჩიე.

– შიგ ორი ძაღლია, – თქვა ბავშმა. მისი სიტყვების კვალდაკვალ მართლაც დავინახე ორი სეტერი. წითური, გრძელბეწვიანი ძაღლები. საერთოდ ამ ჯიშის ძაღლები ხალისიანობით გამოირჩევიან. მაგრამ ეხლა ფერდებით ერთმანეთს მიკვროდნენ და ცხვირები რკინის ცხაურზე ჰქონდათ მობჯენილი. კუდები ამოეძუებინათ და ჩუმად წკმუტუნებდნენ.

– ხომ ხედავ, ამათაც ეშინიათ. მალე წითელი ძაღლები აქ გაჩნდებიან. ასმათ, ახტი ქანდარაზე, – ნაძალადევი მხიარულებით ვუთხარი გოგონას.

რკინის კონსრუქციის სახურავს ქვემოთ, ჩემი თავის სიმაღლეზე, ლითონის ხარიხა იყო გადებული ქანდარასავით. ზედ საქანელას მსგავსი გრძელი მავთული ეკიდა, ბოლოში სატერფულით. ბავშვი ქანდარას მიუახლოვდა და რამდენჯერმე შეხტა.

– ვერ ვწვდები, ამწიე.

მსუბუქად ავწიე. იგი ქანდარას დაეკიდა. ცალი ფეხი მავთულის უზანგში გაყო და ქანაობა დაიწყო. თამაშობდა.

უცნაური იყო მისი სიმშვიდე. მეც გადმომედო. ალბათ ბავშვი გუმანით გრძნობს, რომ წითელი ძაღლები აქამდე ვერ მოაღწევენ – გავიფიქრე – ჯობია, ვენდო ბავშვის გუმანს. მართლაც, თუ დილმის ან გლდანის გზიდან შემოვიდნენ, აქ, ქალაქის მეორე ბოლოში რა ესაქმებათ. ანდა, რომც მოაღწიონ, მე და ამ პატარა გოგოს ვერც შეგვამჩნევენ სიბნელეში. ჩვენ მათგან ხეები დაგვფარავს, – ვიფიქრე იმედით.

– აქ ვერ მომწვდებიან! – კმაყოფილი ხმით ჩაილაპარაკა გოგონამ.

შევხედე. ხელები და თავი მაღლა ჰქონდა. მაგრამ – ფეხები? ნებისმიერი ძაღლი მიწვდებოდა ამ სიმაღლეზე.

– არა, ასე არ ივარგებს. ჩამოხტი, ასმათ, გოგონი. აქ ყველა ძაღლი იოლად მოგწვდება.

– არ ჩამოვალ. რამდენსაც მინდა, იმდენს ვიქანავებ. მერე იქითა მხარეს გადავხტები.

ახლაღა დავინახე – სახურავის მეორე მხარეს ისეთივე ხარიხა იყო, ზედ დაკიდული საქანელა უზანგით.

– ვერ გადახტები იქითა მხარეს. და რომც გადახტე, იქაც მოგწვდებიან. აქაურობას სულ აავსებენ. ალბათ ათასზე მეტი ძაღლია – მისი სიჯიუტე და ის, რომ ჩემს მითითებებს არად აგდებდა, უკვე მაღიზიანებდა.

მოულოდნელად ჰაერი გულისგამაწვრილებელმა ყმუილმა გაკვეთა. სადღაც სულ ახლოს, ენგელსისა და კოჟრის ქუჩებისკენ მრავალი ხორხი ყმუოდა. გარაჟში მყოფი სეტერები ცახცახით ამოძრავდნენ.

– ჩამოდი! – ვიყვირე მთელი ხმით – მალე ჩამოდი, თორემ ორივეს შეგვჭამენ!

– რა გაყვირებს, – მშვიდად თქვა გოგონამ, – თუ ბევრს იყვირებ, ძაღლები გაიგონებენ და აქ მოვლენ.



შემკრთალმა შევხედე. მართლაც, რა მაყვირებდა. დუმილი. დუმილი და უჩუმარობა იყო ჩვენი გადარჩენის შანსი.

– ჩამოდი, გთხოვ, – ვუთხარი უდიდესი თავშეკავებით, – ეხლა შენ დამიჯერე და სხვა დროს მე დაგიჯერებ, – თუ დამიჯერებ, რომ გაიზრდები, დედოფალი გახდები.

– არ მინდა დედოფლად გახდომა – იგი ისევ აუღელვებლად ირწეოდა მავთულის უზანგზე, – მირჩევნია ცხოველები მყავდეს და ცეცხლ ან რგოლში ვახტუნავებდე.

– კარგი, – უიმედოდ ვუთხარი, თან ყურს ვუგდებდი ირგვლივ გაბნეულ ქალაქის ხმებს, – კარგი, გეყოლება ცხოველები. ცეცხლიან რგოლშიც ახტუნავებ! ოღონდ ეხლა ჩამოდი – ამ სიტყვებით წელზე ხელები მოვკიდე.

– არ მინდა! – დაიწივლა გოგონამ. მის წივილზე გარაჟში მყოფმა სეტერებმა ყეფა ატეხეს.

"დავიღუპეთ, – სწრაფად ვიფიქრე – ეხლა კი ნამდვილად მოგვაგნებენ".

უეცრად თავში შესანიშნავი აზრი მომივიდა:

– გინდა, სახურავზე აგსვა?

– არ მინდა.

მცირე ხანს დავფიქრდი. მერე ვკითხე:

– მაუგლი გინახავს ტელევიზორში?

მან თავი გააქნია.

– მაუგლი სწორედ შენხელა ბიჭი იყო. ტყეში ცხოვრობდა და როცა წითელი ძაღლები შემოესიენ, იცი, რა ქნა?

– რა?

– გაწვა ხის ტოტზე... უფრო სწორად, აი, ასეთ სახურავზე, იქიდან ხის ტოტი ჩამოყო, აქნევდა და წითელ ძაღლებს აბრაზებდა.

– მერე?

– ძაღლებმა ხტუნვა დაიწყეს. უნდოდათ მიწვდომოდნენ – ვუთხარი და უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო – თითქოს გაკვეთილს ვაბარებდი.

– მერე, ვერ მიწვდნენ?

– ვერ მიწვდნენ. მაუგლიმ დიდხანს ახტუნავა, ახტუნავა, თან დასცინოდა. ბოლოს ძაღლების წითელი მეთაური კუდით დაიჭირა და წააჭრა.

– კუდი?

– კუდი.

– მერე?

– მერე ის, რომ შენც ისე გაწექი სახურავზე, აი, ეს ტოტი ჩამოუშვი – იქვე მდგარ რაღაც ხეს ფოთლებიანი წვრილი ტოტი წავატეხე – ეს ტოტი ჩამოუშვი და ცხვირწინ აუთამაშე. გაბრაზდებიან და ხტუნვას დაიწყებენ. შეგიძლია, რამდენიც გინდა, იმდენი ახტუნაო. ჰა? ხომ კაი რამეა?

იგი კარგა ხანს ფიქრობდა. ისე, რომ ქანაობა არ შეუწყვეტია. ჯიბიდან შოკოლადი ამოიღო, თავისუფალი ხელით და კბილებით ქაღალდი შემოაცალა, პირში ჩაიდო.

– კუდი რითი წავაჭრა? – თქვა ბოლოს, – დანა სადა მაქვს?

– კუდს ნუ წააჭრი. შენც მაუგლი ხომ არა ხარ. უბრალოდ, ძალიან დიდხანს ახტუნავე. გაბრაზდება და თვითონ წაიჭამს კუდს.

– კარგი.

გახარებული მივწვდი. ხელები მიცახცახებდა. "ვაითუ, სახურავამდე ვერც ავწიო", – გამიელვა თავში. იოლად ავწიე და შევსვი. ზუსტად ჩემი აწვდილი ხელების სიმაღლეზე. იქ ვერცერთი ძაღლი ვერ მიწვდებოდა.

– ეხლა მანდ იჯექი. სანამ ძაღლები არ წავლენ, არ ჩამოხვიდე. შეგიძლია კიდეც დაიძინო. დილას აუცილებლად მოვალ და ჩამოგიყვან, – ავძახე და გავიფიქრე, "ეს კაი, მაგრამ მე თვითონ სადღა წავიდე?"

გაგრძელება იხილეთ 21-ე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

# შენია სული საქართველოსი



მდიდრებმა დაყარეს თავის ოქროები,
ღარიბებმა ისწავლეს კვლავაც პირჯვრისწერა,
დედაბერი კრუხ-წიწილის ზრუნვით ერთობოდა,
ქალწულს მოუბძანეს თავისი სამოსი -
მუხლი მოუყარეს.
კოკა წყაროს ედგა, ჩიტს საკენკს უყრიდნენ,
ქალი ქმარს ელოდა...

გადმოიხედა ღმერთმა და მიხილა ლამაზი,
რადგანაც ვტკბებოდი ჩემი მიწა-წყლით,
უდარდელი სტვენით ნახირს მივდენიდი,
ამომყავდა ციხის დაშლილი კედლები,
მთელი ოქრო ტაძრის გუმბათს შევალებე,
ერთი ოქროთი გოგოს ვუყიდე ყვავილი,
მუხის დედა-ბოძით ჭერი გავამაგრე,
კედელზე დავკიდე წინაპრის სურათი
და სახლის ზღურბლზე რომ დავდექ და გავხედე,
მომეწონა ქვეყანა და საქმენი ჩემი
და გულით ვუზრახე წასულთ დაბრუნება,
რომ უცებ ზეციდან ხმა რამ ჩამომესმა...

და ამევსო თვალები მდუღარე ცრემლებით,
რადგანაც არ მქონდა არც საჭმელ-სასმელი,
არც სახნავ-სათესი, არც ქვეშსაგებელი
და ოქროც არც ერთი,



რომელნი სდევნიდნენ ირემივით დამფრთხალ საქართველოს
მის ჭალა-მინდვრებში
და ვერ ეწეოდნენ,
რომელნი სძიძგნიდნენ მგლებივით მის ხორცებს
და ალმასი ეფანტებოდათ,
რომლნი ატყავებდნენ ოფლით დალეულნი
და მეორმოცე დღეს კვლავაც იქვე იყვნენ,
რომელნი არწივებივით სდევნიდნენ სარკეებით,
რომ მოესპოთ ჯიში ძირსდაუფრენელთა
და ტბებში ცვიოდნენ.

რომელნი სვამდნენ და რომელნი ჭამდნენ,
რომელნი ტანთ ხდიდნენ და ეგმანებოდნენ,
რომელნი ამღერებდნენ, რომელნი აჩხუბებდნენ,
რომელნი წყალზე გზავნიდნენ, რომელნი წამალზე,
რომელმან შეიზიზღა, რომელმან შეიეჭვა,
რომელმან მოიპარა, რომელმან - არ ვიციო,
რომელმან - მზეს ჰგავსო, რომელმან - დედაბერსო,
რომელმან მამა ვერ ცნო, რომელმან შვილი...

დაღამდა, გათენდა,
დაღამდა, გათენდა,
ბუმბული დაახრჩვეს გველის გვანობაზე...
წყალი არ გაიცრა, მიწა არ ამოშრა,
მარილმა ოქროს არ მისცა ადგილი...

გადმოიხედეს არწივებიდან და შერცხვათ არწივების,
ირემს ვერ მიჰყვნენ და რქა დაფნით შეუმკეს
და ტყავიც, თურმე, გმირს ტანზე ეხურა.

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარტოდენ მარილი...
ქარს დანატაცებით ფრთები უმძიმოდა
და სვავებს ემსგავსა, გვამებზე მხტომარეთ,
მზე ბალახს ეძებდა, მთვარე კი - გუმბათებს,
მიწა აღარ იყო, წყალი აღარ იყო,
არ დარჩა, გაიცრა, დაშრა, ამოთავდა,
ვინ პირით გაზიდა, ვინ მუჭში მალვითა,
და ზოგმაც გადამფრენ ფრინველებს აჰკიდა...
და ატირდა მაშინ ჩემი სახლის ჭერზე
ჟამთუქმობის ქნარი - ქნარი ობობისა,
დედაბრის კალთასავით მიწა ჩაიზნიქა
და თავი ჩავმალე სირცხვილ-ნამუსისგან.

და, ჰა, ზეცა იძრა - კვლავ ჭექა-ქუხილით,
დიდი წამოვიდა წვიმა და ღვარქაფი,
იმ ხანს იდინა, ვიდრე არ გარეცხა
მიწა ცოდვებისაგან და კაცთა ნასუნთქისაგან...
და როს გადიკარა
და მიწა გაბრწყინდა,
დაჩნდა მთლად ქვეყანა, ქედები, მინდვრები,
სახლ-ეკლესიები, სოფელ-ქალაქები,
მხვნელი და მთესველი, მოვაჭრე, მთიბველი...
მხოლოდ მე არ მქონდა ისევ არაფერი,
მარტოდენ მარილი...

მეწყინა მე ცოდვილს, სიკვდილი მომინდა
და ღმერთს შევღაღადე, რაღა მე, უფალო!
ობოლი რომ ვიყო, ხომ არ გამწირავდი,
ორ ცხვარს მიბოძებდი, ხელში ჯოხს მომცემდი,
მაგრამ, ეტყობა, რომ თვითონაც არ ვიცი
ისე ამვსებია სული სიბოროტით,
რადგანაც, რაც ვწერე, ნახევრად ლითონით,
ნახევრად ოქროთი ვასხამდი სტრიქონებს -
რაკიღა სხვა ნიჭი არ გიბოძებია -
და დავალ სიავით მართალთა მიწაზე,
უქონ-უყოლელი, უცხენ-უჯორელი...

და უცებ შეირხა კვლავ ზეცის ჰაერი
და ხმა ჩამომესმა, საკუთრივ ღმერთისა,
ვითარმედ: შენია სული საქართველოსი!
ნუ დარდობ, ნუ კრთები, ეჭვი მოიშორე,
დადე სიყვარული კვლავ იმის ადგილას
და ძირს დაანარცხე ქნარი ისტორიის -
ქნარი ობობისა
და კვლავაც იმღერე:

რომელნი სდევნიდნენ ირემივით დამფრთხალ საქართველოს
მის ჭალა-მინდვრებში
და ვერ ეწეოდნენ,
რომელნი სძიძგნიდნენ მგლებივით მის ხორცებს
და ალმასი ეფანტებოდათ,
რომლნი ატყავებდნენ ოფლით დალეულნი
და მეორმოცე დღეს კვლავაც იქვე იყვნენ,
რომელნი არწივებივით სდევნიდნენ სარკეებით,
რომ მოესპოთ ჯიში ძირსდაუფრენელთა
და ტბებში ცვიოდნენ...

დაღამდა, გათენდა,
დაღამდა, გათენდა,
ბუმბული დააზრჩვეს გველის გვანობაზე,
წყალი არ გაიცრა, მიწა არ ამოშრა,
მარილმა ოქროს არ მისცა ადგილი.
და ღმერთმა მიმოწმა კვლავ სიტყვა თავისი -
ვითარმედ: შენია სული საქართველოსი!

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარგერიტ იურსენარი

# OPUS NIGRUM

### ანუ ზენონი მკურნალი და ალქიმიკოსი

ნაწყვეტი რომანიდან

Nec certam sedem, nec propriam faciem, nec munus ullum peculiare tibi dedimus, o Adam, ut quam sedem, quam faciem, quae munera tute optaveris, ea, pro voto, pro tua sententia, habeas et possideas. Definita ceteris natura intra praescriptas a nobis leges coercetur. Tu, nullis angustiis coercitus, pro tuo arbitrio, in cuius manu te posui, tibi illam praefinies. Medium te mundi posui, ut circumspiceres inde commodius quicquid est in mundo. Nec te caelestem neque terrenum, neque mortalem neque immortalem fecimus, ut tui ipsius quasi arbitrarius honorariusque plastes et fictor, in quam malueris tute formam effingas...

PICO DELLA MIRANDOLA.
*"ORATIO DE HOMINIS DIGNITATE"**



## I - მოხეტიალე ცხოვრება

### დიდ გზაზე

ანრი-მაქსიმილიან ლიგრი არ ჩქარობდა, სვენებ-სვენებით მიუყვებოდა პარიზისკენ მიმავალ გზას.

მეფე და იმპერატორი რაზე დაობდნენ, წარმოდგენა არ ჰქონდა. მხოლოდ ერთი იცოდა, ორიოდე თვის მშვიდობას ყავლი გასვლოდა და დიდხანს ნაცვამი ტანსაცმელივით გაცრეცილიყო. ფრანსუა დე ვალუა რომ კვლავაც ისე ეპოტინებოდა მილანელებს, როგორც ხელმოცარული საყვარელი თავის სატრფოს, ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ნაწვნევ მარცხს მოსვენება დაეკარგა მისთვის. დაბეჯითებით იცოდნენ, გამალებული იარაღდებოდა უჩუმრად, ჰერცოგ დე სავუას საზღვრებთან უყრიდა თავს ლაშქარს და პავიისკენ ისწრაფვოდა დაკარგული სახელის დასაბრუნებლად.

ანრი-მაქსიმილიანს ვირგილიუსის ნაწყვეტებში არეოდა მამამისის - ბანკირის ძუნწი მონაყოლი თავის მოგზაურობაზე და ყინულით დაკვერცხილი მთების გადაღმა ელანდებოდა ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც კალიასავით მოდებოდა სიზმარივით მშვენიერ, ნაყოფიერ მხარეს: ცეცხლისფრად ბრიალებდა გადარუჯული მინდვრები, ანკარა ნაკადულებთან დასარწყულებლად მისულიყვნენ ცხვრის თეთრი ფარები, ოქროში ცურავდა სიმდიდრით განთქმული და ბეღელივით გაძეძგილი, ზარდახშასავით კოპწია და სამრეკლოსავით წკრიალა ქალაქები, ალერსიანად ულიმოდნენ სარდლებს აბრეშუმში გამოწყობილი ლამაზმანები, მადას აღიზიანებდა ცხარე სანელებლით შეკმაზული შემწვარ-მოხრაკული, ქანდაკებებს აევსო ბაღები, იშვიათ ფოლიანტებს დარბაზები, იყო სუფრა აუღებელი, ღრეობა გაუთავებელი და ვერცხლის მძიმე მაგიდებზე, ვენეციურ წკრიალა ჭიქებში მაცდურად ციალებდა ხავერდოვანი მალვუაზიური ღვინო.

ამ ორიოდე დღის წინ ანრი-მაქსიმილიანმა არხეინად მიატოვა მშობლიური სახლი ბრიუგეში და უარი თქვა ვაჭრის ძისა და მემკვიდრის მომავალზე. სამიკიტნოში შემოხეტებულმა კოჭლმა სერჟანტმა, რომელიც იკვეხნიდა, ანრი VIII დროს იტალიაში ვმსახურობდიო, ხელების ქნევით აუწერა თავისი საქმენი საგმირონი, უამბო მეძავებსა და ოქროთი გატენილ ჩანთებზე, ქალაქების ძარცვის დროს რომ გამოეკრა კბილი. მთელი ეს ბაქი-ბუქი ანრი-მაქსიმილიანს ხელადა ღვინოდ დაუჯდა. შინ მიბრუნებულმა იფიქრა, დროა ბედის საძიებლად მეც მოვვლო ხმელეთიო. ეგ იყო, მომავალ კონეტაბლს ვერა და ვერ გადაეწყვიტა, ვის ამქარს ამოდგომოდა ბურჯად - ფრანგთა მეფისას თუ იმპერატორისას. ბოლოს ისევ ალჩუსა და თოხანზე მიაგდო არჩევანი. წახდა იმპერატორი! მოახლემ მშობლებს ჩაუკაკლა მისი სამზადისი. თავდაპირველად ანრი-დუსტმა ერთი-ორი ალიყური უთავაზა უძღებ შვილს, მერე, როდესაც თვალში ფართხუნა პერანგში გამოწყობილი უმცროსი ვაჟი მოხვდა, რომელსაც სასტუმრო ოთახის ფიანდაზზე ტაატით დაასეირნებდნენ, გუნება გამოუკეთდა და ზურგის ქარი უსურვა ძესა და მემკვიდრეს ფრანგული ტუტუცობისკენ. ამის შემდეგ, ცოტა მამა-შვილური გრძნობით, უფრო კი ყოყლოჩინობით წაქეზებულმა და კიდევ იმიტომ, რომ გული მოეფხანა, ხელი შორს მიმიწვდებაო, გადაწყვიტა, როცა მოიგუნებებდა, თავის ლიონელი აგენტისთვის - მეტრ მუზოტისთვის მიეწერა, რეკომენდაცია გაეწია ურჩი ვაჟისთვის შატო დე ბრიონთან, რომელსაც დიდი ვალი ემართა ლიგრის ბანკისა. ანრი-მაქსიმილიანმა ხვავიანად დაიბერტყა მამა-პაპეული კანტორის მტვერი. ტყუილად ხომ არ იყო ისეთი კაცის შვილი, ვის სიტყვაზეც ეკიდა სურსათზე ფასის აწევ-დაწევა და ვისი ვალიც თვით პრინცებს ემარ-

---

* არ მომიცია არც სახე, არც კუთვნილი ადგილი შენი, არც რამ სიკეთე გამორჩეული, ჰოი, ადამ, რათა სახე, ადგილი და სიკეთე შენი თვითონ ისურვო, მოიპოვო და იუფლო შენითვე. წესით, რომელიც მე გავუჩინე, ბუნება არ გაუმხელს საიდუმლოს უცხო თესლს, მაგრამ შენ, რომელიც არ შემოიზღუდვი არავითარი ზღუდით, ხარ საკუთარი თავის მსაჯული, რომლის კალთასაც ვანდე თავი შენი, სრულ იქმენ თავად. დაგსვი ქვეყნის შუაგულში, რათა უკეთ დაგენახა, რასაც იტევს ეს ქვეყანა. არ შემიქმნიხარ არც ციური, არც მიწიერი, არც უკვდავი და არც მოკვდავი, რათა თვითონ, როგორც უფალმა თავისამ, კარგი მხატვრის ანდა მარჯვე მოქანდაკის დარად, დაასრულო ხატი შენი.

პიკო დელა მირანდოლა "სიტყვა კაცთა ღირსებისათვის"



თათ. დედამ მომავალ გმირს ჯიბეები სასუსნავით გამოუტენა, ქისაში კი სამგზავრო ფული ჩაუჩხრიალა.

დრანუტში, გზად გავლისას, სადაც მამამისს საყანობო სახლი ედგა, მოურავს ჩააცივდა და მანამ არ მოუსვენა, სანამ თავისი დაკოჭლებული ცხენი ბანკირის საჯინიბოს ულამაზეს ბედაურში არ გაუცვალა. მერე სენტ-კანტენში ის ცხენი მაინც გაყიდა. ცოტა იმ მიზეზით, რომ ამ ბედაურის დანახვა ისე ჯადოსნურად მოქმედებდა მეფუნდუკეთა ასპიდის დაფაზე, რომ მისი დანახარჯი თვალდათვალ იზრდებოდა, ცოტა კიდევ იმიტომ, რომ მდიდრული ეკიპაჟი ხელს უშლიდა გული ეჯერებინა ყველა იმ გართობით, რასაც შარაგზა სთავაზობს ხოლმე ქვეითად მოარულთ. რადგან ფული თვალსა და ხელს შუა უქრებოდა, დღისით მეჩალანდრეებთან შეექცეოდა ამძაღებულ ლორსა და ცერცვს, ღამე კი ჩალაზე იძინებდა, მაგრამ ფუფუნებაზე დაზოგილ ფულს მერე არხეინად აგებდა ბანქოსა და ათურმაში. ხანდახან ვინმე მარტოხელა, გულჩვილი ქვრივი თავის ფერმაში შეიწვევდა და სარეცელსა და პურ-ღვინოს უზიარებდა. არც სიტყვაკაზმულ მწერლობას ივიწყებდა ჩვენი გმირი. ჯიბე გამობერილი ჰქონდა ტყავით დაკაზმული წიგნებით, რომლებიც ბიძამისის ბიბლიოთეკიდან გამოეყოლებინა ხელს მომავალი მემკვიდრეობის ანგარიშზე. ბიძამისი - კანონიკი ბართლომე კამპანუსი, წიგნების შეგროვებით იყო გატაცებული. შუადღისას, სადმე მინდორზე წამოგორებული, გულიანად ხარხარებდა მარციალის ლათინურ ენამზეობაზე, ხან კი ფიქრმორეული, სევდიანად აფურთხებდა გუბეში, კდემამოსილ, სათნო ბანოვანებზე ოცნებობდა და პეტრარკას მიბაძვით დაწერილ სონეტებში სულსა და გულს უძღვნიდა მათ. მერე ფეხაპლაკული თვლემდა და მისი ფეხსაცმლის წვერი ეკლესიის გუმბათივით მიბჯენოდა ცის თაღს; წონოლა ზვინები ამხანაგობას უწევდა, ბოლოჭრელი მამალი ლამაზი ქალიშვილის მაგივრობას. ჭაბუკი დევგმირი ხან პირდაპირ მიწას უულღდებოდა, დილით კი, ბუზი გამოაღვიძებდა თუ სოფლის ეკლესიის ზარის ბუტბუტი, ქერათმაში ბზეგაჩრილი, აწოწილი და მოუხეშავი, ცივი წყლისა და მზისგან გაჭარხლებული, ხალისიანად მიაბიჯებდა დიდებისკენ.

გზაში მხიარულად ექილიკებოდა მგზავრებს, ახალ ამბებს ისმენდა და უყვებოდა. ლა ფერთან შესვენების შემდეგ, დაინახა, მის წინ, ასიოდე ტუაზზე, ვილაც პილიგრიმი მიიჩქაროდა. ანრი-მაქსიმილიანს უბრად სიარული მოსწყინდა და ფეხს აუჩქარა.

- შემავედრეთ კომპოსტელს - მიაძახა მხიარულმა ფლამანდელმა.

- გამოცანა გერგებათ, სწორედ იქ მივდივარ.

ყავისფერკაპუშონიანმა პილიგრიმმა მოიხედა და ანრი-მაქსიმილიანმა ზენონი იცნო.

ეს აწოწილი, ხმელკისერა ბიჭი ეტყობა კიდევ ერთი წყრთით გაზრდილიყო მას უკან, რაც ერთად გაიპარნენ ბოლო შემოდგომის ბაზრობაზე. გაფითრებულ, ლამაზ სახეზე აშკარად ეწერა, რომ რაღაცა ღრღნიდა და მის ნაბიჯებშიც გაშმაგებული ლტოლვა იგრძნობოდა.

- გამარჯობა, მამიდაშვილო! - მხიარულად მიესალმა ანრი-მაქსიმილიანი. კანონიკი კამპანუსი მთელ ზამთარს გელოდათ ბურგში, ლუვენის ღირსმა მოძღვარმაც თქვენს მოლოდინში სულ წვერი დაიპუტა, მე კი აგერ, სად წაგაწყდით. მრუდე გზას დადგომიხართ, როგორც... არ ვიტყვი, ვინ.

- სენტ-ბავონის ეპისკოპოსმა სამსახური მიშოვა, - ფრთხილად მიუგო ზენონმა, - მგონი, საკმაოდ ღირსეული მფარველი მყავს, არა? სჯობს ის მითხრათ, რატომ დაეხეტებით მაწანწალასავით საფრანგეთის გზებზე.

- თქვენ თითქმის მიხვდით, - მიუგო უმცროსმა მოგზაურმა. მეც ისევე მივატოვე მამაჩემის კანტორა, როგორც თქვენ ღვთისმეტყველების სკოლა. თუმცა, თქვენ ისევ გიპოვიათ ღირსი მოძღვარი ეპისკოპოსის სახით...

- თქვენ ხუმრობთ და ჯერ ყოველთვის ვინმეს famulus უნდა გახდე.

- მაგას მუშკეტის ტარება სჯობს.

ზენონმა ათვალწუნებით შეხედა.

- მამათქვენი იმდენად მდიდარია, რომ არ გაუჭირდება ცეზარ შარლის ლანსკნეხტთა ასეული გიყიდოთ, ცხადია, თუ ორივეს მიგაჩნიათ, რომ სამხედრო სამსახური კაცისთვის მართებული ხელობაა.

- მამაჩემის ნაყიდი ლანსკნეხტთა ასეული მე ისევე მხიბლავს, როგორც თქვენ თქვენი აბატების პრებენდა, - შეესიტყვა ანრი-მაქსიმილიანი, - თანაც მანდილოსნის ჯეროვანი პატივისცემა მხოლოდ საფრანგეთში იციან.

დაცინვა მიზანს ასცდა. ანრი-მაქსიმილიანი შეჩერდა, რომ გლეხისგან ერთი მუჭა ალუბალი ეყიდა. ორივენი ფერდობზე დასხდნენ და ალუბალს შეექცნენ.

- რა სულელურად გამოწყობილხართ, - უთხრა ანრი-მაქსიმილიანმა და პილიგრიმის სამოსი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

- მართლაც, - მიუგო ზენონმა, - მაგრამ ყელში ამომივიდა ჩალასავით წიგნები. ცოცხალი ხელნაწერის წაკითხვა მინდა, ათასობით რომაული და არაბული ქარაგმისა და სიტყვის ამოხსნა. მინდა, ჩათვლით ამოვიკითხო ასოები, ხან მარცხნიდან მარჯვნივ რომ გარბიან, - აი ისე, როგორც ჩვენი გადამწერები წერენ, - ხან კი მარჯვნიდან მარცხნივ, აღმოსავლური მანუსკრიპტებივით. მინდა ვიხილო ჟამისა და ომის მომასწავებელი ლაქები, წითელი სისხლით დადაღული სათაურები; კიდევ - ნიშნები ყველგან - აქაც, იქაც - და ამ ნიშნებზე უფრო უცნაური ლაქები... განა საუკეთესო სამოსი არ ავირჩიე, რომ თვალში არავის მოვხვდე? მე ისე დავძვრები ქვეყანაზე, როგორც ჭიანჭველა ბალახებში.

- კეთილი და პატიოსანი, - უგულისყუროდ გაეპასუხა ანრი-მაქსიმილიანი, - მაგრამ რა გინდათ კომპოსტელში? მართალი გითხრათ, იმ ჩსუქებულ, დუდღუნა ბერებში ჩამჯდარი ვერ წარმომიდგენიხართ.

- უჰ, მაგ უქნარა ზაქებთან მე არაფერი მესაქმება, მაგრამ ლეონის იაკობინელთა წინამძღვარი ალქიმიითაა გატაცებული. ამ მტკნარ სულელს, რომელსაც თითქოს ბრმა ბედის წყალობით, იღბალი მოუვა ხოლმე და აკრძალულის ზღვარს მიადგება, მიმოწერა ჰქონდა ბიძაჩვენ ბართლომე კამპანუსთან. სენტ-ბავონის ეპისკოპოსმა მოიწერა ჩემზე, ჩამოვიდეს და რაც ვიცი, ყველაფერს ვასწავლიო. უნდა ვიჩქარო. აბატი მოხუცია და ვაითუ, მეხსიერება დაკარგოს ან მოკვდეს.

- იგი თქვენ ფოჩიან ხახვს გაჭმევთ და მოწყალედ დაგრთავთ ნებას, ქაფი მოხადოთ გოგირდით შენელებულ სპილენძის შეჭამანდს. ჩემდა თავად, მადლობა მომიხსენებია! სხვა თუ ვერაფერი დავიპყარი, ნუგბარ სასმელ-საჭმელს მაინც მოვინადირებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენონი უხმოდ ადგა. ანრი-მაქსიმილიანმა ბოლო ალუბლის კურკები გზაზე გადმოაფურთხა და...

- მშვიდობა საძირკველგამოცლილი კედელივით ირყევა. პრინცები ისე გლეჯენ ხელიდან ერთმანეთს ქვეყნებს, როგორც ლოთი-ფოთები კერძებს სამიკიტნოში. აქეთ პროვანსი - თაფლის ნაზუქი! იქით მილანი - გველთევზას მსუყე ღვეზელი! ამდენ რამეში დიდების ნამცეცს მეც გავუსინჯავ ალბათ გემოს.

- Ineptissima vanitas - ცივად თქვა კლერიკალმა, - მაშ, თქვენ კიდევ აფასებთ ძალაუფლებას, რომელიც პირის ქარია და სხვა არაფერი?

- მე ახლა თექვსმეტი წლის ვარ, მიუგო ანრი-მაქსიმილიანმა. თხუთმეტ წელიწადში გამოჩნდება, მარგუნა თუ არა ბედმა ალექსანდრეს სწორობა. ოცდაათ წელიწადში ეცოდინებათ, ვარ თუ არა განსვენებული ცეზარის ტოლი. აბა, ჩემი დღე და მოსწრება ლენის ქუჩის დუქანში ხომ არ ვიდგები და ფართლეულს ვზომავ?

საქმე კაცად გახდომაზეა.

- მე ოცი წლის ვარ, - დაასკვნა ზენონმა, - თუ ყველაფერი კარგად იქნება, წინ ცოდნის ოცდაათი წელი მიძევს, ვიდრე ეს თავი მიცვალებულის თავის ქალად გადაიქცევა. დათვერით პლუტარქეთი, ძმაო ანრი, მიბაძეთ მის გმირებს, მე უფრო მეტი მინდა გავხდე, ვიდრე კაცია.

- ჩემი გზა ალპებისკენ მიდის, - უთხრა ანრი-მაქსიმილიანმა.

- ჩემი პირენეებისკენ, - მიუგო ზენონმა.

ორივე გაჩუმდა. ჭადრის ხეივნით დამშვენებულ ფართე შარაგზას წინ თავისუფალი სამყაროს ნაჭერი გადაეშალა. ძალაუფლების მაძიებელი და ცოდნის მაძიებელი მხარდამხარ მიაბიჯებდნენ.

- აბა, იქით გაიხედეთ, - წამოიწყო ისევ ზენონმა, - ხედავთ, გაღმა მხარეს რომ სოფელია. იმის იქით კიდევ სხვა მოჩანს, აგერ, იმ მხარეს, მონასტერი დგას, იმის იქით სხვა მონასტრები; აჰა, ეს ციხესიმაგრეც, გადაღმა კიდევ სხვა მრავალი ჩანს და ყოველ მათგანში, ყველა ამ იდეათა ციხე-დარბაზსა თუ შეხედულებათა ქოხში, ხის ქოხსა და ქვის ციხედარბაზს რომ დასტრიალებს, ცხოვრება მედილეგედ უდგას უვიცებს და სამერცხლურს უტოვებს ბრძენთ. გადაღმა ალპები და იტალიაა, მის იქით პირენეები და ესპანეთი. ერთ მხარეს მირანდოლას ქვეყანაა, მეორე მხარეს - ავიცენასი. უფრო შორს ზღვაა, ზღვის იქით კი, უკიდეგანო სანაპიროზე, არაბეთი, მორეა, ინდოეთი და ორივე ამერიკაა. ყველგან, სადაც არ უნდა გაიხედო, მინდვრებში სამკურნალო ბალახები იცელება და მთებში იმალება ილეკრო, რომლის ყოველი ლითონი დიდი წიგნის ერთ წამს აღნიშნავს. მიცვალებულებს კბილებში გაუჩრიათ წმინდა წიგნები და ამ წიგნებში ყველა ღმერთი თავისას პირდება სამწყსოს. ბრბოში ყველა კაცს სამყაროს ჭიპი ჰგონია თავი. ვინ იქნება ისეთი სულელი, სანამ მოკვდებოდეს, ერთხელ მაინც არ მოიაროს თავისი საპყრობილე. როგორც ხედავთ, ძმაო ანრი, მე მართლა პილიგრიმი ვარ. წინ გრძელი გზა მიძევს, მაგრამ მეც ჭაბუკი ვარ.

- ქვეყანა დიდია, - თქვა ანრი-მაქსიმილიანმა.

- ქვეყანა დიდია, - დაუდასტურა ზენონმა, - მაგრამ იმას, ვინც სუფევს, იქნებ უნდა, რომ კაცის გული მთელი სიცოცხლე მდიდრდებოდეს.

და ისევ გაჩუმდნენ. უცბად ანრი-მაქსიმილიანმა შუბლზე ხელი იტკიცა და გადაიხარხარა:

- ზენონ, გახსოვთ თქვენი ამხანაგი კოლა გეელი, ლუდის წურბელა, თქვენი ძმა წმინდა იოანეს ამქრიდან. კოლამ მიატოვა მამაჩემის ფაბრიკა, სადაც, კაცმა რომ თქვას, ხალხი შიმშილით წყდება, ბრიუგეში ჩამოვიდა და ახლა, თავისი თომასის სულის საოხად, რომელსაც თქვენმა მანქანებმა თავი დააკარგვინა, მამაოჩვენოს ბურტყუნით ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და თქვენზე ამბობს, ეშმაკთან წილნაყარი, იუდა და ანტიქრისტეაო. მისი შეგირდი პიროტენი კი, ეშმაკმა დალახვროს, კაცმა არ იცის, სად გაქრა.

ჭაბუკ კლერიკალს სახე უსიამოვნოდ დაელრიჯა და დააბერა.

- ეგ ყველაფერი მიქარვაა! - მიუგო ზენონმა, - მოვეშვათ მაგ უტვინოებს. ეგ არიან, რანიც არიან: ხორცის გროვა, რომელსაც მამათქვენი ოქროდ აქცევს და მერე თქვენ დაეპატრონებით. ნურაფერს მეტყვით მანქანებსა და მოტეხილ კისრებზე, თუ არ გინდათ, მეც გაგახსენოთ დრანუტრის დალალისგან ნისიად წამოყვანილი ფეხებდაჩეჩქვილი ჭაკები, გაუბედურებული გოგოები და ღვინის კასრები, გასულ ზაფხულს რომ ძირი გააგდებინეთ.

ანრი-მაქსიმილიანმა პასუხად ფათერაკის მაძიებელთა სიმღერის სტვენა დაიწყო. ამის მერე, მხოლოდ გზების ავკარგიანობასა და სამიკიტნოების ფასებზეღა საუბრობდნენ.

უახლოეს გზაჯვარედინზე დაცილდნენ ერთმანეთს. ანრი-მაქსიმილიანი შარაგზას დაადგა, ზენონი შარაგზის გასაყარს, უეცრად ანრი-მაქსიმილიანი შემობრუნდა და ამხანაგს წამოეწია, მან პილიგრიმს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- ძმაო, გახსოვთ ვივინი, ფერმკრთალი გოგო, თქვენ რომ ექომაგებოდით, როცა ჩვენ, უზნეო ცუღლუტები, სკოლიდან გამოსვლისას, დუნდულებზე ვჩქმეტდით? იმ გოგოს უყვარხართ, ამბობს, აღთქმა მაქვს დადებულიო. ამ დღეებში ქალაქის თავს ცოლობაზე უარი სტკიცა. დეიდამისმა გაასილაქა და პურსა და წყალზე დასვა, მაგრამ გოგო მაგრად დგას და არ ტყდება. ასე ამბობს, მეორედ მოსვლამდე რომ მომიხდეს მოცდა, მაინც დაველოდებიო.

ზენონი შედგა. ყოყმანი წამიერად გაკრთა მის თვალებში და ისე უკვალოდ გაქრა, როგორც ზღვაში ნასროლი კენჭი.

- მით უარესი მისთვის, - მიუგო მან, - რა საერთოა ჩემსა და იმ გასილაქებულ გოგოს შორის? მე სხვა მელოდება, მასთან მივეშურები.

და გზას გაუდგა.

- ვინ? - ჰკითხა გაოგნებულმა ანრი-მაქსიმილიანმა.

ზენონი შემობრუნდა.

- Hic Zenon, - მიუგო მან. ჩემი თავი.

ფრანგულიდან თარგმნა **თამარ აბრამიშვილმა**

## მარგერიტ იურსენარი ინტერნეტში

http://www.kirjasto.sci.fi/margyour.htm
http://www.acs.ucalgary.ca/~bgill/YCours.html
http://users.skynet.be/yourcenar/cidmy.nouvelles.html
http://www.unil.ch/gybn/yourcenar/partie_1.htm
http://fimdamente.org/g-n/marguerite.htm
http://www.rapho.com/expos/marg/marg_fr.htm

არილი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლელა სამნიაშვილი



* * *

ფოთოლია თუ - ოქროს რკალია -
ძვირფასო, შენ რომ ხელში გიჭირავს?
ზედ დაეტევა წყვილი კალია,
ნემსიყლაპია, ანდაც - ჭრიჭინა.
შენ - სიყვარული - რკალად აქციე,
მე - რკალის - ფოთლად ქცევას ვაპირებ;
და ისე მიყვარს - ანიმაცია, -
ზედ მივახატავ - ნემსიყლაპიებს.

### გველის წელიწადი

მთელი თორმეტი წელიწადი მოვანდომე
ამ ზღაპრის თხრობას - შენთვის;
და ისევ - წრე იხსნება რკალად
და რკალი - ადგილიდან იძვრის,
მოცურავს. ჩემი ახალი ბეჭდის თვალი
ნათებას იწყებს. ეს არის - გველის წელიწადი.
თითიდან ვიძრობ, ვატრიალებ.
რა ჩავუთქვა? - სარკმლის მიღმა -
თეთრი ღრუბელი ლამაზია -
ფიჭვის მწვანე ღრუბელს დაჰყურებს.
მე ვისურვებ და ჰაერში - ფანტელები
ატივტივდება. მერე ისევ - ვაშტერდები -
ზამთრის ოთახის თუხთუხა წერტილს -
ჩაიდანს, - იგი კვლავ ამთქნარებს -
მოწყენისაგან; ის არ არის -
ზღაპრის ერთგული. რა ჩავუთქვა?! -
წვნიანი - მარილს რომ ვამატებ -
სულმთლად დამტკბარა. მარილი -
მკვდარი შაქარია. დღეს ცოცხლდება
ყველა კრისტალი და პატარა გოგო,
რომელიც - მზეთუნახავის ნაწნავებზე -
უარს ამბობდა, და თეთრი ცხენი
სურდა, ან - შავი, ოღონდ - ყველგან
თვითონ ექროლა; და მერე -
ამბის გასაგრძელებლად - ისტორიის
სახელმძღვანელოს კითხულობდა იქამდე, -
ვიდრე - სიტყვების თუ ოქროს ძიებით,
თუ - ციებით. - უცხო ქვეყანა არ
აღმოაჩინა; და ჩაუთქვა - თავისუფლება!
მაგრამ მისმა ძმადნაფიცებმა -
იმ ქვეყნის ხალხს - გრძელთმიანებს,
შუბლმოხატულებს - გვირგვინებიდან -
სათითაოდ დააცალეს ფერადი ფრთები,
და ვისკის ბოთლი შეაჩეჩეს ხელში
და მათი წინაპრების ჩრდილებით მბრწყინავ
მიწას - მომავლის ჯადო დაადეს.
და ჩაუთქვეს - სამშობლოსგან თავისუფლება!
და კონსერვის თავლია ქილა -
როგორც სამყაროს ახალთახალი
მაკეტი - წამში აშუშხუნდა -
ყველა ძველი ღმერთის ბაგესთან.
და იმ გოგომ წიგნი დახურა.
და ისევ - ზღაპარს დაუბრუნდა.
პირველივე ხომალდით - თავის
კოშკს მიაშურა და ჩირაღდნები
გამოკიდა, - ავი სულები რომ დაეფრთხო,
ბაბა-იგას - მისი კოშკი - ფეხებიან
ქოხად რომ არ გადაექცია. და თავისი
თეთრი კედებით - ამ კოშკიდან დადიოდა
სკოლაშიც და მეგობრებთანაც.
და ზღაპარი არც აქ დამთავრდა:
იგივე გველის წელიწადი, იგივე - ჩემი
წელიწადი კუდზე-ბეჭედით - მოსრიალებს,
რათა - ამბის გასაგრძელებლად -
თუკი ბაგეს სურვილი დარჩა, - დღეს
ჩაუთქვას და შენს კოშკსაც შემოეხვიოს.

* * *

ისინი - ჩემი დები -
ხელში - ძველი და მაინც
ძველებურად მოელვარე
ვაშლებით - დღემდე
ძვირფას ბავშვებად რჩებიან,
ტკბილად ჩურჩულებენ:
"დიახ, ბატონო!" მე კი -
ულირსი გოგო ვარ, რადგან
ღმერთი მიყვარს, როგორც - მარილი.
მლაშე ზღვიდან ამოტანილი
ფხა - მბრწყინავი და ჩხვლეტია -
შენი ფერდისთვისაც -
მტკივნეული იქნება. და მე -
ჯინსის იდაყვით - ჰაერს
ვკვეთ და ისევ ზღვისკენ
მივიწევ. ზღვები -
შენი თვალის გუგებშიც ტკბება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ორ ქალაქს შორის - ხეებად დარგულ
გზაზე ხეები - მგზავრების თვალებს -
ისევ თავისად დაიგულებენ, -
ბუდეებით და ფოთლებით რთავენ.
თუმცა თვალები - დღეს - სარკმელს დააქვს
და რიტმით - ბორბალს მიაქვს ცხოვრება, -
ერთი ქალაქი - მეორე ქალაქს -
კვლავ ხის ჩხირებით მიეჩხოვება.

* * *

დამწყემსე ჩემი ცხვარი, ვარსკვლავი
და სიტყვები - მთის ფერდობზე
შეფენილები, - სულ უფრო მაღლა
რომ მიიწევენ და ტოვებენ -
ათასნაირ ნაფეხურებს: წრეებს,
ფერად ნამტვრევებს, ლექსებს.
მე არ ვიცი - მათგან
რომელ ერთს უნდა ვდიო,
რომლისათვის უნდა ვიფხიზლო, -
იმ მთის მიღმა - რომელ მხარეს
უნდა გავუძღვე: ტყეში და ღრეში,
კონტინენტის შუაგულისკენ, ოკეანის
სანაპიროსკენ, თუ - სიზმრების მიმართულებით.
მე ხომ ვიცი - ჩამეძინება.
სიზმარა ვარ. ჩემი ცხვარი და
ვარსკვლავი და სიტყვები - ჩემი
სიზმრისაკენ მიიწევენ, იბნევიან,
იკარგებიან. მოაგროვე. თუ არც ერთი
არ აკლია, - ნუ მეტყვი რომ -
მატყუარა ვარ. ნუ მეტყვი რომ -
კარგი მწყემსი ვარ: ჭკვიანიც ვარ,
ლამაზიც ვარ, უშიშარიც ვარ.
დამწყემსე ჩემი სიყვარული.

**არილი**



## ედგარ ლი მასტერსი



### მსაჯული დონალდ შუმენი

მე მივიღე გაკვეთილი თვინიერების,
რადგანაც მივხვდი ათასგვარი ფორმალობები
სიკვდილს ძვრასაც კი ვერ უზამენ.
მსაჯულ ლეფლერის საფლავზე როცა
მივიტანე წესისამებრ კრძალვით გვირგვინი
მედავითნემ კანტორაში წადიო, მითხრა,
კანტორაში გაწაფულმა სტენოგრაფისტმა
გვირგვინი ხელათ ჩამომართვა და თან დასძინა:
"მიცვალებული რაზანია საცხედრეშია, ნომერი კი
ჯერაც არ ვიცით".
მე გამახსენდა მისი სიკვდილის თაობაზე
შემზარავი შეტყობინება.
იგი ჩადეს კუბოში, - მაგრამ ეს არ იყო ჯერ კიდევ ბოლო.
მეგობრები გარს შემოერტყნენ - მაგრამ არც ეს არ იყო ბოლო.
იგი იწვა სასამართლოს შენობაში - არც ეს არ იყო ბოლო.
გადაასვენეს ტაძარში,
სადაც ყველა გალობდა და ლოცულობდა
- არ იყო ბოლო.
საცხედრეშიც კი ლოცულობდნენ - მაგრამ იქაც არ ჩანდა ბოლო.

## ჰარტ კრეინი



### ზოგადი სახელი

პეპლების კრთომას და ფუტკრების ქროლვას ხვეულად
განგებამ კრძალვით მიუბოძა მოკლე საწუთრო,
და მათი ფრთები სახელდებით არ შერხეულა,
უსახელოა. ჩვენ კი გვინდა, რომ გავაცუდოთ

განგების ნება. და ამგვარად, პეპლებს ცალ-ცალად,
სწორედ ამიტომ ფრთებს უხეში ხელით ავწაპნით,
საკუთარ სახელს უსახელო ფრთების ნაცვალად
ავამზეურებთ. და ფუჭია ეს ცრუ ნაცვალი.

ო, რომ ძალგვიძდეს საკუთარი სახელის წაშლა
და დავიწყება იმის, რაც კი დავიდეთ შანთათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიფიქრებდით, რომ განგება ამაოდ დაშვრა
და ზოგად სახელს მოვძებნიდით წიაღში ჟამთა.

## ერნესტ ჰემინგუეი




### მონპარნასი

კვარტალში არ ხდება თვითმკვლელობა წესიერ ადამიანთა
შორის - თვითმკვლელობა, რომელსაც სასურველი ბოლო ექნება.
ახალგაზრდა ჩინელი თავს იკლავს და მკვდარია.
(მის გაზეთს მაინც აგდებენ წერილების ყუთში).
ახალგაზრდა ნორვეგიელი თავს იკლავს და მკვდარია.
(არავინ იცის, თუ სად გაქრა ახალგაზრდა ნორვეგიელის
ამხანაგი).
მენატურე ქალს ნახულობენ მარტოდმარტო თავის
საწოლში,
ისიც მკვდარია, ბოლომდე მკვდარი.
(კონსიერჟმა ჭირის დღეები გამოიარა).

აბუსალათინის ზეთი, ცილა, საპნიანი წყალი, წყალში
გახსნილი მდოგვი, კუჭის ამოსარეცხი ზონდი -
აი, რა შველის წესიერ და ნორმალურ ადამიანებს.

მათი ნახვა ყოველ საღამოს შეიძლება კაფეში.

## დონალდ ჯასტისი



### საგიჟეთი

ამას თავზე დამამშვიდებელი პერანგი გადააცვეს,
ის კი შინ დაითხოვეს,
იმას უბოძეს ხორცი და პური,
მაგრამ ცივი უარი სტკიცა.
ეს კი გაიძახოდა: "არა, არა, არა! -
დღე და მოსწრება.
ის ერთთავად სარკმელს უმზერდა
და სარკმელი ეგონა კედელი.
ეს ჭვრეტდა იმას, რაც არარსებულია.
იმას კი არსებული ედგა თვალწინ.
ის კი გაიძახოდა: "არა, არა, არა!" -
დღე და მოსწრება.

## უოლეს სტივენსი



### ღია ბარათი ვულკანიდან

სადმე ჩვენ ძვლებსაც ამოქექავენ
და არ მოუვათ აზრად არასდროს
ან ტრიალ თხემებს მელიებივით

ფეხმარდად როგორ ვსერავდით ხოლმე,
შემოდგომაზე ჩვენი ფილტვებიც
იწოვდნენ ყურძნის მწკლარტე ოხშივარს.

მათ ალბათ აზრად ის თუ მოუვათ,
რომ რაღაც მეტი დარჩა ჩვენს შემდეგ
ამ ქვეყანაზე. დარჩა საგანთა

წესი და რიგი. და თან ის გრძნობაც,
რომლითაც მზერას მათვე ვაბჯენდით
გაზაფხულზე რომ გადაყრუებულ

ძველ კარმიდამოს თავზე ღრუბლები
ეშურებიან და ნაავდრალი
ცა ისმენს სასოწარკვეთილ ქვითინს.

ეს ძველი სახლი ჩვენს დროსაც იდგა
და ამ ბაგეებს დაცდენილ სიტყვებს
აყურადებდა. აგერ, ბავშვებიც

წკნელებს სხეპენ და წნავენ გვირგვინებს
და ალბათ აზრზეც კი არ არიან
ჩვენგან წართქმულს რომ იმეორებენ.

ვითომდა, ძველი სახლის კედლებში -
მას აქეთ, რაც კი პატრონი მოკვდა
აღვირახსნილი აჩრდილი დაძრწის.

მწუხარე სახლი ტრიალ ბექობზე
აჩრდილთა მხვეტი მეძველმანეა
გაჩახჩახებულ მზით მოთხუპნილი.

ინგლისურიდან თარგმნა კახაბერ ბერიძემ

არილი

**ამერიკელი პოეტები ინტერნეტში**

http://www.csustan.edu/english/reuben/pal/chap7/crane_hart.html
http://www.csustan.edu/english/reuben/pal/chap7/masters.html
http://www.cs.umb.edu/jfklibrary/hemingway_menu.html
http://www.ernest.hemingway.com/
http://www.csustan.edu/english/reuben/pal/chap7/stevens.html
http://www.geocities.com/Paris/LeftBank/5810/justice.html
http://www.poetrypreviews.com/poets/poet-justice.html



მე-12 გვერდიდან

გოგონამ თავი გადმოყო.

- ტოტი! - დამიძახა ჩუმად.

- რა?

- ტოტი! - თითქოს ძაღლი ვიყავი და სახელად ტოტი მერქვა.

- ჰო, ტოტი! - ფართოფოთლებიან ტოტს დავწვდი და მივაწოდე. მერე მეორე მოვტეხე, ისიც მივაწოდე - უქნიე რამდენიც გინდა და ახტუნავე. თუ ერთი ტოტი წაგგლიჯეს, მეორე გამოიყენე.

- ვერ წამგლიჯავენ, - თქვა ხმადაბლა, - მთელი ღამე ვახტუნავებ.

- აბა, დილამდე! - მეც ხმადაბლა ვუთხარი და ბექობის ჩასასვლელისკენ გავემართე. ვგრძნობდი, დაძაბულობისგან ცალი მხარი მიცახცახებდა. ქვემოდან გამოუცნობი ხმები მოჰქონდა ქარს. წითელი ძაღლები არსად ჩანდნენ, მაგრამ ნიავის ყოველ დაქროლვაზე იგრძნობოდა მათი სიახლოვე. იქნებ მეც რომელიმე ხეზე ავმძვრალიყავი, როგორც ის ლოთი? მაგრამ მთელი ღამე ხეზე რა გამაჩერებდა - არა. ამას ვერაფრით დავუშვებდი. გარაჟში სეტერებმა ისევ ატეხეს ყეფა, რასაც ისევ წკმუტუნი მოყვა. "იხტუნავეთ, ძაღლებო!" - მომესმა წვრილი ხმა. ახლა საჭირო იყო გამეგო, უსაფრთხოდ იყვნენ თუ არა ჩემი ცოლი და შვილი. თუმცა, წარმოდგენა არ მქონდა, თუნდაც ტელეფონამდე როგორ უნდა მიმეღწია. გზაში ხომ დამჭამდნენ წითელი ძაღლები. რა შანსი მქონდა გადარჩენის? - არ ვიცი. იქნებ ჯობდა, მეც იმ მანქანიანი ბიჭების მსგავსად პირდაპირ გადავშვებულიყავი ომში, - ძაღლებთან ომში. მაგრამ სად მქონდა იარაღი? ხელდახელ ხომ არ შევებმებოდი წითელ პირუტყვებს. თუმცა, ზოგჯერ სწორედ რადიკალური ქმედება გიხსნის საფრთხისგან. მეორე მხრივ, რაც შეეხება იმ შეიარაღებულ ახალგაზრდებს, - რა მქონდა მე მათთან საერთო. სხვა სიტუაციაში თავიანთი იარაღი შეიძლებოდა ჩემთვისაც დაემიზნებინათ შუბლში. ეს იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე რეალური თუ წარმოსახვითი მიზეზის გამო მე მიმიჩნევდნენ მტრად. ვთქვათ - წითელ ძაღლად.

აი, გალიაში ორი აწრიალებული ძაღლია - ირლანდიური სეტერები. მათ თავისივე თანამოძმეებისგან ემუქრებათ შეჭმა. არსებობს თანამოძმეთა შეჭმის გამოკვეთილი ტენდენცია ჩვენს ქვეყანაში - ისევე, როგორც სხვაგან. მაგრამ ჩვენებური ტენდენცია სხვაზე გაცილებით მყარი და სისხლსავსეა. არსებობს ეს სისხლსავსე ტენდენცია ჩვენს თანამოძმეთა შორის - კლავ იმ მიზნით, რომ აღარ არსებობდეს. და აღარც არსებობს. მაგრამ ისევ იბადება და ისევ კლავ. და გამუდმებით პატარავდება. სწორედ ამაზეა ნათქვამი - ყოველი სამეფო, თავისთავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება, და ყოველი ქალაქი ან სახლი თავისთავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა. თუმცა ისიც ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. თუ ასეა, მაშინ სეტერებს შეჭმა არ ემუქრებათ. მათი ტყავი უნდა გადარჩეს. და მათთან ერთად უნდა გადარჩეს ისიც, ვინც მათ გვერდზეა, მათი მეგობარია. ვთქვათ, პურის ნაჭერს მიუგდებს. ან ძაღლური წკავწკავით გამოეპასუხება - ან ის, ვინც გალიის კარს გაუღებს - ან ის, ვინც მათთან ერთად დაჯდება გალიაში. რამეთუ ნათქვამია, - მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და მითხარი, ვინა ხარ შენ. - გონებაში ჩუმად წამოვიწკმუტუნე და გარაჟისკენ გავიხედე. რაღაც უცნაურმა მოტკბო ნოსტალგიამ დამიარა ქუსლებიდან თირკმელებამდე - რა არის არაბუნებრივი იმაში, რომ ერთი სახეობის სულიერმა არსებებმა თანამოძმედ მიიჩნიონ სხვა სახეობის სულიერი არსება. მე მათს ლეკვებს პურის ყუას დავუგდებ, დავუწრუპუნებ. ისინი მე ბაბას დამიძახებენ. "ბაბა! ბაბა!" - წვრილი ხმით შეჰყეფებენ წითელი ქოფაკების ფაკოლები. მე მათი რუხი კარდინალი ვიქნები. სადღაც ნერვიულად დარეკა ტელეფონმა. ცხვირში მკვეთრად მეცა მოტკბო და აყროლებული სუნი. მიწაზე, ბალახებში რაღაც ნარჩენები ეყარა. ასეთი სუნი ჰქონდა ჩვენს ქუჩაზე ნაგვის ბუნკერს. მე და ჩემი ცოლი მასში ყოველდღე ვყრიდით ნაგავს. საკუთარ მკლავებს დავხედე. სიბნელეში თეთრად და არაბუნებრივად ციმციმებდნენ. ცოტა მეტი ბეწვი მაინც მქონდეს - ვიფიქრე - ჩემი ტყავი სულაც არ ჰგავს ძაღლის ტყავს. თუმცა, არსებობენ სრულიად უბალნო, თითქმის ტიტველი ძაღლები. ამქვეყანაზე ბევრი არსებაა უბალნო, მაგრამ ყველას სიშიშვლე სხვადასხვანაირია. საერთოდ კი, სიშიშვლე თავისებური არქეტიპული სიმბოლოა. არსებობს ქართული ზღაპრები, რომლებიც ჩვენი წინაპრების ავადმყოფურმა ფანტაზიამ შექმნა. მათში მრავლადაა შიშველი სიმბოლოები, რომლებიც შემზარავი სახით გამოჩნდებიან სხვადასხვა ადგილას. იქ არის ქალაქი, რომელსაც უფლისწული განაგებს თავის ლამაზ ცოლთან ერთად. ერთ უცნაურ დღეს ქალაქში სამფეხა ცხენით შემოდის ვიღაც უცნობი, სახელად უღუნო. უფლისწულს სილას გაარტყამს და ძირს დაანარცხებს. მის ლამაზ ცოლს სამფეხა ცხენზე შემოიგდებს და გაქრება. სადღაც, სატახტო ქალაქის ახლოს, შავი, დაბურული უსიერი ტყეა. ტყეში ტიტველი მგელი ცხოვრობს თავის ლეკვებით. საკმარისია! ენა არარსებულ წინა კბილებზე მოვისვი. აყროლებულ წუმპეს ფრთხილად და უხმაუროდ გადავახტი. ჰაერი მრავალხმიანმა ყმუილმა შეძრა. ყმუილი იყო თუ ყიჟინა. როგორც ყიჟინა გამარჯვებულთა, უეცრად მწარე დამარცხება რომ მოჰყოლია. ან იქნებ, ესეც ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი იყო და მეტი არაფერი. მერე წინ, ქვემოთ, გერგეტის დაღმართზე, კარის ჭრიალი გაისმა. ქალის ხმა. კაცის ხმა. წყვეტილი დიალოგი.

- ...ბისგან აღარ ვიცი, რა ვქნა, - რაღაც ფრაზის დასასრული.

- ჰო, ჰო. შედი სახლში. კარი მოკეტე.

- თუ დაიგვიანებ, დარეკე.

- კაი.

- აუცილებლად დარეკე.

- ჰო, შედი და კარი არ გააღო.

მაღალი ლანდი პირდაპირ ჩემს ჩასწვრივ გაჩერდა.



ხელის ფარანი აანთო. ფარნის შუქი ხან მე მეცემოდა, ხან ხეებს და ბალახს.

- მეგობარო! - ჩავძახე ჩუმი ხმით, თუმცა, ეს უცნობიც, იმ ღლოთის არ იყოს, სულაც არ მიმაჩნდა მეგობრად.

ფარნის შუქი ახლა პირდაპირ სახეზე დამეცა. ხელი მოვიჩრდილე.

- მეგობარო.

- ბატონო, - ეჭვიანი და გულცივი პასუხი.

- მართალია, მაწანწალა ძაღლები შემოცვივდნენო?

- ამბობენ! - ისევ ცივი და ეჭვიანი ტონი.

- საშინელ ამბებს ყვებიან, - ვთქვი მე. სახეს ისევ ხელით ვიჩრდილავდი, - ღმერთმა ნუ ქნას, მართალი იყოს.

- ღმერთმა არ ქნას! - დამიდასტურა მან და ფარანი ჩაქრა.

ცოტა ხანში ქუჩის მოზუზუნე ელნათურის შუქზე მთლიანად გამოჩნდა მოსაუბრე - მაღალი ახალგაზრდა კაცი, ქამარში იარაღით.

- აქ პატარა გოგოა მარტოდმარტო. ასმათი ქვია, ხომ არ იცით, ვისია.

- არ ვიცი, - მშვიდად თქვა მან.

ეს იყო გაწონასწორებული, საკუთარ თავში დაჯერებული ადამიანი. ასეთების ყოველთვის მერიდებოდა.

სინათლის წრეში მეორე კაციც გამოჩნდა. ზუსტად ისეთი - იმავე სიმაღლის, ისევე ჩაცმული, ისეთივე იარაღით. საკვირველი იყო ასეთი მსგავსება. იქნებ ისინიც წითელი ძაღლების რომელიმე ნაირსახეობას წარმოადგენდნენ?

- დროზე დავიძრათ, თორემ დაჭამეს ქალაქი, - თქვა მოსულმა.

- წავედით!

დაიძრნენ. მერე პირველი მოსაუბრე ანაზდად შედგა.

- ძმაო! - ამომძახა სიბნელეში. თუმცა, ალბათ სულაც არ მივაჩნდი საკუთარ ძმად.

- ბატონო, - შევეცადე მისივე ტონით მეპასუხა.

- მანდ, გარაჟში სეტერები მყავს. ძმურად, ერთი შეამოწმე, კარი ხომ კარგად დაკეტილია.

გარაჟს მივუახლოვდი (მარჯვნივ, ქანდარის სახურავზე, მოჩანდა გადმოყოფილი პატარა ხელი, რომელსაც მოქანავე ტოტი ეჭირა). ცხაურის კარს ურდული ჰქონდა გაყრილი.

- ჩაკეტილია, ძმაო! - გავძახე - ჩაკეტილია. მშვიდად იარე.

ისევ დაიძრნენ. მათი ფეხისხმა მალე მიწყდა.

"მამაცხონებულო! - გავიფიქრე - ბავშვის ამბავი სულ არ გადარდებს. მარტო შენი სეტერები გენაღვლება!". ეჰ! ეს "მშვიდად იარე" მაინც რამ წამომაძახებინა? ვაითუ ისე გაიგოს, როგორც შეფარული დაცინვა. ვაითუ იფიქროს, რომ როგორც კი აქაურობას გაცდება, მე მის სეტერებს მოვიპარავ. ან მის ოჯახში შევიჭრები და დავაწიოკებ. ჩვენს დროში ხომ კაცი კაცს ველარ ენდობა. ეჰ! რატომ ვერ მოვისაზრე. კაცმა საკეტის შემოწმება მანდო. სამაგიეროდ მეც უნდა მეთხოვა, სახლში შევეშვი. თავს შევაფარებდი, თუ არადა, ტელეფონით მაინც დავრეკავდი. თუმცა, - გავიფიქრე, - თუმცა უცნობ კაცს, ღამით, ცოლ-შვილთან, როგორ დამტოვებდა. არა, არა. კიდევ კაი, არაფერი ვთხოვე! ჯანდაბას! ახლა ჯობია გადარჩენაზე ვიზრუნო. ჯერ გადარჩენა, მერე, რამენაირად, ტელეფონი. ირგვლივ ღამის სივრცე ძაღლების შორეულმა ხმებმა აავსო. მერე ყველაფერი მიჩუმდა. ეს სიჩუმე და მკვდრული სიცივე შიშის ეთერიულ ტალღებად შემეპარა გულში. საფრთხისგან, მოლოდინისგან, დაძაბულობისგან მუხლებში თითქმის გამომელია ძალა. ძლივს ჩავალწიე გერგეტის ვიწრო ქუჩაზე. აქ ჩემს წინ მიტოვებული და ცარიელი, ფანჯრებჩამსხვრეული ორსართულიანი შენობა იდგა. გარედან ოდნავ განათებული სადარბაზო, მოფლეთილი კარი, კიბე, მკვდრისებრი შუქი. მარჯვნივ და მარცხნივ, ადამიანებისგან მიტოვებულ დერეფნებში, სადაც მტვრის სქელ ფენაზე მწერებიც კი აღარ ფათურობდნენ, არცერთი ოთახის კარი არ იკეტებოდა. ნუთუ აქ უნდა აღმომხდეს სული? მტვერში ჩემი ძვლებიღა დარჩება. ჩემი შვილი ვერასოდეს გაიგებს, სად გაქრა მამა. ის უაზროდ გაიცინებს და იტყვის - არ ვიცი! არ ვიცი, - იტყვის - სად გაქრა ჯერ მამა, მერე დედა. ეს გამხეცებული ძაღლები ყველას შეჭამენ. მთელს ქალაქს გააპარტახებენ, როგორც სპარსელებმა გააპარტახეს ქალაქი ორასი წლის წინ. დამარცხებული ერეკლე ქალაქს ტოვებდა. ცხენდაცხენ, თავჩაქინდრული გადადიოდა მეტეხის ხიდზე. ქუჩებში მოქალაქეები გამოეფინენ. "სად მიდიხარ, ვის ხელში გვტოვებ, მეფე ირაკლი!". დამარცხებულმა ბერიკაცმა წამით მოზიდა აღვირი, ყოყმანით გადახედა ატირებულ ქვეშევრდომებს. მერე მყისვე მობრუნდა და ჯარის ნარჩენებთან ერთად სწრაფად დატოვა ასაკლებად განწირული ქალაქი. შემოდიოდნენ ირანელები. დაიწყო რბევა. ვინც გაასწრო, ურმებით გაზოზიალდნენ თიანეთისკენ. ვინც მოახერხა, ქონების ნაწილი გაზიდა. ამ უკანასკნელთ გზად დახვდნენ შეიარაღებული თანამოძმეები. უწყალოდ გაძარცვეს და გაულიტეს. ირანელების ნამუსრევს - ცარიელ ქუჩებს, მზეზე უაზროდ გაქვავებულ, გამოცარიელებულ შენობებს, შეესიენ გადარჩენილი მოქალაქეები - ისნელები, კრწანისელები, ლოტები თუ ლუტები. რაც ნახეს - გაზიდეს, სახლები ცეცხლს მისცეს, ქვა ქვაზე აღარ დატოვეს. იგივე ბედი ელოდა ახლაც ქალაქს. რაც ძაღლებს გადაურჩებათ, ალბათ ადამიანები გაანადგურებენ. მოდუნებული ნაბიჯით ავყევი ხის ფართო კიბეს, მარჯვნივ გავყევი გრძელ, გამოქვაბულის მსგავს დერეფანს. აქეთ და იქით ყოველი კარი მოფლეთილი. გავედი საერთო აივანზე. ოდესღაც შემინული ეს აივანი ლერმონტოვის ქუჩის მხრიდან ნახევარწრედ ერტყმოდა სართულს და მარცხნივ, ისევ დერეფნის მეორე ბოლოს უერთდებოდა. აქეთა მხრიდან სახლი სამსართულიანი იყო. წინ და ქვეშ ლერმონტოვის მოკირწყლულ ქუჩას ერთი ელნათურა ანათებდა. წვიმდა. შორიდან ისევ და ისევ აღწევდა ცისქვეშეთში გადაკარგული ყეფა. ვაი მას, ვინც ქუჩაში შეხვდება განსაცდელს. ან იმას, ვინც პირველ სართულზე ცხოვრობს, როგორც ჩემი ნაცნობი ტყუპი დები. ან იმას, ვისაც ფარღალალა კარები აქვს. ვაი ღარიბებს და უბინაოებს - ეს დამშეული ქოფაკები არაფერს დაერიდებიან, თვით მაწანწალა ძაღლებსაც დაჭამენ. აქ სეტერები გამახსენდა. რაღაც თითქოს ვერ იყო წესრიგში. რაღაც ეჭვმა შემიპყრო. თვალწინ დამიდგა სქელი მავთულწნულის გარაჟი, გასაწევი რაზა. და უეცრად მივხვდი - იქ რაზა თავის ბუდეში არ იჯდა. კარი ოდნავ შიგნით იყო შეწეული და რკინის რაზა თავისუფლად ეკიდა ჰაერში. გარედან თუ მძლავრად მიაწვებოდი, კარი იმდენად მაინც შეიღებოდა უკუღმართად, რომ თუნდაც ათასი წითელი ძაღლი მოახერხებდა გაძრომას. რკინის ამყოლებზე შემოხვეული ბოქლომიანი ჯაჭვი ამის საშუალებას იძლეოდა. ჰმ! აი ჭეშმარიტად ფსიქოანალიტიკური აღმოჩენა! ბოქლომი! რაზა! ბუდე! ამ სიტყვებს ხომ სრულიად კონკრეტული, სიმბოლური თუ ნიშნობრივი დატვირთვა ენიჭებათ! თუმცა რა დროს ფსიქოანალიზი და მისი სიმბოლოებია. პატრონი დაიმედებული გავუშვი. ისიც კი ვუთხარი, - მშვიდად იარე-მეთქი. ეს მაინც რაღამ მათქმევინა. იქნებ გაუცნობიერებელმა სურვილმა, რომ წითელ ძაღლებს ამ ამპარტავანი კაცის სეტერები დაეჭამათ. ან იქნებ - უბრალო დაუდევრობამ. ახლა მე თვითონ უნდა გამომესწორებინა ჩემივე დაუდევრობა - გოგონა, ღვთის მადლით, უხიფათო ადგილას იჯდა.

აივანს სირბილით შემოვუარე, და ის იყო, მარცხენა დერეფნის სიღრმეში შევდგი ფეხი, რომ უკნიდან ჩემი სახელი მომესმა - ვიღაც ხმამაღლა მეძახდა ლერმონტოვის ქუჩიდან.

მოწყვეტით შევჩერდი. ნუთუ მართლა მე მეძახიან?

ისევ ძახილი.

ნამდვილად ჩემს სახელს იძახდნენ. კაცის ხმა. მაგრამ ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იცოდეს აქ, ამ ღამეში, ჩემი სახელი?

პაუზა.

ისევ ძახილი.

და თითქოს ვიცანი - ეს მამაჩემის ხმას ჰგავდა. ან, სწორედ რომ ის იყო.

მაგრამ რა უნდა ამ შუაღამისას აქ მამაჩემს! მივბრუნდე? არა! ჯერ რაზას გავასწორებ! აბა სწრაფად! - გადავწყვიტე გულში და შლიგინით დავეშვი ხის კიბეზე, გარეთ გამავალი კარისკენ. აი გერგეტის ქუჩა, აი ბორცვი. უკნიდან - სახლს გადაღმიდან - ისევ მოისმა ძახილი. რამდენჯერ შეიძლება დაიძახოს? მიბრუნდება და წავა. მე კი ვერასოდეს გავიგებ, ნამდვილად მამაჩემი იყო, თუ ვიღაც სხვა ადამიანი უძახდა ვიღაც სულ სხვა ადამიანს - ჩემს სეხნიას. ესეც - გარაჟი. რაზა ზუსტად ისე დამხვდა, როგორც ვიეჭვე - ჰაერში ავადმყოფურად მოყანყალე. მავთულის კარს შიგნით მივაწექი. ჯაჭვი და ბოქლომი არაფერს შველოდა - წარმოქმნილ ღრიჭოში თავისუფლად გაეტეოდა ნებისმიერი წითელი თუ არაწითელი ქოფაკი, დამშეული მონსტრების მთელი სპა და სირა. ხელი შევყავი. სველი და ცივი რკინა. გამოვწიე. მოვქაჩე, ბუდეში ჩავსვი. სეტერები აღარ წმუოდნენ. ხმაურიანი ყეფით შემომახტნენ ხელზე, თბილი და რბილი ენებით, რომლებსაც დჰოლებისგან ამოჭმა ალბათ აღარ ემუქრებოდათ. ირლანდიური სეტერები - ქვეყნად ყველაზე მხტომარე და მხიარული მყეფარები. რაზა ბუდეში ჩავსვი და კარს დავეჯაჯგურე. მტკიცედ იდგა ადგილზე. ესეც ასე. უკანვე გავვარდი. ბორცვი ჩავირბინე. იქნებ ის, ვინც იძახდა, უკვე წავიდა? მიტოვებული სახლი. სადარბაზო. კიბე. ისევ დაძახილი. პაუზა. ისევ დაძახილი. ისევ პაუზა. ისევ. დიახ. ნამდვილად მამაჩემი უნდა ყოფილიყო. ზუსტად ასე მეძახდა ყოველთვის - ბავშვობაშიც და მერეც. თითქოს დაკარგული ვიყავი და ეჭვობდა, რომ არ გამოვჩნდები. გრძელი დერეფანი. ყველაზე მეტი წამები აქ, სიბნელეში დავკარგე. წინ - აივნის კარის ღიობი, ღამის ბუნდოვანი შუქით. რამდენი დაძახილი იყო. იქნებ უკვე მიბრუნდა და წავიდა? მეტისმეტად პუნქტუალური კაცია. ერთხელ ნათქვამს მეორედ არ იტყვის. რასაც იტყვის - გააკეთებს. ასეთი იყო ყოველთვის მამაჩემი. მისი მსგავსები ცოტანი არიან ჩვენს ქვეყანაში. ბევრნი რომ იყვნენ, ხომ გვეშველებოდა კიდეც. მახსოვს, ჩემს სიყმაწვილეში რაღაც საქმეზე დამიბარა, ქალაქის საბჭოს წინ, დიდი საათის ქვეშ. როცა მივედი, საათი მხოლოდ ორი წუთით იყო გადაცილებული დათქმულ დროს. ეს ორი წუთიც არ შემარჩინა.

- ევროპელი ჯენტლმენი, - დიდაქტიური ღიმილით მითხრა მან, - წუთით ადრე მივა შეხვედრის ადგილას. გაუთლელი ბარბაროსი კი - ორი წუთით დააგვიანებს.

ამ შეგონებამ ჩემზე არ გაჭრა. არასოდეს, არსად არ მისულვარ დროულად. რაც თავი მახსოვს, ყველგან და ყოველთვის ვაგვიანებდი. ასე გავიდა მრავალი, მრავალზე მრავალი წელი და მამაჩემმა კიდევ ერთხელ დამიბარა - ამჯერად უკვე ათი წუთით დავაგვიანე. იდგა ქუჩაში და შეწუხებული მიყურებდა მისკენ მიმავალს.

- ევროპელი ჯენტლმენი - მივუახლოვდი თუ არა დიდაქტიური ღიმილით დაიწყო, მაგრამ აღარ დაუმთავრებია - ხელი ჩაიქნია და საბუთების გასაფორმებლად - ზუსტად იმ საბუთების გასაფორმებლად, რომელთა გასაფორმებლადაც შევხვდით ერთმანეთს - მტკიცე ნაბიჯით გაემართა სანოტარო კანტორისკენ. ეს მოხდა ვაკეში. მას შემდეგ ამ თემაზე აღარაფერი უთქვამს.

რაც შეეხება დედაჩემს (დარწმუნებული ვარ, ყველას აინტერესებს მამებისა და დედების ამბავი) იგი ნიჭიერი, მაგრამ მეოცნებე ქალი გახლდათ. მეუღლის სრული ანტიპოდი. ახალგაზრდობაში ფორტეპიანოზე უკრავდა. მერე, როცა მამა უცხოეთში წავიდა და ბინა გამოვიცვალეთ, წლების მანძილზე თავის ტკივილები დასჩემდა. საბრალო ქალი მთელი ის წლები დასანახად ველარ იტანდა პიანინოს. ბოლოს თავის მონწოდება მაინც იპოვა - მოწაფეების აყვანა დაიწყო, სიმღერების შეთხზვა და შესრულება ფორტეპიანოს თანხლებით. უკანასკნელად რომ ვნახე, ჩვენს დიდ ბინაში, რომელსაც სულ გადატიხვრას და გადაკეთებას ვუპირებდით... არა. ვცდები. ეს ბინა რა ხანია, გავყიდეთ და დავიშალეთ. უკანასკნელად კი დედაჩემი ძაღლების შემოსევამდე ვნახე, თავის პატარა ბინაში, თმაშევერცხლილი და დამჭკნარი. იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, თოჯინასავით უჯდა პიანინოს და მღეროდა. რას მღეროდა, მე თვითონ არ მახსოვს. ალბათ, რაღაც ახალ სიმღერას. მთავარია, რომ - მღეროდა.

ახლა კი ეს უბედურება დაგვატყდა - ვიფიქრე სიმწრით - როგორ გავიგო დედაჩემის ამბავი, როგორ მივაღწიო ტელეფონამდე?

მთელმა ამ ყველაფერმა - ჩემმა გავარდნამ გერგეტის ქუჩაზე, უკან დაბრუნებამ. ბნელ დერეფანში სირბილმა - სულ რამდენიმე წამი წაიღო. მეშვიდე დაძახების მერე (ძახილებს არ ვითვლიდი. რაღაც მექანიზმი ჩემს ფსიქიკაში თავისთავად აფიქსირებდა ძახილთა რაოდენობას) მეშვიდე დაძახილის მერე მამაჩემის (თუ ეს მართლაც მამაჩემი იყო. საკვირველია, როგორ უნდა მოვეგნე აქ, ამ ღამის ქალაქში) ხმა მიწყდა. ეს უკანასკნელი შანსიც ჩემიანებთან დაკავშირებისა ხელიდან გავუშვი.

აივნის მოაჯირს მივაწყდი. კიდევ კარგი, დამპალი არ აღმოჩნდა. არ გადაემხო და არ გადავიჩეხე. წვიმას უკვე გადაელო. ქვემოთ, ლერმონტოვის ქუჩაზე ხეები შრიალებდნენ ნიავის დაბერვაზე. ცაცხვის ყვავილები მოგრძო ზანზალაკებივით ირხეოდნენ ფოთლებს შორის. ღამის ლამპიონით განათებულ მკრთალ წრეში, სველ ფილაქანზე, მამაჩემი იდგა. უფრო სწორად, კი არ იდგა, - უკვე მოძრაობას აკეთებდა - ბრუნი მარჯვნიდან მარცხნივ, და ნახევრად გადადგმული ნაბიჯი. ეს სურათი აღმებეჭდა თვალის ბადურაზე. სინათლეზე გაიელვა მისმა შევერცხლილმა კეფამ. უკვე მის ზურგს ვხედავდი. უკვე მიდიოდა. ქვემოთ უნდა დაშვებულიყო. იქით, ქალაქისკენ, სადაც წითელი ძაღლები დათარეშობდნენ.

მინდოდა მეყვირა: მე ვარ, მამა! გამოიხედე!

მაგრამ ჩემივე სიმჩატის და ბავშვური ატაცების შემრცხვა. ამიტომ წამის მეათედი დავაყოვნე და გავძახე - ისე, ვითომ არც ვიცოდი, ვინ მეძახდა:

- ჰო, აქა ვარ!

მამაჩემმა გადადგმულ ნაბიჯშივე, მიწაზე დაუდგმელად, გაიგონა ჩემი ხმა. მაშინვე მიცნო.


გამომცემლობა "ნაკადულმა" გამოსცა მრავალტომიანი ხელმოწერითი გამოცემის "ქართული მწერლობის" მომდევნო მე-17 ტომი. წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას შემოქმედება - რჩეული ლექსები, პოემები, პროზა, პიესა "მოკვეთილი", აგრეთვე წერილები: "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", "სად არის პოეზია?", "ნიჭიერი მწერალი", "ჩემი წუთისოფელი" და სხვ.

მსურველს ამ ტომის შეძენა შეუძლია წიგნით ვაჭრობის ობიექტებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარზე ახალგაზრდული ჩანთა ეკიდა. თვითონაც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ძველებურად მტკიცედ, უდრეკად და დაჯერებულად. არ ვიცი, რა სძენდა ამ სიმტკიცეს. კლდესავით მობრუნდა.

- კარგია, რომ გნახე - მშვიდად ამომძახა მან.

მინდოდა მეკითხა, როგორ მიპოვე-მეთქი. ეს ხომ უცხო სახლი იყო, უცხო ქუჩაზე. ისიც ვერაფრით გამეგო, ამ ღამით, წითელი ძაღლების შემოსევის ჟამს, ასე თავისუფლად როგორ მოძრაობდა ქალაქში. მაგრამ პირდაპირ შეკითხვებით დაწყება უხერხულად მეჩვენა. ამიტომ ვუპასუხე:

- გისმენ, მამა.

- ასმათი ავად არის. მაღალი სიცხე აქვს.

- ჩემი ცოლი? - ვკითხე შეცბუნებულმა, თანაც - გახარებულმა იმით, რომ, როგორც ჩანს, სხვა არაფერი უბედურება არ იყო ჩვენს თავზე.

- შენი ყოფილი ცოლი. დამირეკა და მთხოვა, რომ გადმომეცა: ხვალ დილას, ცხრის ნახევარზე უნდა მიხვიდე და ბავშვი სკოლაში წაიყვანო, - მამაჩემი მშვიდად საუბრობდა, მაგრამ მისი ხმა სიჩუმეში ისე მკაფიოდ აღწევდა ჩემამდე, თითქოს მის გვერდზე ვიდექი.

- კი მაგრამ... - დავიწყე.

- რა მაგრამ?

- კი მაგრამ, წითელი ძაღლები?! ქალაქში ხმა დადის, რომ წითელი ძაღლების ხროვები დაძრწიან! ბავშვის სკოლაში წაყვანა საშიში არ იქნება?

მამაჩემმა დაკვირვებით შემომხედა. თითქოს უნდოდა დაბეჯითებით გამოერკვია, ეს ამბავი წითელი ძაღლების შესახებ, მე ვუთხარი მას, თუ პირიქით - ვიღაცის ნათქვამს ვუმეორებდი.

- ყურადღებას ნუ მიაქცევ ჭორებს - მკაფიოდ წარმოთქვა მან - ხმები წითელი ძაღლების შემოსევის შესახებ ერთობ გაზვიადებულია. მართალია, გამოჩნდა გარეუბნებში მოწითალო ფერის რამდენიმე მაწანწალა ძაღლი, რომლებმაც სასურსათო საწყობი დაარბიეს, მაგრამ ისეთი უსაშველო არაფერია, დამფრთხალი ხალხი რომ ლაპარაკობს. შეგიძლია, თამამად იარო ქუჩებში. აქედან შენს სახლამდე ყველა ქუჩა განათებულია.

- მართლა?.. - ვთქვი ნირწამხდარმა და რაღაცით იმედგაცრუებულმა. სადღაც, გულის სიღრმეში დავიჭირე მოხითხითე სინანული - რომ წითელი ძაღლების შემოსევა ის არ აღმოჩნდა, რაც მეგონა, რომ სისხლმოწყურებული მხეცებისგან საფრთხე თითქმის არავის ემუქრება. რომ ინტელიგენტ მამაკაცებს შეუძლიათ თამამად განაგრძონ თავიანთი ინტელიგენტური საქმიანობა, რომ პირველ სართულზე მცხოვრებ მარტოსულ ქალებს ფანჯრებს არავინ შეულეწავს და თავიანთ მარტოსულ ბინებში არავინ ჩაჭამთ. რომ ჩემი ნაცნობი ტყუპი დებიც ალბათ სალ-სალამათი უსხედან ტელევიზორს და ლამაზი თვალებით უცქერიან საყვარელ სანახაობას, "სასწაულების მინდორი" რომ ეწოდება. ეს ყველაფერი - კარგი... მაგრამ ის იარაღიანი ბიჭები? ის ლოთი? თეა? ის აკანკალებული ქუჩის ქოფაკები?!...

- დაუჯერებელია! - ვიყვირე მთელი ხმით.

რაღაც ყეფასავით აღმომხდა.

მამამ განცვიფრებით ამომხედა.

- რა არის დაუჯერებელი?

- ის, რომ თურმე ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც მე მეგონა!

იგი წამით ყურადღებით დამაკვირდა.

- ნუ დაიჯერებ, თუ არ გინდა - ღიმილით მითხრა მერე - მაგრამ ხვალ დილას შენი შვილი მაინც უნდა წაიყვანო სკოლაში. სხვა შენს ნაცვლად არავინ იზამს ამას.

ეს მისი საყვარელი სენტენცია იყო.

ისევ კლდესავით იდგა. მერე შებრუნდა და მოზომილი მტკიცე ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. მისმა კეფამ ლამპიონის შუქზე გაიბრწყინა.

ნელა გავიარე დერეფანი. მკვდრისფერი შუქით ოდნავ განათებული სადარბაზო. გავედი სახლის უკანა მხარეს, ისევ გერგეტის ქუჩაზე. მოვძებნე ბორცვი, რომელზეც გოგონა დავტოვე, მოვძებნე რკინის კონსტრუქცია - საქანელა ქანდარებით.

- ასმათ! - დავუძახე.

პასუხი არ იყო.

- ასმათ!

პასუხი არ იყო.

ალბათ ჩამოხტა და წავიდა - ვიფიქრე - ან იქნებ დაეძინა. აღარ წვიმს. თბილა. საშიში არაფერია. თუ ძინავს, ჯობია არ გავაღვიძო.

- ასმათ! - დავიძახე უფრო ფრთხილად.

სრული მდუმარება. მხოლოდ - ნიავი, და გარაჟში მყოფი სეტერები აცკმუტდნენ. ჯერ წკმუტუნი მორთეს, მერე ერთმა ჩუმად შეჰყეფა.

"ალბათ წავიდა. რა გააჩერებდა ამდენ ხანს სახურავზე. მით უმეტეს, თუ არავითარი წითელი ძაღლები არ გამოჩნდებოდნენ - ვიფიქრე და შევბრუნდი - ტკბილად იძინე, ბავშვო!"

ქუჩას დავუყევი. დავითაშვილზე გავედი. წამით ვიფიქრე - ხომ არ მივიდე-მეთქი და ის ბედკრული ბოგანო ხომ არ ჩამოვიყვანო ხიდან. კარგი იქნებოდა, გამომერკვია - ვინ უთხრა, საიდან გაიგო წითელი ძაღლების შემოსევის ამბავი. იქნებ ეს მისი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი. კარგი იქნებოდა, მეკითხა - რა შეემთხვა ცხოვრებაში, რატომ გალოთდა ან - რას მირჩევდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რომ მეც მასავით ბოგანო და ლოთი არ გავმხდარიყავი. ეს ყველაფერი უნდა მეკითხა, შეკითხვებით სული ამომეძრო. მაგრამ, წარმოვიდგინე თუ არა მისი გაწყალებული თვალები, მივხვდი - ყოველი შეკითხვა ამაო იქნებოდა. ის უბედური უკვე ჩამოვიდოდა ხიდან. ალბათ მარტოდმარტო დგას ქუჩის კუთხეში, იგრიხება და პირს აცმაცუნებს - როგორც უზარმაზარი შავი ტარაკანი.

იქით აღარ გამიხედია. ჯაფარიძეზე გავუხვიე. ბოლომდე გავყვებოდი და მერე მარჯვნივ, დავეშვებოდი კიროვით, თავისუფლების მოედნამდე. ქალაქის საბჭოსთან გამოვედი. დიდი საათი პირველს უახლოვდებოდა. იქ გახსნილი ღრუბელი ჩანდა. და მთვარე - პირყვითელი, ცივი და დანაოჭებული. კაცის დამჭკნარი ტვინივით ეგდო ციური პოლიეთილენის შავ პარკში. თვალწინ წარმომიდგა ჩემი სახლი - ცარიელი და უკაცური - იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც დავტოვე დილას. არავის ხელი არ შეხებია მაგიდას, ჭურჭელს. არავის გადაუწმენდავს მტვერი. "ერთი უმანკო ლეკვის სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია, თუ ერთი გალოთებული ადამიანის?" - ვიფიქრე რატომღაც. დაბალ სქელ ღრუბლებს ქარი შორს მიაქროლებდა. სადღაც სიგნალი გაისმა. ძაღლების ღავღავი, ყეფა.

არ ვიცი, რა ძაღლები იყვნენ.

არც ის ვიცი, რა აზრი ჰქონდა ყველაფერ ამას - ვინ იყო ის გოგონა. ის ლოთი. ან ის ბიჭები, მანქანებით რომ მიისწრაფოდნენ სადღაც. ვინ ვიყავი მე?

არაფერი ეს არ ვიცოდი.

მხოლოდ ვგრძნობდი ჩემს ფიქრში რაღაც უხილავს და მძიმედ მატერიალურს - ეს წითელი ძაღლების წითელი ანაბეჭდი იყო.

არილი



ხულიო კორტასარი

# ედგარ პოს ცხოვრება



## ფინალი

დასაწყისი იხილეთ "არილი" N16, 17, 18 (2000), 1, 2, 3

თავიდან იყო შიში. ცნობილია, რომ ედგარს სიბნელის ეშინოდა, ვერ იძინებდა, მადი კი საათობით უჯდა თავთით და ამშვიდებდა მას. საკმარისი იყო, მადი ერთი წამით წამომდგარიყო და ედგარი მყისვე თვალებს ახელდა: "ცოტაც, მადი, ცოტაც..." - იხვეწებოდა იგი. დღისით სინათლე შველოდა, ფიქრსაც ახერხებდა, არადა, მას ჯერ კიდევ ჰქონდა ძალა და უნარი ბოლომდე დაეძაბა გონება, მოეკრიბა აზრი. სწორედ ასეთ მომენტებში იქმნებოდა "ევრიკა". გასაოცარი "ულალუმი" სრულიად სხვაგვარ ვითარებაში იშვა - იგი ღამის წყვდიადიდან, შემაძრწუნებელი ბუტბუტიდან ამოიზარდა.

1847 წელი. პო აჩრდილებს ერკინება, ღვინოსა და ოპიუმს უხმობს საშველად, მარია ლუიზა შიუს მფარველ ანგელოზად სახავს და ეს ქალბატონიც თავის მხრივ, ეთაყვანება პოს. მოგვიანებით იგი იხსენებდა, რომ "ზარები" პოეტმა მათი ერთ-ერთი საუბრის შემდეგ დაწერა და რომ პო ხშირად ცხადლივ ხედავდა ზმანებებს: იგონებდა და ჰყვებოდა ესპანეთსა და საფრანგეთში მოგზაურობის შესახებ, დუელებისა თუ სხვა სახიფათო თავგადასავლების ამბებს. მისის შიუ აღფრთოვანებული იყო პოს ნიჭითა და უზარმაზარ პატივს სცემდა მას. როცა გაირკვა, რომ ასეთ სიახლოვეს შიუს კომპრომეტირება შეეძლო, იგი, როგორც თავის დროზე ფრენსის ოსგუდი, იძულებული გახდა, დაშორებოდა მას და ამ დროს სცენაზე გამოჩნდა კიდევ ერთი ზეციური ქმნილება - სარა ელენ უიტმენი, პოეტესა (უნდა ითქვას, საკმაოდ უფერული) და საოცრად მომხიბლავი ქალი. იგი თითქოს ედგარ პოს მიერ განცდილი თუ გამოგონილი უმშვენიერესი ზმანებებიდან გადმოვიდა. თანაც, მას ელენე ერქვა - ეს სახელი ხომ მან თავის პირველ, ყმაწვილურ სიყვარულს შეარქვა. მისის უიტმენი ადრე დაქვრივდა, მას კარგად იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში და იმდროინდელი მოდის შესაბამისად იგი სპირიტიზმითაც იყო გატაცებული. პომ მყისვე აღმოაჩინა მსგავსება მასსა და "იმ" ელენეს შორის, მაგრამ ედგარი ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია: 1848 წელს იგი სასიყვარულო ბარათებს წერდა მისის უიტმენს და ისინი დღემდე იმსახურებს ეპისტოლარული ჟანრის თაყვანისმცემელთა აღფრთოვანებას, თუმცა ამ წელსვე გაიცნო მან მის ენ რიჩმონდი, ედგარი დაატყვევა მისმა თვალებმა (შეუძლებელია ბერენიკას კბილები არ გაგახსენდეს), ესტუმრა მას და ენის მეუღლისა და სხვა ნათესავების სიმპათია მოიპოვა. მისის რიჩმონდს იგი "დაიკო ენის" უწოდებს და ტკბება ამგვარი მეგობრული ურთიერთობით, სადაც ედგარმა ის სულიერი საყრდენი ჰპოვა, რომელსაც მუდამ ეძიებდა ქალებში; სამწუხაროდ, ერთი ქალი არ აღმოჩნდა ამისთვის საკმარისი.

ამ უკანასკნელ პერიოდში პომ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი, ძალზე უცნაური ნაბიჯი გადადგა, მისი საქციელი სრულიად გაუგებარი გახდა, იგი თითქოს გასცდა რაღაც ზღვარს. ედგარი კვლავ დაბრუნდა "თავის" რიჩმონდში, ლოთობდა, ბარებში - "დარბაისელი, პატივცემული საზოგადოების" გასაკვირად - "ევრიკას" კითხულობდა. მაგრამ იმავე რიჩმონდში, გამოფხიზლებულმა პოეტმა თავისი უკანასკნელი ბედნიერი დღეებიც გაატარა. იქ მას ერთგული, ძველი მეგობრები ჰყავდა და იქვე ეგულებოდა რამდენიმე ოჯახი, სადაც ყოველთვის მიესვლებოდა და სადაც მას სევდანარევი სიყვარულით ილებდნენ. არაერთი ცნობა შემოგვრჩა "ედის" ბავშვური ხუმრობებისა და თამაშების შესახებაც. ამ დროს ისევ გამოჩნდა ელმირა (როგორც ჩანს, შეხვედრა მის ერთ-ერთ ლექციაზე მოხდა), ედგარის ყმაწვილობისდროინდელი სიყვარული. ელმირა დაქვრივებულიყო, თუმცა ჯერ კიდევ არ დაევიწყებინა საქმრო, რომელიც ოდესღაც მშობლებმა დააშორეს - მასთან შეხვედრის შემდეგ ედგარი განუწყვეტლივ ელმირაზე ფიქრობდა. მაგრამ კიდევ იყო ელენე, საოცრად მომხიბლავი ქალი, მაგ-





სარა ელენ უიტმენი და ჯეინ სტენარდი (ელენე)

**ხულიო კორტასარი ინტერნეტში**

http://literatura.org/Cortazar/Cortazar.html
http://www.juliocortazar.com.ar/
http://www.civila.com/hispania/babilonia/
http://members.tripod.com/~cuentos/cortazar.html
http://members.tripod.com/cronopiocronopio/fotos.htm
http://www.mundolatino.org/cultura/juliocortazar/cortazar_3.htm
http://www.juliocortazar.com.ar/muestra.htm
http://www.ucm.es/info/especulo/numero2/cortazar.htm

ნიტივით რომ იზიდავდა პოს და ვისი გულისთვისაც იგი ნიუ-იორკში ჩავიდა. ედგარს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ხელი ეთხოვა. ელენეც თანახმა იყო, თუმცა გაურბოდა მეორეჯერ ქორწინებას. მან პირობა მისცა პოს, რომ იფიქრებდა და მალევე მიიღებდა გადაწყვეტილებას, ედგარი კი ენისთან ჩავიდა რიჩმონდში, რათა იქ დალოდებოდა პასუხს (პოს ხასიათის თუ გავითვალისწინებთ, ამ ნაბიჯმა არ უნდა გაგვაკვირვოს).

მოვლენების შემდგომი განვითარება ძნელად ექვემდებარება ახსნას. ედგარმა, როგორც იქნა, მიიღო წერილი ელენესგან - იგი კვლავ ყოყმანობდა, ენისთან ურთიერთობა კი, როგორც ჩანს, უფრო ძლიერ გრძნობაში გადაიზარდა, ყოველ შემთხვევაში, დამშვიდობებისას იგი ენის ევედრებოდა, რომ არ მიეტოვებინა უკანასკნელ წუთებში, ჩასულიყო მომაკვდავთან, როცა ამის დრო დადგებოდა. ედგარმა ვერაფრით შეარიგა რეალური და წარმოსახვითი, გაემგზავრა ელენესთან, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. "საერთოდ არ მახსოვს, რა მოხდა" - დაწერს იგი მოგვიანებით ერთ-ერთ წერილში და თავადვე მოყვება, როგორ ცდილობდა თავის მოკვლას. ბოსტონში მან ლაუდანუმი იყიდა და ნახევარი ფლაკონი დალია. მეორე ნახევრის მიღება (რომელიც მოკლავდა კიდეც მას) ვერ მოასწრო: ოპიუმს მიჩვეული ორგანიზმის რეაქცია ღებინების შეტევებით დასრულდა. მოგვიანებით, იგი მაინც მივიდა ელენესთან და ქორწინებაზე თანხმობა იმ პირობით მიიღო, რომ ამიერიდან უარს იტყოდა ნარკოტიკებისა და ნებისმიერი სტიმულატორის მიღებაზე. პო დათანხმდა და თავის კოტეჯში (ფორდჰემში) დაბრუნდა, რადგან მას მისის კლემი ელოდა, "ედის" არყოფნითა და უგუნურებით დამწუხრებული მოხუცი.

ვისაც სურს წარმოიდგინოს ედგარ პოს მაშინდელი მდგომარეობა, ელენის, ენისა და სხვა მეგობრებისადმი გაგზავნილი წერილები უნდა წაიკითხოს. სილაღაკე, შფოთვა, სევდა ელენესგან მიღებული თანხმობით არათუ განელდა, არამედ პირიქით, გამძაფრდა და საბოლოოდ აუწერელ და გამოუვალ კოშმარში გადაიზარდა. ედგარმა იცოდა, რომ ელენეს ნაცნობები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ელენეს უარი ეთქვა მის ცოლობაზე და ლედამისსაც შიშის ზარს სცემდა ამგვარი პერსპექტივა. ედგარი შეურაცხყოფილი იყო, რომ წინასწარ შედგენილი საქორწინო კონტრაქტით იგი მისის უიტმენის მოკრძალებული ქონების მიღმა რჩებოდა, თითქოს ვიღაც ავანტიურისტი ყოფილიყოს. ქორწინების წინა დღეებში პომ ლექცია წაიკითხა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ იმავე საღამოს ედგარის ენისთან ვიზიტების შესახებაც შეიტყო ელენემ და ამ ამბებთან დაკავშირებულ ჭორებსაც მოკრა ყური (მათში სიმართლის ნატამალიც კი არ ერია). თანაც ედგარმა მეგობრებთან დალია, ასე რომ, უკანასკნელ მომენტში ქორწილი ჩაიშალა. ელენემ პირობაზე უარი თქვა. ხვეწნა-მუდარას აზრი აღარ ჰქონდა. იგი ამბობდა, რომ უყვარდა ედგარი, მაგრამ თავისი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. სრულიად უიმედო ედგარი ფორდჰემში დაბრუნდა.

შესაძლოა სწორედ ამ უიმედობისა და სასოწარკვეთის გამო მოახერხა მან კვლავ - ამჯერად უკნასკნელად - წამომდგარიყო. გაექცა ჭორებს, ავსიტყვაობას, ლიტერატორებს, მათი წვრილმანი უსიამოვნებებით, შინ გამოიკეტა მისის კლემთან ერთად, მოიკრიბა ენერგიის უკანასკნელი ნაშთები და შეეცადა, წინ გადაედგა ნაბიჯი - გამოეცა ჟურნალი, რომელზეც მუდამ ფიქრობდა და კვლავ დაბრუნებოდა შემოქმედებით ცხოვრებას. 1849 წლის იანვრიდან ივნისამდე იგი "მიიმალა", თითქოს რაღაცის მოლოდინში იყო, მაგრამ არსებობს ლექსი "ენის", სადაც პო თავს მიცვალებულად აღწერს, სადაც იგი, როგორც იქნა მოკვდა, მოკვდა და თავი ბედნიერად იგრძნო. ედგარი საკმაოდ ჭკვიანი გახლდათ, რათა თავი მოეტყუებინა და ნიუ-იორკში ჩასული სასოწარკვეთილი სიხარბით ეტანებოდა ლაუდანუმს. რომელიღაც თაყვანისმცემელმა მას წერილი გამოუგზავნა და სანატრელი ჟურნალის დაფინანსება შესთავაზა. ეს უკანასკნელი შანსი იყო მის ცხოვრებაში - და უკანასკნელი კარტი. მაგრამ ედგარი, როგორც პუშკინი, კარტს ყოველთვის აგებდა ხოლმე და მან ვერც ამჯერად იმარჯვა. ფინალი ორ საზარელ ეტაპად გაგრძელდა - ერთი სასიყვარულო ინტერლუდიით.

1849 წლის ივლისში პომ დატოვა ნიუ-იორკი და კვლავ მშობლიურ რიჩმონდში გაემგზავრა. არავინ იცის, რატომ მოიქცა იგი ასე. იქნებ იდუმალი ინსტინქტი უბიძგებდა თავშესაფარი, მხარდაჭერა ეპოვნა. ედგარს ცუდი წინათგრძნობა ტანჯავდა; იგი დაემშვიდობა საბრალო მადის, რომელსაც უკვე ვეღარასდროს ნახავდა. ერთ-ერთ მეგობარ ქალს თვალცრემლიანმა უთხრა, რომ აღარასდროს დაბრუნდებოდა. იგი დარწმუნებული იყო ამაში. პო ცარიელი ნერვების ხლართად იქცა, მშვიდად სიტყვის წარმოთქმაც კი არ შეეძლო. არავინ იცის, როგორ აღმოჩნდა იგი ფილადელფიაში, რატომ გადაუხვია სამხრეთისკენ მიმავალ გზას. მაგრამ სადღაც ივლისის შუა რიცხვებში, შესაძლოა მრავალდღიანი ნარკოტიკული თრობის შემდეგ, ედგარი ჟურნალის რედაქციაში შევარდა, სადაც მეგობრები ეგულებოდა და სასოწარკვეთილი ევედრებოდა, ეხსნათ და დაეფარათ იგი. მას დევნის მანიის მწვავე შეტევები დაეწყო. ამტკიცებდა, რომ მადი გარდაიცვალა, თავის მოკვლასაც ცდილობდა, მაგრამ ვირჯინიას აჩრდილი აკავებდა მას... ჰალუცინაციები და აკვიატებული აზრები პოს რამდენიმე კვირის მანძილზე ტანჯავდა, შემდეგ უკეთ გახდა და შეძლო წერილიც კი მიეწერა მისის კლემისთვის, თუმცა ბარათის არსი შემდეგში მდგომარეობდა: "როგორც კი წერილს მიიღებ, დაუყოვნებლივ გამოემგზავრე... ჩვენ ერთად უნდა მოვკვდეთ. ნუ შეეცდები, გადამათქმევინო: მე უნდა მოვკვდე..." მეგობრებმა ფული შეაგროვეს და რიჩმონდში მიმავალ გემზე დასვეს ედგარი. მოგზაურობისას იგი თითქოს უკეთ გახდა და მადის ახალი წერილი გაუგზავნა. წერდა, რომ მის გარდა ვერავინ ანუგეშებდა, არავინ იზრუნებდა მასზე, განწირული და უმწეო ედგარი სრულ უიმედობას მოეცვა. ადამიანებს შორის ყველაზე მარტოსული მარტოობას ვერ იტანდა. რიჩმონდამდე ძლივს მისულმა, მორიგი საშინელი წერილი შეთხზა: "აქ ორი დოლარით ჩამოვედი, ერთს შენ გიგზავნი. ღმერთო ჩემო, დედი! კიდევ ვნახავთ თუ არა ერთმანეთს? ჩამოდი, ჩამოდი, თუკი შეგიძლია! ტანსაცმელი საზარელ დღეში მაქვს, თავსაც საშინლად ვგრძნობ!.."





ენი რიჩმონდი და სარა ელმირა როისტერი




მაგრამ რიჩმონდელმა მეგობრებმა მაინც მოახერხეს, გაეიოლებინათ მისთვის უკანასკნელი დღეები. ყურადღებით გარემოცული ვირჯინიის ჰაერით ტკბებოდა - ეს მხარე საბოლოოდ ერთადერთ მშობლიურ ადგილად დარჩა მისთვის. ედგარმა კიდევ ერთხელ გაცურა დინების საწინააღმდეგოდ; როგორც ოდესღაც ბავშვობაში, იგი კვლავაც აპობდა მდინარის შავ ტალღებს. ედგარი ძველებურად დასეირნობდა რიჩმონდის ქუჩებში, სტუმრად მიდიოდა, საღამოებს ესწრებოდა, სადაც მას, რა თქმა უნდა, "ყორანის" წაკითხვას თხოვდნენ, რომელიც ავტორის შესრულებით "დაუვიწყარ პოემად" იქცეოდა. კიდევ იყო ელმირა; ძველი სატრფო დარბაისელ ქვრივად გადაქცეულიყო. ედგარმა ელმირა ჩასვლისთანავე იპოვა - იგი ისე იქცეოდა, თითქოს წრის შეკვრა სურდა, გარკვეული ფორმის დასრულებას ესწრაფოდა. შემდეგ იტყვიან, რომ ედგარმა იცოდა ელმირას სიმდიდრის შესახებ. რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ საძაგლობა იქნებოდა, წარსულთან მის დაბრუნებაში მხოლოდ სიმდიდრის მაძიებლის გაქნილობა დავინახოთ. ელმირამ დაუფიქრებლად მიიღო მისი მეგობრობა, განახლებული არშიყობა. ახალგაზრდობისას იგი ცოლობას პირდებოდა ედგარს, გავიდა წლები და პო ისევ მის გვერდით აღმოჩნდა - საოცრად მომხიბლავი და იდუმალი, დიდების შარავანდედით მოსილი პოეტი, ვისი ნებისმიერი სკანდალიც გენიალობის დასტურად იქცეოდა ხოლმე. ელმირა ახლაც დათანხმდა ცოლობას და ედგარის გამო მომხდარი გაუგებრობების მიუხედავად, 1849 წლის სექტემბერში მაინც დაინიშნა ჯვრისწერის დღე. გადაწყდა, რომ ედგარი მადის ჩამოიყვანდა ჩრდილოეთიდან და თან გრისუოლდსაც შეხვდებოდა, რომელიც თანახმა იყო, პოს ნაშრომების გამოცემაზე ეზრუნა. ედგარი უკანასკნელად გამოვიდა რიჩმონდში, თავისი სახელგანთქმული ესე "პოეტური საწყისი" გაიმეორა და მეგობრებმაც დელიკატურად მოახერხეს მისთვის გზის ფულის გადაცემა. 1849 წლის 27 სექტემბერს, დილის ოთხ საათზე იგი ბალტიმორში მიმავალ გემზე ავიდა. როგორც ყოველთვის, ამგვარ შემთხვევებში, იგი ცუდი და დამთრგუნველი წინათგრძნობით იყო აღვსილი. ასე ადრეულად გამგზავრება (თუ ასე გვიან? ღამე ხომ მან რესტორანში გაატარა მეგობართან), როგორც ჩანს, რაღაც უეცარი კაპრიზით იყო გამოწვეული. ამ წამიდან ედგარ პოს ცხოვრება ბუნდოვნებამ და ნისლმა მოიცვა და იგი მხოლოდ იშვიათად თუ გვაძლევს ხოლმე ფინალის ნახვის საშუალებას.

უკვე ითქვა, რომ პოსთვის დეპრესიისას, რომელიც ნაწილობრივ გულის ტკივილებთან იყო დაკავშირებული, ალკოჰოლი იქცეოდა სტიმულატორად. მაგრამ სპირტიანი სასმელის უმცირესი დოზაც კი დამღუპველ ზემოქმედებას ახდენდა მის ტვინზე. რიჩმონდში ექიმებმა გააფრთხილეს ედგარი, რომ კიდევ ერთი ჩავარდნა საბოლოო აღმოჩნდებოდა მისთვის და ისინი არც შემცდარან. 29 სექტემბერს გემი ბალტიმორს მიადგა. პო მატარებლით აპირებდა ფილადელფიაში მისვლას, მაგრამ დიდხანს მოუწია ლოდინი სადგურში და სწორედ ამ რამდენიმე საათმა გადაწყვიტა მისი ბედი. ცნობილია, რომ როცა იგი თავის მეგობართან მივიდა, უკვე მთვრალი იყო. დანარჩენი შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ. ჩვენს წინაშე ხუთდღიანი ხარვეზია: ხუთი დღის შემდეგ ვინმე ექიმმა, პოს ნაცნობმა, ფანქრით დაჯღაბნილი ბარათი მიიღო, სადაც აუწყებდნენ, რომ "საშინლად ჩაცმული" ვიღაც ჯენტლმენი სასწრაფოდ საჭიროებდა მის დახმარებას. ბარათი ტიპოგრაფიის თანამშრომელმა დაწერა, რომელმაც დუქანში ბალტიმორელ ლოთებს შორის პო ამოიცნო. ქალაქში არჩევნები მიმდინარეობდა და მოწინააღმდეგე პარტიები ყველას ასმევდნენ, ვინც კი ამას მოისურვებდა და შემდეგ სხვადასხვა საარჩევნო უბანში დაათრევდნენ მათ. ზუსტად არავინ იცის, მაგრამ, როგორც ჩანს, პო დაქირავებულ ამომრჩევლად გამოიყენეს და შემდეგ დუქანში დააგდეს, სადაც ტიპოგრაფმა ნახა იგი. მოგვიანებით ექიმი აღწერს თავის შთაბეჭდილებებს და ნათელი გახდება, რომ ედგარი უკვე აღარ იყო ამ სამყაროსი, იგი სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთში აღმოჩნდა - მარტო, უკანმოუხედავად გადაეშვა კოშმარებში. უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასკნელი ძალები (მან კიდევ ხუთი დღე იცოცხლა ბალტიმორის საავადმყოფოში) საშინელ ჰალუცინაციებში დაიხარჯა, ექთნებთან ბრძოლაში, რომლებიც მის შეკავებას ცდილობდნენ, იგი სასოწარკვეთილი უხმობდა რეინოლდს, ჩრდილოეთ პოლუსის მკვლევარს, ვისმა ისტორიამაც დიდი გავლენა იქონია პოზე, როცა იგი "გორდონ პიმს" წერდა და ვინც, არავინ იცის, რატომ - უკანასკნელ მიწიერ სიმბოლოდ, პოს უკანასკნელ ხილვად იქცა. შეგახსენებთ, რომ პოს გმირმა პიმმა მოთხრობის ფინალში ყინულის გიგანტური ნატეხი დაინახა. ედგარს არც მადი ჰყავდა გვერდით, არც ენი და არც ელმირა. მათ არაფერი იცოდნენ. რაღაც მომენტში იგი თითქოს გონზეც მოვიდა და იკითხა, იყო თუ არა იმედი. მას უპასუხეს, რომ საქმე ვერ იყო კარგად. ედგარმა საპასუხოდ ესღა თქვა: "მაგას არა, სხვა რამეს ვგულისხმობ. არის თუ არა იმედი ისეთი არარაობისთვის, როგორიც მე ვარ?" იგი 1849 წლის 7 ოქტომბერს გარდაიცვალა ღამის სამ საათზე. "ღმერთმა უშველოს ჩემს საბრალო სულს" - აი მისი უკანასკნელი სიტყვები. მოგვიანებით, დაუცხრომელი ბიოგრაფები, მას ბევრ სხვა რამესაც ათქმევინებენ. ლეგენდა ლამის იმ წამიდანვე გაჩნდა და ედგარიც, რა თქმა უნდა, გულიანად გაერთობოდა თავისი თავის ახლიდან შექმნით, მოიგონებდა რაღაც ახალს, თავგზას აუბნევდა ადამიანებს და ფასდაუდებელი წარმოსახვის უნარს მითიური ცხოვრების აღწერას შესწირავდა.

თარგმნა

**შალვა მიზანდარმა**

### ედგარ პო ინტერნეტში

http://bau2.uibk.ac.at/sg/poe/poe.html
http://www.gothic.net/poe/
http://www.angelfire.com/ga/frazuh/poe.html
http://www.poetryloverspage.com/poets/poe/poe_ind.html
http://www.kirjasto.sci.fi/eapoe.htm
http://www.poemuseum.org/poe1.htm
http://www.geocities.com/yosmama151/poe/poe.html
http://www.heise.de/ix/raven/Literature/Authors/poe/life.html
http://www.eapoe.org/

**არილი**



ედგარ პოს საფლავი

**ხორხე ლუის ბორხესი**



# ედგარ ალან პო

ედგარ პოს სიტყვებს მიღმა (ისევე როგორც სვიფტის, კარლეილის ან ალმაფუერტეს შემთხვევაში) ნებისმიერს შეუძლია ნევროზი ამოიკითხოს. მისი შემოქმედების ამგვარ ანომალიასთან დაკავშირება აბსოლუტურად უსამართლო ნაბიჯიცაა და იმავდროულად სავსებით გამართლებულიც, გააჩნია, როგორ შეხედავ ამ მოვლენას. იგი უსამართლოა, თუკი ნევროზის მოხმობით დაწერილის გაუფასურებასა და უგულვებელყოფას ეცდებიან; სამართლიანია, თუკი ნევროზში დაწერილის უკეთ გაგების საშუალებებს ეძიებენ. როგორღაც არტურ შოპენჰაუერს უთქვამს, ჩვენი ნების გარეშე არაფერი დაგვემართებოდაო; ნევროზში, ისევე როგორც სხვა უბედურებებში, შეიძლება განსაკუთრებული მექანიზმი დავინახოთ, რისი მეშვეობითაც ადამიანი მიზანს უახლოვდება. ნევროზი გამოადგა პოს ფანტასტიკური ნოველის ჟანრის განახლებისას, შიშის გამოხატვის ლიტერატურული ხერხების გასამძაფრებლად. ასეც შეიძლება ითქვას: პო სიცოცხლეს შემოქმედებას სწირავდა მსხვერპლად. მან მოკვდავის ხვედრი სიკვდილისშემდგომ მომავალს ანაცვალა.

ჩვენი საუკუნე მეცხრამეტეზე უბედურია; ამ სამწუხარო პრივილეგიისგან იმით ვართ დავალებულნი, რომ მოგვიანებით (ჰენრი ჯეიმსისა და კაფკას მიერ) აგებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოჯოხეთური სივრცეები უფრო რთული და ახლობელი აღმოჩნდა ჩვენთვის, ვიდრე ედგარ პოს შექმნილი სამყაროები. მან სიკვდილისა და შეშლილობების სიმბოლოებით ისარგებლა, რათა სიცოცხლისადმი თავისი შიში გადმოეცა; იგი აუცილებლობად მიიჩნევდა, წიგნებში სიცოცხლის მშვენიერება დაეხატა, რათა კიდევ უფრო გაესვა ხაზი იმ საშინელებისთვის (სიკვდილისა და შიშისთვის), რომელიც ანგრევდა ამ სიცოცხლეს. სიმბოლოები ამსუბუქებდნენ მის გრძნობიერებას; საბრალო პოსთვის თავად არსებობის ფაქტი იყო საშინელება. გერმანული ლიტერატურის ბაძვაში დადანაშაულებულ პოს სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა: "ეს შიში გერმანიიდან კი არა, სულის სიღრმიდან მოდის".

პოს ლექსებზე უფრო დღეგრძელი და გამძლე თავად მისი, როგორც პოეტის ფიგურა აღმოჩნდა - მომავალი თაობების წარმოსახვისთვის ნაანდერძევი (იგივე დაემართა ლორდ ბაირონს, შესაძლოა გოეთესაც). დაუვიწყარი სტრიქონი - მაგალითად, "Was it not Fate, that, on this July midnight" - ზოგჯერ ამკობს და შესაძლოა ამართლებს კიდეც მის ნაწერებს; დანარჩენი უბრალო ბანალობაა, ტომას მურის წყალწყალა, უგემოვნო ბაძვა.

ოდესღაც ოლდოს ჰაქსლი იმით ერთობოდა, რომ ედგარ პოს განუმეორებელ დიალექტზე გადმოჰქონდა მილტონის დიდაქტიკური სტრიქონები. სავალალო შედეგის გასაქარწყლებლად ჰაქსლიმ ისიც შენიშნა, რომ "ტეტრაქორდონის" გაუვალ კილოზე თარგმნილი "ბერენიკას" ან "ოქროს ხოჭოს" რომელიმე აბზაცი უარესად გამოიყურებოდა. აზრი ედგარ პოს, როგორც ოსტატის შესახებ, რომელსაც საჯარო ოვაციების მიღმა დინჯი სიცხადით ამუშავებდა და ბოლომდე მიჰყავდა ჩანაფიქრი, არა იმდენად მისი შემოქმედებიდან მოდის, რამდენადაც "The Philosophy of Composition"-ში გადმოცემული დოქტრინიდან. ამ დოქტრინას შედეგად ზმანებათა საუფლო და იზრაფილი კი არა,მალარმე და პოლ ვალერი მოჰყვა.

პო პოეტად მიიჩნევდა თავს, მხოლოდ პოეტად. მაგრამ ვითარებამ იგი აიძულა, მოთხრობები ეწერა და სწორედ ამ მოთხრობებმა - რომლებსაც იგი ხალისის გარეშე წერდა და რომლებიც მხოლოდ ხანმოკლე, დროებით ულელად მიაჩნდა - მას უკვდავება მოუტანა. ზოგიერთ მათგანში ("სიმართლე იმის შესახებ, თუ რა დაემართა მისტერ ვოლდემარს"), შესანიშნავადაა გათვლილი ვითარება; სხვები ("ლიგეია", "წითელი სიკვდილის ნიღაბი", "ელეონორა") ყველანაირი გამონაგონის გარეშეც საოცარი წარმატებითართმევენ თავს დასახულ მიზნებს. ზოგიერთებმა კი ("ორმაგი მკვლელობა მორგის ქუჩაზე", "მოპარული წერილი") სათავე დაუდეს დეტექტივების უსასრულო ნაკადს, რომელთა წყალობითაც სტამბები დღემდე სრული დატვირთვით მუშაობენ და ამ ჟანრის შესაძლებლობები მხოლოდ იმიტომ არ ამოიწურა, რომ უილკი კოლინზმა, სტივენსონმა და ჩესტერტონმა შეიტანეს მასში თავიანთი წვლილი. მათ უკან ედგარ ალან პოს სევდა და ძრწოლა დგას.

ბოდლერის, მალარმესა და ვალერის წინაპარის, ედგარ პოს გარეშე წარმოუდგენელია და გაუგებარია დასავლური ლიტერატურა. ამასთანავე იგი რამდენიმე თავისი ლექსითა და უამრავი შეუდარებელი პროზაული გვერდით ზედროულისა და მარადიულის ბინადარი გახდა. ასეთ გვერდებს შორის დავასახელებდი "არტურ გორდონ პიმის მოგზაურობის" ფინალს, ამ კარგად ორგანიზებულ კოშმარს, რომლის ფარული საზრისიც - სითეთრეა.

შექსპირი წერდა, რომ უბედურება ტკბილ ნაყოფს ისხამს; ნევროზის, ლოთობის, სილატაკის, ნარკოტიკებისა და გამოუსწორებელი, უიმედო მარტოობის გარეშე არ იქნებოდა ედგარ პოს წიგნები. რეალური სამყაროდან გასაქცევად მან წარმოსახვითი შექმნა; მისი სიზმრები დღესაც ცოცხალია, დანარჩენი კი უფრო სიზმარს ჰგავს.

არსებობს მზაკვრული, ბოდლერის მიერ შემოტანილი და შოუს წყალობით დამკვიდრებული ტრადიცია ედგარ პოს აღზევებისა ამერიკის დამცირების ხარჯზე. ეს ტრადიცია პოეტს ანგელოზად სახავს, რომელიც დასაღუპადაა განწირული ცივ და გაუმაძღარ ჯოჯოხეთში. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ პო მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანას ვერ შეეთვისებოდა. რატომღაც არავინ ადიდებს ბოდლერს საფრანგეთის ან კოლრიჯს დიდი ბრიტანეთის დამცირების ხარჯზე.

თარგმნა **მაიკ კრავეიშვილმა**

**არილი**

## ხორხე ლუის ბორხესი ინტერნეტში

http://www.geocities.com/adonisestigarribia/
http://www.literatura.org/Borges/Borges.html
http://www.hum.au.dk/romansk/borges/borges.htm
http://www.wooster.edu/artfuldodge/borges.html
http://www.kirjasto.sci.fi/jlborges.htm
http://www.fst.com.ar/homeing.htm
http://bookbeat.searchbeat.com/authors/borges.htm
http://www.ups.edu/faculty/velez/FL380/Bormain.htm
http://www.bilkent.edu.tr/~sbahadir/borges.html
http://www.msu.edu/~comertod/breview.htm



ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ხარბედია

# ლამბარენელი განდეგილი

**1875 წლის 14 იანვარს, ზემო ელზასის პატარა ქალაქ კაიზერსბერგში, პასტორ ლუი შვაიცერს მეექვსე შვილი შეეძინა. იმ წელს მხარე ყურძნის უხვმა მოსავალმა წალეკა, სარდაფები წყალუკრავი ელზასური ღვინით აივსო. წლების შემდეგ კი უკვე აღიარებული ფილოსოფოსი და თეოლოგი, ორღანისტი და მუსიკათმცოდნე, ჰუმანისტი ალბერტ შვაიცერი სიამაყით აღნიშნავს, რომ დაიბადა ჰაილერ ფონ კაიზერსბერგის ქალაქში ყველაზე ნაყოფიერ წელს.**

* * *



ორი ენის, ორი კულტურის წიაღიდან გამოსული ალბერტ შვაიცერი XX საუკუნისთვის უჩვეულო სულიერი სიმრთელით გამოირჩეოდა. მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული უნივერსალური განათლება და ღრმა რელიგიურობა, პრაგმატიკოსი და პოეტი. იგი გატაცებით ასრულებდა ბახის თხზულებებს, მაგრამ არანაკლებ სიამოვნებას გვრიდა ფიზიკური სამუშაოც. წერდა წიგნებს თანამედროვე კულტურის პრობლემებზე და საავადმყოფოსა თუ სხვა საქველმოქმედო დაწესებულების "პროექტის" ავკარგიანობაზეც ფიქრობდა. მკურნალობდა დაავადებულ შავკანიანებს და კონცერტებს მართავდა ევროპის ქალაქებში. ზრუნავდა აფრიკის პატარა დასახლებაზე და უყურადღებოდ არ ტოვებდა მსოფლიოში მომხდარ არც ერთ მოვლენას, რომელიც თუნდაც ერთ სიცოცხლეს დაემუქრებოდა სიკვდილით.

ეს ადამიანი ცხოვრებისა და აზროვნების წესით ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს გვაგონებს. მის სიტყვას საქმე მოსდევდა, განსჯები კი ყოველთვის ღრმა ცოდნაზე იყო დაფუძნებული. მისი "სიცოცხლის ნება" ათასობით ადამიანს აჯილდოებდა სიცოცხლით, ნათელი გონება კი მუდამ ფიქრით იყო მოცული: სამყაროზე, ადამიანზე, მშვიდობაზე.

ევროპის ინტელექტუალურ წრეებში ახირებულ იდეად მონათლეს ოცდაათი წლის სახელმოხვეჭილი მეცნიერისა და მუსიკოსის გადაწყვეტილება, შეისწავლოს მედიცინა და დარჩენილი სიცოცხლე აფრიკის ჯუნგლებში გაატაროს, როგორც უბრალო ექიმმა. 1905 წელს თეოლოგიის პროფესორი თავს ანებებს ყველაფერს და კვლავ სტუდენტი ხდება, ამჯერად სამედიცინო ფაკულტეტისა. სწავლობს ქირურგიას, გინეკოლოგიას, თერაპიას, სტომატოლოგიას და 1913 წელს მეუღლესთან - ჰელენთან ერთად ლიტერატურული და საშემსრულებლო მოღვაწეობიდან მიღებული თანხებით მიემგზავრება აფრიკაში და მდინარე ოგოვეს ნაპირზე, ლამბარენეში აშენებს იმ მხარეში პირველ საავადმყოფოს. ველურ აფრიკაში გამოჩნდა ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობდა უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე სიცოცხლეა; და რომელმაც კარიერისტებისა და კოლონიზატორების ქაოსში შექმნა ეთიკურ მოძღვრებაზე დაფუძნებული კულტურა.

იგი უპირისპირდება დეკარტეს თეზისს - "ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ" და განავრცობს არსებობის, სიცოცხლის ცნებას. ამკვიდრებს ოპტიმისტურ მსოფლმხედველობას, ადამიანის შემოქმედებითი ძალების მამოძრავებელს და შემოაქვს ცნება - "სიცოცხლის პატივისცემა". მისი ფილოსოფიის მთავარი გმირი თავად შვაიცერია, "ეთიკური ადამიანი", რომლის აზრითაც მხოლოდ ეთიკური მსოფლმხედველობაა ჭეშმარიტად კულტურშემოქმედებითი ძალა, მსოფლმხედველობა, რომელსაც "სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ნება" წარმართავს. შოპენჰაუერის კვალად შვაიცერს ყოველგვარი ეთიკური თანალმობის გრძნობიდან გამოჰყავს, მაგრამ უარყოფს მის პასიურ, ასკეტურ განდეგილობას, ნირვანას. "სიცოცხლის ნება" მოქმედებისკენ მოუწოდებს ადამიანს, აიძულებს მას ყველაფერს თავისებურად მიუდგეს, იკისროს რაღაც პასუხისმგებლობა. "ცოდნა, რომელსაც სიცოცხლის ნების მეშვეობით მოვიპოვებ, უფრო მდიდარია, ვიდრე სამყაროზე დაკვირვებით მიღებული გამოცდილება" (ა.შვაიცერი).

ლუდვიგ ვიტგენშტაინი წერდა: "თუ წარმოვიდგენთ ყოვლისმცოდნე ადამიანს, რომელიც სრულყოფილად აღწერდა სამყაროს, ასეთ აღწერაში ადგილი აღარ დარჩებოდა ეთიკას". შვაიცერის მიერ აღწერილი სამყაროს სურათი სხვაგვარია, მისი "კოსმოგონიის" პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, იგი ასე აჟღერდება: "დასაბამიდან იყო საქმე - სიცოცხლე ინყება იქ, სადაც ძალას კარგავს სიტყვა". გარესამყაროს შესახებ მიღებული ცოდნა უიმედობამდე მიგვიყვანს, მასსა და ცხოველ აზრს შორის დიდი ზღვარია. ეთიკური არსებობა არაა რაღაც კანონების ერთიანობა, იგი უფრო მისტიკური ფაქტია, მოუხელთებელი, წამიერი მოვლენა, რომელშიც მხოლოდ a propos აღმოვჩნდებით, იგია სიცოცხლის პატივისცემა, თანაგრძნობის აქტი: "როცა ერთადერთი ბომბით კლავენ ასი ათასს - ჩემი ვალია დავუმტკიცო სამყაროს, რაოდენ ძვირფასია ერთის სიცოცხლე".

ლიტერატურულმა თუ საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ უზარმაზარი ავტორიტეტი მოუტანა ალბერტ შვაიცერს: მისი აფრიკაში ჩასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ მთელმა მსოფლიომ გაიცნო უწინ ყველასგან მიტოვებული პატარა აფრიკული დაბა - ლამბარენე და მისი მოძღვარი. შვაიცერის აზრს ითვალისწინებენ სახელმწიფოს მეთაურები, მწერლები, მეცნიერები. პირველი მსოფლიო ომის დროს აინშტაინთან, ცვაიგთან, რასელთან, როდენთან და შოუსთან ერთად იგი მხარს უჭერს რომენ როლანის ანტიმილიტარისტულ პოზიციას. შეურიგებელი იყო ფაშიზმთან ბრძოლაშიც: ჰებელსის მოწვევაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო დიდი ჰუმანისტის ჩასვლით, შვაიცერმა კატეგორიული უარი განაცხადა და პასუხს დამცინავი მინაწერი გაუკეთა: "ცენტრალურაფრიკული სალმით - ალბერტ შვაიცერი" (საქმე ის არის, რომ ჰებელსის წერილი ასე სრულდებოდა - "გერმანული სალმით იოზეფ პაულ ჰებელსი"), ხიროსიმის შემდეგ კი შვაიცერი მშვიდობისთვის მებრძოლთა ავანგარდში დგას, მის მოხსენებებს მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნიან, ითარგმნება წიგნებიც. იგი ახალგაზრდების კერპი ხდება, მის პატივსაცემად აწყობენ მსვლელობებს, წერენ წიგნებს დიდი ჰუმანისტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

1952 წელს ალბერტ შვაიცერს მშვიდობის ნობელის პრემიას ანიჭებენ, რომელსაც მოუცლელობის გამო მხოლოდ ორი წლის შემდეგ იღებს - 1954 წლის 4 ნოემბერს. მისი მოხსენების თემა იყო "მშვიდობის პრობლემა თანამედროვე სამყაროში".

ხანდაზმული მეცნიერი სიკვდილამდე სიცოცხლეს ემსახურებოდა, აინშტაინის სიტყვით: "მისი აფრიკაში გამგზავრება ერთგვარი ამბოხი იყო თანამედროვე ცივილიზაციის უწყალო კანონების წინააღმდეგ". ეს ამბოხი იყო ყველაზე მშვიდობიანი და ნაყოფიერი ცივილიზაციის ისტორიაში.

**არილი**



სტუდენტების მსვლელობა ოსლოში, ა. შვაიცერისადმი ნობელის პრემიის მინიჭების აღსანიშნავად (1954 წ.)

## ალბერტ შვაიცერი



# ჰუმანურობა

ჰუმანურობაში ჩვენ მოყვასისადმი ადამიანის კეთილ დამოკიდებულებას ვგულისხმობთ. ჰუმანურობაში ჰპოვა თავისი გამოხატულება ადამიანების სიკეთისადმი ლტოლვამ და ეს არა მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ეთიკური მცნებები გვავალდებულებდა ამას, არამედ იმიტომაც, რომ ქცევის ამგვარი წესი ჩვენი, ადამიანური არსის შესაბამისია.

ჰუმანურობა გვაიძულებს დიდ თუ მცირე საქმეებში გულისხმას ავყვეთ და მისი კარნახით ვიცხოვროთ. ჩვენ დიდი სიამოვნებით მხოლოდ იმ საქმეებს შევასრულებდით, რაც კარგი და მიღწევადი იქნებოდა საღი გონებისათვის, მაგრამ გულისხმა ხომ გონების კარნახზე უფრო მაღლა დგას. იგი მოითხოვს, მივნებდეთ ჩვენი რეალური არსის ყველაზე ღრმა დინებებს.

კაცობრიობას მუდამ როდი ჰქონდა ჰუმანურობის იდეალი. იგი მხოლოდ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა.

ჰუმანურობის, როგორც მოყვასთან ურთიერთობის ჩვეული, ადამიანური არსის შესაბამისი ცნება, პირველად რომაელმა სტოიკოსმა პანეციუსმა წამოაყენა (ქ.წ.-მდე 180-110).

ღრმა და ცხოვრებისეული ეთიკის შემომქმედნი და მაუწყებელნი იყვნენ ჩინეთში ლაო-ძი (დ.დაახლ.604 წ. ქ.წ.-მდე), კონფუციუსი (551-479 წ. ქ.წ.), მო-ძი

(V ს. ქ.წ.), მენ-ძი (დ.372 წ. ქ.წ.).

ინდოეთში მისი წარმომადგენელი იყო ბუდა (550-477 წ. ქ.წ.), ირანში კი ზარატუსტრა (VII მ. ქ.წ.).

ბერძნულ-რომაულ სამყაროში მას ავითარებდნენ ფილოსოფოსი ეპიკურე (341-270 წ. ქ.წ.) და გვიანი სტოიციზმის წარმომადგენლები: სენეკა (4 წ. ქ.წ.-65 წ.), ეპიქტეტე (დ.138 წ.) და იმპერატორი მარკუს ავრელიუსი (121-180).

ეპიქტეტე მონა იყო, რომელსაც რომაელმა ბატონმა თავისუფლება უბოძა. იმპერატორი მარკუს ავრელიუსი მისი მოწაფე გახდა.

ამ სტოიკოსი ფილოსოფოსების ჰუმანურობამ მონებისადმი ძმური დამოკიდებულების აუცილებლობაში ჰპოვა გამოხატულება. მათი ეთიკა ქრისტიანულს უახლოვდება, ისევე, როგორც რელიგიური რწმენა, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს. სენეკამ პირველმა აღნიშნა გლადიატორთა ბრძოლების ულმობელი, არაადამიანური ბუნების შესახებ.

ადამიანური ეთიკის ფუძემდებლები იუდეურ სამყაროში VII საუკუნის (ქ.წ.) წინასწარმეტყველები, ამოსი და ოსია იყვნენ.

სიკეთის შესახებ საოცრად გულშიჩამწვდომი სიტყვებით მოგვმართავს იესოს მოძღვრება და პავლე მოციქულის ეპისტოლეები.

მთის ქადაგება ნეტართა ხოტბით იწყება და მათ შორის არიან თვინიერნი, მოწყალენი და მშვიდობისმყოფელნი (მათ.5,5; 5,7; 5,9).

უკანასკნელ სიტყვაში, იერუსალიმის ტაძრად, იესო ხალხს აუწყებს, რომ განკითხვის ჟამს, ღვთის სასუფეველში მხოლოდ ისინი შევლენ, ვინც გულმოწყალე იყო უპოვართა მიმარ (მათ.25, 31-40).

ჭეშმარიტ სიყვარულს აქებს პავლე მოციქულიც: "სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს" (I კორ.13).

რელიგიას სიყვარულის საუფლოდ აცხადებს მისი ჰიმნის უკანასკნელი სიტყვები: "ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული - ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი".

და ვინ იცის, რამდენი სიყვარული



მოუტანა მთელი ასწლეულების მანძილზე კაცობრიობას ამ სიტყვებმა! რამდენისთვის იქცა იგი შეგონებად თუ იმედის საწინდრად!

ღრმა რელიგიურობამ და ყოვლისმომცველი აზროვნების უნარმა ერთად შვა და აუწყა კაცობრიობას ჰუმანურობის იდეალი. ეს ნიჭი ჩვენ მათგან მივიღეთ და მისი აღიარებისას სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი ნებისმიერი ჭეშმარიტი კულტურის ეთიკურ პირველსაფუძველს წარმოადგენს.

ახალ დროში მოაზროვნეთა მიერ აღიარებული ეს იდეალი ახალი ცოდნით გაღრმავდა და გამდიდრდა. ჩვენს წინაშე დადგა საკითხი - თანალმობა მხოლოდ ადამიანებს სჭირდებათ, თუ იგი ყოველი ცოცხალი არსებისკენ უნდა იყოს მიმართული?! მათი არსებობაც ხომ ჩვენსას ჰგავს. ეშინიათ, როგორც ჩვენ, იტანჯებიან და კვდებიან, როგორც ადამიანები.

როგორ მოხდა, რომ ადამიანებმა უარი თქვეს მათ დახმარებაზე, თანაგრძნობაზე? ჰუმანური იდეალის აღიარების მიუხედავად, ისინი ისევ ძველი, გულუბრყვილო წარმოდგენების უღელქვეშ იყვნენ მოქცეულნი, რომლის თანახმადაც, ადამიანი შექმნილი სამყაროს ბატონ-პატრონი იყო და სხვა ცოცხალ არსებებს სიბრალულისა და სინანულის გარეშე უნდა მოპყრობოდა.

თუმცა შუასაუკუნეებში ცხოვრობდა კაცი, ვინც ამ არსებებს სხვაგვარად შეხედა. იგი ფრანცისკ ასიზელი (1182-1226) გახლდათ, ფრანცისკანელთა ორდენის ფუძემდებელი. მისთვის ყველა ცხოველი ისეთივე ღმერთის ქმნილება იყო, როგორც ადამიანი და მათთან იგი უსიტყვოდ ურთიერთობდა, უყვარდა ისინი.

მაგრამ მისი ეპოქის ადამიანებს, ისევე როგორც მომდევნო თაობებს, ამაზე ფიქრით თავი არ შეუწუხებიათ. დეკარტი (1596-1650) კი საერთოდ შეეცადა საფუძველი მოეძებნა მათი ამ დაუნდობლობისთვის. იგი ასწავლიდა, რომ ცხოველებს სული არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ და ამიტომაც არც არაფერს გრძნობენ, რომ ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, თითქოს ისინი ტკივილს განიცდიდნენ.

თუმცა ის ჭეშმარიტება - რომლის თანახმადაც ადამიანი ყოველი ცოცხალი ქმნილების ბატონ-პატრონი კი არა, ძმა და თანატოლია - არ იქნა დავიწყებული. XVIII საუკუნეში მის დასაცავად გამოვიდნენ ის ადამიანები, ვინც ახლიდან აღმოაჩინა ეს იდეალები. თავიდან ისინი ცოტანი იყვნენ და ხშირად მათი მრწამსი დაცინვისა და გაკვირვების საგნად იქცეოდა ხოლმე. მაგრამ თანდათანობით ამ უჩვეულო თვალსაზრისებს ბევრი მიემხრო. დღეს იგი, როგორც იქნა, აღიარეს.

ნებისმიერი სიცოცხლის მიმართ პატივისცემა თავისთავად ცხადი და ადამიანის არსის სრულიად შესაბამისი ფენომენია. სკოლებში ბავშვებს ცოცხალი არსებების მიმართ სიყვარულს ასწავლიან და ამგვარი გადასვლა არჩევითიდან სრულ ჰუმანურობაზე, უარის თქმა გულუბრყვილო სისასტიკეზე - თავისთავად ბევრ რამეზე მიანიშნებს. ჩვენ სრული ეთიკური ცოდნის მოპოვების ბედნიერება შევიგრძენით.

ამიერიდან ყოველი ჩვენგანის ამოცანა სრულყოფილი სიკეთის წვდომაში მდგომარეობს, ანუ საკუთარ არსთან ზიარებაში. სიკეთე ისტორიის ქმედით ძალად უნდა იქცეს და აუწყოს კაცობრიობას ჰუმანურობის საუკუნის დასაწყისი.

დღეს კაცობრიობის ისტორია ჰუმანურ და არაჰუმანურ მსოფლმხედველობათა უპირატესობის საკითხს წყვეტს და თუკი ეს საკითხი ანტიჰუმანიზმის სასარგებლოდ გადაწყდება, კაცობრიობა დაიღუპება. მხოლოდ ჰუმანისტური მსოფლმხედველობის (რომელიც იმავდროულად ბირთვულ იარაღზე უარის თქმასაც ნიშნავს) ანტიჰუმანიზმზე გამარჯვება მოგვცემს საშუალებას, იმედის თვალით შევხედოთ მომავალს.

ჰუმანურობას, დღეს, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

თარგმნა სანდრო სილაბიძემ

არილი

**ალბერტ შვაიცერი ინტერნეტში**

http://www.gsas.eic.th.schule.de/
http://www.schweitzer.org/german/asdleb.htm
http://www.gymlai.ul.bw.schule.de/
http://www.albert-schweitzer-jugendorchester.de/
http://www.schweitzerinstitute.org/asi/Mindex.htm
http://www.albert-schweitzer-haus.de/
http://nobelprizes.com/nobel/peace/1952a.html

ზურაბ ჭიაბერაშვილი

# "დაკარგული ფასეულობების ძიებაში"




მართლაც რისკია, გამოსცემდე წიგნების სერიას სათაურით "საზოგადოება და პოლიტიკა" იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას როგორც საზოგადოების, ისე პოლიტიკის არსებობა. მაგრამ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ამ რისკიან ნაბიჯში, პირველ რიგში, სწორედ საზოგადოებისა და პოლიტიკის ფორმირების დიდი სურვილი უნდა დავინახოთ. აშკარაა, რომ ჩვენს პროტო-საზოგადოებაში არსებულ პრობლემათა გადაუჭრელობა პოლიტიკის, როგორც გადაწყვეტილებათა მიღების გამჭვირვალე მექანიზმის არარსებობის შედეგია. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ არ მიმდინარეობს საჯარო დისკუსია ყველაზე მტკივნეული საკითხების ირგვლივ (კავკასიური ინსტიტუტის მცდელობანი საერთო ამინდს ვერ ცვლის), სულ უფრო ძნელი ხდება, ამ პროტო-საზოგადოებიდან პასუხისმგებლობით აღჭურვილი საზოგადოება ჩამოყალიბდეს, ხოლო პოლიტიკა საკუთარი კლანური ინტერესების დაცვის არენიდან საზოგადოების ქმედით იარაღად იქცეს.

თუმცა ამგვარი განსჯები (რომელიც "საზოგადოება და პოლიტიკის" ფარგლებში გაშლილი დისკუსიის შემადგენელი ნაწილი შეიძლება გახდეს) სულაც არ შეადგენს ჩვენს მიზანს. იგი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ "არილის" მკითხველს სერიის მე-3 წიგნი წარვუდგინოთ. დემოკრატიის დილემებზე ჩაფიქრებულს, წიგნის კითხვისას, უცებ შეიძლება წამოგადგეს თავზე იდეოლოგიის აჩრდილი და მიღწეული სეკულარიზმიდან რელიგიური ფუნდამენტიზმისკენ უკუსვლა გიბრძანოს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იქნება "ისტორიის დასასრული". კითხვა და ფიქრი მხოლოდ საწყისია იმ პროცესისა, რომელშიც ჩვენი "საზოგადოება" ან პროტო-საზოგადოება საკუთარ კონტურებს შეიძენს.

"ქვეყანას კი არ მოეთხოვება მზადყოფნა დემოკრატიის მისაღებად, არამედ სწორედ დემოკრატიის მეშვეობით აღწევს იგი ამ მდგომარეობას", - ამ ერთი შეხედვით პარადოქსული ფორმულის გააზრებას XX საუკუნის ერთ-ერთ ძირითად მიღწევად მიიჩნევს 1998 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში ამარტია სენი, რომლის სტატიით "დემოკრატია, როგორც უნივერსალური ფასეულობა" იხსნება სერიის "საზოგადოება და პოლიტიკის" მე-3 ნომერი. არის თუ არა ჩვენი ქვეყანა XX საუკუნეში? - ბუნებრივად გებადება კითხვა, როცა იხსენებ ხელისუფლების საყვარელ ფრაზას "ამისათვის ხალხი მზად არ არის". სიტყვა "ამისთვის" კი მოიცავს ყველაფერს, დაწყებულს თბილისის მერის არჩევიდან და დამთავრებულს პროკურატურის თუ შსს-ს ძირეული რეფორმით.

ამარტია სენის სტატიის ნაწილი "დემოკრატია და ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ამარტია სენი

მიკური განვითარების საკითხი" იმ თეზისის უარყოფას ეძღვნება, თითქოსდა "არადემოკრატიული სისტემები უფრო ეფექტურია ეკონომიკის განვითარებისათვის". საქართველოში ამ თეზისის მართებულობის დამტკიცებას ვერავინ ეცდება ერთი უბრალო მიზეზის გამო: საქართველოს ხელისუფლებამ არადემოკრატიული თუ ნაკლული დემოკრატიის სისტემაშიც ვერ განავითარა ეფექტურად ეკონომიკა. ასე რომ, მკითხველმა (განსაკუთრებით თუ იგი ხელისუფლების წარმომადგენელია) პირდაპირ ცნობად უნდა მიიღოს, რომ "თავიანთი პოლიტიკური და სამოქალაქო ცვლილებების გამოყენება ხალხს საშუალებას აძლევს, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (მათ შორის, ეკონომიკურზე - ზ.ჭ.) გაამახვილებინოს საზოგადოებას ყურადღება და შესაბამისი ზომების მიღება მოითხოვოს".

სწორედ იმის გამო, რომ დემოკრატიისათვის ხალხის მზაობას აყენებენ ეჭვქვეშ, ხშირად იმასაც ამტკიცებენ, თითქოს "ღატაკს პური სჭირდება და არა დემოკრატია". ამის საწინააღმდეგოდ ამარტია სენი, ჯერ ერთი, ზემოაღნიშნულ არგუმენტს იმეორებს, მეორე მხრივ კი, აცხადებს: "არაფრით მტკიცდება, თითქოსდა ღარიბებს, არჩევანი რომ ჰქონდეთ, დემოკრატიას უარყოფდნენ". უფრო პირიქით, სიღარიბესა და სიბნელეში (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) ხალხის ჩატოვება საუკეთესო საშუალებაა ბევრი ხელისუფლებისთვის, რომ "ხალხის მოუმზადებლობის" არგუმენტი მოიშველიოს.

ქართული საზოგადოებისათვის მართლაც საჭირბოროტო საკითხად იქცა დემოკრატიის, როგორც ღირებულების, და "ეროვნულ ფასეულობათა" მიმართების საკითხი. ამარტია სენის მახვილგონივრული დაკვირვება ერთ საინტერესო დეტალს გამოკვეთს: "საერთოდ, ყბადაღებულ "აზიურ ფასეულობათა" ერთმნიშვნელოვანი აღქმა, როგორც რაღაც წინააღმდეგობრივისა დემოკრატიისა და პოლიტიკურ უფლებათა მიმართ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იქნებ ამ თეზისის მეცნიერულად დასაბუთების მოთხოვნა გულუბრყვილობაც კი იყოს ჩვენი მხრივ - მის მქადაგებელთა შორის არცერთი ანალიტიკოსი არაა: მხოლოდ პოლიტიკური ფუნქციონერები, ისიც უმეტესად ავტორიტარული რეჟიმების ოფიციალური თუ არაოფიციალური დამცველები (ე. შევარდნაძე თუ გ. შარაძე - ზ.ჭ.) გამოდიან ამგვარი ლოზუნგებით". ავტორის მსჯელობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ "სიჭრელე უმრავლეს კულტურათა ნიშანდობლივი მახასიათებელია მთელ მსოფლიოში, და ამ მხრივ არც დასავლური ცივილიზაციაა გამონაკლისი".

იმის გამო, რომ სწორედ სხვადასხვა კულტურულ ნიადაგზე უხდება ჩაფესვება, დემოკრატიას ყოველდღიურად უწევს გამოცდის ჩაბარება ჩვენი გონების წინაშე - რჩება თუ არა იგი ჩვენი ცხოვრების ყველაზე გამოსადეგ იარაღად. ამარტია სენის ოპტიმიზმის საპირისპიროდ, ასევე ინდური წარმოშობის მეორე ავტორი, ჟურნალ "Foreign Affairs"-ის ერთ-ერთი რედაქტორი ფარიდ ზაქარია უფრო პესიმისტურად უყურებს დემოკრატიის საყოველთაოდ გავრცელების ფაქტს.

სტატიაში "არალიბერალური დემოკრატიის აღზევება" ფარიდ ზაქარია, უპირველესად ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ "დემოკრატიულად არჩეული რეჟიმები - ხშირად ისინი, ვინც ხელახლა იქნენ არჩეული ან დამტკიცებული რეფერენდუმების გზით - უგულებელყოფდნენ მათი ძალაუფლების კონსტიტუციურ საზღვრებს და საკუთარ მოქალაქეებს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ართმევენ" (მხოლოდ დროით ფაქტორს უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ რუსეთის, არგენტინის, ირანის, ეთიოპიის, ყაზახეთის, ბელორუსიის, რუმინეთისა თუ ბანგლადეშის მაგალითების გვერდით ფარიდ ზაქარია საქართველოში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს არ იხილავს. თუმცა ამ "დანაკლისს" მკითხველს შეუვსებს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის სადისკუსიო წერილების სერიის პირველი გამოცემა "როგორი ქვეყანა ვართ 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?").

ფარიდ ზაქარიას შეშფოთებას იწვევს ის, რომ დემოკრატიის გავრცელება ამა თუ იმ ქვეყანაზე არ ნიშნავს ამ ქვეყანაში სამოქალაქო უფლებებისა თუ კანონის უზენაესობის ავტომატურ დამკვიდრებას. "მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ კარგად მოირგო კაპიტალიზმის სხვადასხვა ვარიაცია, მათ ასევე შეუძლიათ დემოკრატიის განსხვავებული ფორმების მიღება", - წერს ავტორი იმაზე მინიშნებით, რომ დემოკრატიულად არჩეულმა ხელისუფლებამ სწორედ რომ დემოკრატიის ნაკლოვანი ფორმა შეიძლება მოირგოს საკუთარ სხეულზე.

ფარიდ ზაქარიას განხილვის საგანი დემოკრატიის (უბრალო არჩევითობად გაგებული) და კონსტიტუციური ლიბერალიზმის (ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფა კანონის უზენაესობის პირობებში) მიმართებაა. "კონსტიტუციურმა ლიბერალიზმმა დემოკრატიასთან მიგვიყვანა, მაგრამ დემოკრატიას, როგორც ჩანს, კონსტიტუციურ ლიბერალიზმამდე არ მივყავართ", - ასეთია მისი დასკვნა, რომელიც მდიდარ ინფორმაციულ მასალას ეყრდნობა.

ფარიდ ზაქარიას უკმაყოფილება "დემოკრატიის ხარისხით" ჯეიმს მედისონისა თუ ალექსის დე ტოკვილის გაფრთხილებას ეხმიანება "უმრავლესობის ტირანიის შესახებ". ავტორის უკმაყოფილება ეფუძნება იმის აღიარებას, რომ უფრო ხშირად სავალალო შედეგები ამა თუ იმ საზოგადოებაში დემოკრატიულად არჩეული მთავრობების რწმენას ემყარება, თითქოსდა მათ აბსოლუტური ძალაუფლება ეკუთვნით.

იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფარიდ ზაქარიას სტატიის კითხვა ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს, თუმცა ჩვენი მხრიდან ამის აღნიშვნა არ ნიშნავს ამ სტატიის წაკითხვაზე რამე ინტელექტუალური ლიცენზიის დაწესების მოთხოვნას. ავტორის მიერ დემოკრატიის კრიტიკა ქართველ ავტორიტართა მეტყველებაში შეიძლება იქნას გამოყენებული იმ მოტივით, თითქოსდა დასავლეთი ისეთ პოლიტიკურ სისტემას გვაჩეჩებდეს, რომლის ნაკლოვანებები უკვე თავისთავად ცხადია. მაგრამ ჩვენი რჩევა მკითხველისათვის მხოლოდ იმაზე მითითება შეიძლება იყოს, რითაც ამარტია სენის სტატია იწყება.

"ბევრი დასავლური მთავრობა და მეცნიერი ხელს უწ-

ყობს ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნას მესამე სამყაროში", - ზაქარიას ეს საყვედურიც საკმაოდ ჟღერადია ჩვენს საზოგადოებაში. მართლაც, ქართველი ამომრჩევლის თვალში ნდობა დასავლეთის მიმართ მკვეთრად იკლებს, როცა იგი მის თვალწინ გაყალბებული არჩევნების საერთაშორისო შეფასებას ისმენს ანდა კორუმპირებული მთავრობისათვის მორიგი კრედიტის გამოყოფის შესახებ იღებს ცნობას.

სტატიის ერთმა მონაკვეთმა ჩვენი "საზოგადოების" კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემაზე მიმითითა. "პლურალიზმის არსებობა წარსულში ხელს უწყობს პოლიტიკური პლურალიზმის არსებობას აწმყოში", - მიიჩნევს ფარიდ ზაქარია და შემდეგი მაგალითი მოჰყავს: "დამთხვევა არ არის, რომ XX საუკუნის ესპანეთში ლიბერალიზმის პლაცდარმი კატალონიაში იყო". მკითხველი იქნებ დააფიქროს იმ ფაქტმა, რომ ჩვენს პროტო-საზოგადოებას არც ამ მხრივ "გაუმართლა". პოლიტიკური პლურალიზმი - თბილისი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი - განა გამოდგება იმისათვის, რომ იგი კონსტიტუციური ლიბერალიზმის საფუძველი გახდეს?

ამ კითხვაზე ირიბი პასუხი უკვე სტატიაში შეიძლება ვიხილოთ, როცა ზაქარია წერს: "იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან დამყარებულნი კონსტიტუციურ ლიბერალიზმზე, დემოკრატიის აღზევებას ჰიპერნაციონალიზმი და ომის მოთხოვნები მოჰყვება. ...პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები, რომლებიც ხშირად ძველი ავტორიტარული რეჟიმის ბრძოლაგადატანილი გადმონაშთები არიან, აცნობიერებენ, რომ წარმატების მისაღწევად საჭიროა ხალხის ეროვნული იდეის გარშემო დარაზმვა. შედეგი უცვლელად არის აგრესიული რიტორიკა და პოლიტიკა, რაც ხშირად ითრევს ქვეყნებს კონფრონტაციებსა და ომში". განა სამხრეთ ოსეთი ან აფხაზეთი ამის საუკეთესო ილუსტრაცია არ არის?

სწორედ "ეროვნული იდეის გარშემო დარაზმვის" პრობლემას ეხება წიგნის II ნაკვეთი "იდეოლოგია და ქართული საზოგადოება", რომელშიც შოთა ნადირაშვილი, ვახტანგ ერქომაიშვილი და გია ნოდია სამ განსხვავებულ მიდგომას წარმოადგენს.

სტატიაში "იდეოლოგია: ეროვნული და სხვა" გია ნოდია ამ სამი პოზიციის მომხრეებს ასე ჰყოფს: 1) სახელმწიფო იდეოლოგიის მომხრეებად; 2) ყოველგვარი იდეოლოგიის მოწინააღმდეგეებად; 3) შუალედური პოზიციის (სახელმწიფო იდეოლოგიის უარყოფა, მაგრამ სახელმწიფოს შიგნით იდეოლოგიური პლურალიზმის არსებობა) მომხრეებად. მართალია, მესამე პოზიციის მომხრე გია ნოდია თავისსავე სტატიაში დეტალურად "არკვევს ურთიერთობას" პირველ ორთან, მაგრამ მკითხველს აქვს შესაძლებლობა, უშუალოდ გაეცნოს ამ პოზიციათა წარმომადგენლების - შოთა ნადირაშვილისა და ვახტანგ ერქომაიშვილის - ნააზრევს.

შოთა ნადირაშვილის აზრით, "იდეოლოგიის საჭიროების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი სტიმული მისცა იმ იდეოლოგიებმა, რომლებსაც ავტორიტარული და იმპერიული ქვეყნები ეყრდნობიან". ამას იგი ბუნებრივ რეაქციად აღიქვამს, თუმცა საეჭვოდ მიაჩნია იმის მტკიცება, რომ "ეროვნული, სახელმწიფო ან რელიგიური იდეოლოგიები პრინციპულად შეუთავსებადია ადამიანის უფლებებთან". ავტორი აცხადებს, რომ ერთი შეხედვით ყოველგვარი იდეოლოგიისაგან დაცლილი ადამიანის უფლებების დაცვის ქარტიაც კი იცავს ადამიანის იმ ქმედებებს, რომლებიც გარკვეული ტიპის მიზნების (ანუ იდეოლოგიის) განხორციელებას ემსახურება.

შოთა ნადირაშვილის პოზიცია ეყრდნობა წანამძღვარს, რომ არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანი, არამედ ერიც წარმოადგენს სულიერ არსებას, ეგზისტენციას. ამდენად, ერსაც შეიძლება ჰქონდეს მიზნები და ამოცანები, ხოლო ხელისუფლების მიერ შემუშავებული სისტემა - ეროვნული იდეოლოგია - ამ მიზნებსა და ამოცანებს უნდა აყალიბებდეს და იცავდეს. ალბათ, მიკერძოებაში არ ჩაგვეთვლება, თუ აღვნიშნავთ, რომ ავტორი არ პასუხობს იმპლიციტურ კითხვას - რამდენად ძალუძს დროის კონკრეტულ, მცირე მონაკვეთში მოღვაწე კონკრეტულ ხელისუფლებას, ჩამოაყალიბოს ერის - დროის უსასრულოდ დიდ მონაკვეთში არსებული ორგანიზმის - მიზნები და ამოცანები. აქ გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული ხელისუფლება კონკრეტული ადამიანებისაგან შედგება. მით უმეტეს, რომ შოთა ნადირაშვილის კრიტიკის სამიზნე, იმპლიციტურად მაინც, სწორედ საკუთარი ეროვნების უარმყოფელ ცალკეულ ინდივიდთა მოთხოვნილებებისა და მიზნების გათვალისწინებით აგებული (ამერიკული) კულტურაა.

ავტორი გამოყოფს 4 ტენდენციას: 1. "ძველი მფარველის" (რუსეთის) შენარჩუნება; 2. "ახალი მფარველის" (თურქეთი, ამერიკა, გერმანია, ევროსაბჭო) ძიება; 3. ეკონომიკით (ნავთობსადენი, აბრეშუმის გზა, თხილის ბიზნესი) ქვეყნის გადარჩენა; 4. თავისუფლების მოპოვება საკუთარი მე-ს მოპოვებით, ანუ ეროვნული იდეოლოგიის



ფარიდ ზაქარია

შექმნითა და განხორციელებით. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ თავად შოთა ნადირაშვილი მე-4 ტენდენციას ემხრობა, მაგრამ აქაც რამდენიმე ლოგიკური კითხვა იბადება. თუმცა სჯობს ამ კითხვების საკუთარი თავისთვის ფორმულირება მკითხველს მივანდოთ.

ალბათ, ვახტანგ ერქომაიშვილი არ დაეთანხმება შოთა ნადირაშვილის შეფასებას, თითქოს მის მიერ ყოველგვარი იდეოლოგიის უარყოფა მხოლოდ უარყოფით ისტორიულ გამოცდილებას ემყარებოდეს. იდეოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისტორიასთან ერთად, იგი მეცნიერებასაც იყენებს, როგორც "ყალბი ცნობიერებისგან" აბსოლუტურად განსხვავებულ ფენომენს.

ავტორი იდეოლოგიის თავისებურებათა ჩამოთვლისას გამოყოფს რამდენიმე, ჩემი აზრით, საკამათო ნიშანს (ისევ ვარღვევ მიმომხილველისათვის საჭირო ნეიტრალურობის საზღვრებს - ზ.ჭ.). რატომ არის რაიმე იდეოლოგიის მიმხრობა პროვინციალიზმის ნიშანი? ან რატომ არ შეიძლება შემდეგი ტერმინებით - ტოტალიტარიზმი, ძალადობის იარაღი, აბსოლუტიზმი - დავახასიათოთ თავად მეცნიერება, ეპისტემე, საერთოდ ცოდნა? (ამ შემთხვევაში გია ნოდიას მიერ ხსენებულ მიშელ ფუკოს რომ თავი დავანებოთ, ჩემს მოკავშირედ ვიაზ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებ პოლ ფეიერაბენდის სტატიას "გალილეი და ჭეშმარიტების ტირანია - ზ.ჭ.).

ვახტანგ ერქომაიშვილი არა მხოლოდ სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობას უარყოფს, არამედ არც ცალკეული ჯგუფების - ვთქვათ, პარტიების - იდეოლოგიათა არსებობას იწონებს. მისი აზრით, "ყოველმა სოციალურმა ჯგუფმა თუ პარტიამ უნდა შეიმუშაოს მოქმედების მეცნიერული და არა იდეოლოგიური პროგრამა".

გია ნოდიას სტატია საინტერესო იქნება მათთვის, ვინც ტერმინ "იდეოლოგიის" დასაზუსტებლად თუ სხვა ტერმინით შესაცვლელად გამართულ დისკუსიებს დაუბნევია.

გია ნოდია, პირველ რიგში, იდეოლოგიების საერთოდ უარმყოფელი პოზიციის მომხრეებს ეკამათება და ქვეთავში "სირინოზთა გალობა და ანტი-იდეოლოგიური ცვილი" მკითხველს შესანიშნავ სააზროვნო ამოცანას სთავაზობს: ხშირად იდეოლოგიების დამკვიდრება არაპირდაპირად, ფარულად, ანონიმური ძალის მიერ ხდება. რათა მკითხველს ინტელექტუალური სიამოვნების პრეროგატივა არ წავართვათ, მხოლოდ ერთს დავძენთ, მეცნიერს, იმის გამო, რომ სხვაზე ორიოდე წიგნით მეტი წაუკითხავს, არანაირი უფლება არ აქვს, თუნდაც ლენინური იდეოლოგიით შეპყრობილ, ნაკლებგანათლებულ პროლეტარზე ინტელექტუალურად იძალადოს.

გია ნოდია მიიჩნევს, რომ "იდეოლოგიის, როგორც ასეთის უარმყოფელებმა კრიტიკული ჩხირები მეორად და აშკარად რეპრესიულ იდეოლოგიებს (კომუნიზმს, ფაშიზმს, რელიგიურ ფუნდამენტალიზმს) კი არ უნდა დაუმიზნონ, არამედ პირველ იდეოლოგიას - ლიბერალიზმს, ანუ იმ მოძღვრებას, რომელსაც თანამედროვე დემოკრატია ემყარება". ჩვენ შეიძლება დავძინოთ, რომ ლიბერალიზმზე შეტევებს ჩვენში, პირველ რიგში, სწორედ ეროვნული იდეოლოგიის მომხრეები ახდენენ და თანაც ისე, რომ გააზრებული არ აქვთ: მათთვის საძულველი დემოკრატიის ძირი სწორედ ლიბერალურ ტრადიციაში ძევს.

იდეოლოგიისაგან მომდინარე სერიოზულ საფრთხედ გია ნოდია მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ იდეოლოგიები "კოლექტიური მოხმარებისთვისაა განკუთვნილი". ეს კი შესაძლოა ინდივიდზე და, საერთოდ, ინდივიდუალიზმზე ზეწოლაშიც გადაიზარდოს. "ლიბერალური ტერორის" თავიდან ასაცილებლად, ავტორი იდეოლოგიების აკრძალვას კი არ გვთავაზობს, არამედ გამოსავალს ხედავს ყოველი მოქალაქის, პიროვნების მიერ საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და კოლექტიურ სამოქალაქო მოქმედებაში მონაწილეობის უნარის შეხამებაში.

თეორიული ექსკურსის შემდგომ გია ნოდია არკვევს სახელმწიფოსა და იდეოლოგიის მიმართებას, ეროვნული იდეოლოგიის არსს და დასკვნის სახით ადგენს საქართველოში იდეოლოგიის წყურვილის მიზეზებს. საიდუმლო არ არის, რომ რელიგიური ფაქტორი ამ წყურვილის არსებობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სწორედ რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართებას ეძღვნება გამოცემის მესამე ნაკვეთი. პიტერ ბერგერის სტატიის "სეკულარიზმი - ნაბიჯი უკან?" მოსდევს ქართული პრესის ფურცლებზე გამართული დისკუსია. ამ დელიკატურ თემაზე ავტორთა თვალსაზრისის წარმოდგენისას რაიმე შეცდომა რომ არ დავუშვათ (და "მავანის" რისხვა არ დავიმსახუროთ), დე ავტორებმა თავად უთხრან მკითხველს სათქმელი: "ანტი-საერო განწყობის მქონე რელიგიურ მიმართულებებს საშუალება ეძლევათ უკვე სრულიად არასარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებულ მიუღებლობაზეც უქადაგონ ხალხს", - პიტერ ბერგერი.

"შეუძლია თუ არა მართლმადიდებლობას, მართლმადიდებლურ ეკლესიას, რაიმე სახის არსებითი ზეგავლენა



პიტერ ლ. ბერგერი

მოახდინოს დღევანდელ სახელმწიფოში ურთიერთობათა იმ ტიპის ჩამოყალიბებაზე, რასაც დემოკრატია ეწოდება. ჩვენი პასუხი ცალსახაა: არ შეუძლია", - კახა კაციტაძე.

"ჩვენთვის საამაყო უნდა იყოს, რომ ჭეშმარიტებას ვფლობთ თითზე ჩამოსათვლელ ერებთან ერთად", - თამაზ გაბისონია.

"ერთი მხრივ, დღევანდელი ინტელექტუალური ელიტა ცდილობს, მართლმადიდებლური ეკლესია (მისი ყველა შესაძლო ვარიანტით) აქციოს იმ საფრთხის იმიტაციად, რომლის წინაშე ჯერ კიდევ შეიძლება დევნილი ინტელიგენტის მოწამებრივ პოზაში დგომა. ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესია უკვე არა მარტო ინტელექტუალურ ელიტას (თუკი იგი საერთოდ არსებობს), არამედ მთელ საზოგადოებას განიხილავს ეგზორციზმის იმ შესაძლო ობიექტად, რომელშიც ლეგიონია ჩაბუდებული. ძალაუფლებას, რომელსაც იკრებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, დისპოზიციური ხასიათი აქვს: რამდენადაც იზრდება მისი გავლენა საზოგადოებაში, იმდენად დამოკიდებული ხდება იგი ამ "საზოგადოებაზე", - ზურაბ ჭიაბერაშვილი.

"ეკლესიაში შეპარულ საბჭოთა ნოსტალგისტებს ის დრო ენატრებათ, როდესაც საქართველოს სსრ-ში თავისუფალი და მდიდარი კონკურენტები არ ჰყავდათ, ხოლო ხელისუფალნი უბრალო ათეისტები კი არ იყვნენ, არამედ - მართლმადიდებელი, მანდატიანი ათეისტები", - ლევან ბერძენიშვილი.

"ჩვენი ეკლესიის შეურიგებლობა, კონსერვატიზმი, დიდაქტიკური ტონი არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს", - გაგა ნიჟარაძე.

"ეკლესიაში რომ რეფორმას გაემარჯვა, საქართველო ბატონყმური მონობის მსხვერპლი აღარ გახდებოდა", - ავთო ჯოხაძე.

"დღეს ქართულ ეკლესიას უჭირს, ამიტომ მას დახმარება სჭირდება და არა კიცხვა", - თამაზ გაბისონია.

დაბოლოს, ალმანახი სრულდება ფრენსის ფუკუიამას წიგნის "ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", რეცენზიით, რომლის ავტორია პროფესორი ედუარდ კოდუა.

იმედი ვიქონიოთ, რომ საზოგადოებრივ პრობლემებზე სჯა-ბაასი არც ალმანახ "საზოგადოება და პოლიტიკის" ფურცლებზე გაშლილი დისკუსიით დასრულდება და არც ჩვენ ვიქნებით ის უკანასკნელი ადამიანები, რომელთაც ასეთი შესანიშნავი გამოცემის წაკითხვისას ბედნიერება გვხვდა წილად.

**არილი**

„...“ ლიტერატურული გაზეთი

# არილი

მერაბ აბაშიძე N94, 118, ლელი აბაშიძე N139, ლევან აბესაძე N160, 163, ზაზა აბზიანიძე N153, თამილა აბზიანიძე N30 თამარ აბრამიშვილი N89, 105, 148, 153, 157, 158, 161, 163, მურმან აბრამია N136, გოჩა აბუთიძე N48, 57 ლალი ავალიანი N3, 12 ნანა აკობიძე N48, 61, დავით აკრიანი N142, თენგიზ ალდამიძე N164 გივი ალხაზიშვილი N4, 9, 17, 29, 39, 51, 60, 73, 82, 99, 110, 111, 122, 132, 148, 154, 161, 165, ლერი ალიმონაკი N101 რატი ამაღლობელი N43, 96, 110, რუსუდან ამირეჯიბი N37, გვანცა ანანიაშვილი N88, 103 ია ანთაძე N6, 10, 12, 146, 147, 148, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 161, 164, 165, 166 დავით ანდრიაძე N27, 34, 56, 62, 66, 78, 84, 112, 119, 131, 144, 152, 155, 159, ავთანდილ არაბული N151, 152 გოგი არაბული N21 ირმა არჩუაშვილი N2, 5, 44, 148 ჯაბა ასათიანი N15, ნიკი ასათიანი N128, 130 ამირან ასანიძე N2, 120 დათო ახალაძე N13, 55, 160, ჯემალ აჯიაშვილი N19, 66, 68, 100, შალვა ბაკურაძე N109, 124, 129, 132, 134, 143, 147, 152, 164 ირაკლი ბაზაძე N15 ბესიკ ბარათელი N43 , დათო ბარბაქაძე N47, 51, 54, 65, 77, 93, თამარ ბარბაქაძე N69 ანდრო ბარნაველი N37, 47, 86, 106, ბექა ბარქაია N56, 73, 89, 102 ნელი ბატიაშვილი N74 გიორგი ბაქანიძე N77 ირინე ბაქანიძე N4 აკაკი ბაქრაძე N14, 47, 163, 164 არჩილ ბაქრაძე N28, 29, 163 თამაზ ბაძაღუა N90, 100 დალილა ბედიანიძე N13, 71, 91, 112, 116 მანანა ბეზარაშვილი N35, 58, 101, 102, 107 თამარ ბერეკაშვილი N54, 82, გია ბერაძე N163, მიხეილ ბერაძე N153, ალეკო ბერიძე N166 არჩილ ბერიძე N36, მამუკა ბერიაშვილი N161, მიხო ბეროშვილი N10, 78, ამირან ბერძენიშვილი N110, 129, თეონა ბექიშვილი N8, 30, 46, 97, 127, 142, 166, სოფო ბზიშვილი N166, ცისანა ბიბილეიშვილი N11, ტარიელ ბიბილური N84, 108, 115, ია ბიბილაშვილი N147, მამუკა ბიჭაშვილი N33, თამარ ბოკუჩავა N45, 54, 61, 82, 154, თამრიკო ბერიაშვილი N114, გიორგი ბრეგაძე N33, 39, ვაჟა ბრეგაძე N52„ ლევან ბრეგაძე N35, 60, 68, 73, 75, 77, 111, 161, ანდრო ბუაჩიძე N2, 4, 6, 15, 23, 36, 43, 44, 45, 51, 52, 58, 61, 78, 83, 95, 100, 108, 115, 116, 122, 127, 133, 136, 146, 148, 149, 152, 153, 156, 157, 162, 166, თამაზ ბუაჩიძე N7, 20, 55, 130, 156, მანონ ბულისკერია N65, ვასილ ბურკაძე N78, 151, მზია ბურჯანაძე N160, სანდრო ბურჯანაძე N2, შოთა ბუტკოვსკი N85, 99, 104, 107, ლაშა ბულაძე N60, 96, 113, 120, 126, 137, 154, ნანა ბუხსიანიძე N164, უშანგი გაბიტაშვილი N45, იამზე გაგუა N162, ნათელა გავაშელი N22, 24, 31, 35, 42, 48, 125, გიორგი გამრეკელი N147, დარეჯან გარდავაძე N53, 71, 82, 129, ვალერიან გაფრინდაშვილი N6, 59, 102, გივი გეგეჭკორი N6, 59, 60, 136, რეზო გეთიაშვილი N135, ნაირა გელაშვილი N5, 64, 65, 79, ალექსანდრე გვახარია N66, 160, გოგი გვახარია N53, ნონა გიორგაძე N88, გურამ გიორგობიანი N74, 92, 107, 116, 133, მაია გოგოლაძე N79, 132, სამუელ გოგიჩაიშვილი N136, ნანა გოგოლაშვილი N142, გიორგი გოკიელი N7, ოლეგ გოლიაძე N91, ჯილდა გორდაძე N92, ელა გოჩიაშვილი N2, 127, დიტო გოჩოლეიშვილი N48, 56, ამირან გომართელი N156, ირინე გოცირიძე , ბესიკ გოჯიაშვილი N140, ბადრი გუგუშვილი N74, ნოდარ გურაბანიძე N165, ავთო გურამიშვილი N98, პაატა გურგენიძე N102, იზოლდა გრძელიძე N137, ლევან დალაქიშვილი N68, 79, ბათუ დანელია N18, 26, 28, 150, ნინო დარბაისელი N16, ირინე დარჩია N139, ზაალ დგებუაძე N152, 159, 162, 163, ქეთი დგებუაძე N104, დიმიტრი დევდარიანი N63, ნანა დევიძე N78, 94, 111, 157, ვაკო დვალი N48, 102, 110, 112, 118, 120, 121, 122, 146, 150, 166, ირაკლი დვალი N142, მამუკა დოლიძე N59, 80, 156, 161, 166, გურამ დოჩანაშვილი N149, მირიან ებანოიძე N91, ნოდარ ებრალიძე N30, 38, 44, 60, 67, 147, 152, 164, 166, ოთარ ეგაძე N97, საშა ევგენიძე N136, მარინა ელბაქიძე N84, 127, რეზო ესაძე N62, 140, ნანა ექვთიმიშვილი N158, 162, თამაზ ექვთიმიშვილი N35, 53, 72, 80, 102, მაკა ვარაზანაშვილი N83, თამაზ ვასაძე N1, 5, 18, 42, 44, 47, 56, 57, 74, 75, 76, 100, 104, 106, 135, 146, 149, 157, 161, დიანა ვაჩნაძე N42, 127, 159, ზურაბ ვაჩნაძე N8, 10, 13, 20, 27, 33, ეთერ ვიბლიანი N146, 147, 150, 153, 154, 158, 164, ვლადიმერ ვოინა N28, 59, ნუგზარ ზაზანაშვილი N10, 81, 108, 123, 149, 152, 163, გრეგორ ზამზა N151, 157, ზურაბ ზარნელი N40, 62, გიგა ზედანია N141, დათო ზურაბიშვილი N65, 149, 157, ნინო ზურიაშვილი N146, ხათუნა ზარელუა N103, რეზო თაბუკაშვილი (უმცროსი) N39, 63, 111, ამირან თავაძე N14, 21, 25, 151, დარეჯან თავაძე N53, ზურაბ თავაძე N156, ლია თაკვარელია N71, თათია თარხნიშვილი N127, 129, 132, 146, ეთერ თვარაძე N12, 18, 157, ზაზა თვარაძე N1, 7, 20, 29, 32, 41, 52, 56, 71, 86, 93, 100, 124, 135, 146, 149, მაგალი თოდუა N66, მაია თოდუა N12, 38, 72, 100, 128, 144, ლალი თოთაძე N24, მალვინა თოიძე N59, დიმიტრი თუმანიშვილი N23, 49, მიხეილ თუმანიშვილი N164, ომარ თურმანაული N1, 140, 146, ნატო თხილავა N6, შოთა იათაშვილი N3, 6, 16, 25, 32, 46, 48, 55, 58, 73, 77, 80, 91, 100, 104, 106, 109, 112, 130, 131, 132, 140, 146, 148, 149, 152, 157, 162, 165, თამარ იაშვილი N30, 143, ქეთინო ინწკირველი N155, ნესტან იორდანიშვილი N16, თედო ისააკაძე N36, რუსუდან კაიშაური N69, 157, ნუცა კავსაძე N157, ზურაბ კაკაბაძე N151, ირაკლი კაკაბაძე N25, 51, 74, 103, ნოდარ კაკაბაძე N66, 162, ზაურ კალანდია N33, 90, რენე კალანდია N57, 104, 117, 140, ანა კალანდაძე N136, იათამზე კალანდარიშვილი N120, ინგა კალაძე N160, კახა კაციტაძე N84, 97, ოტია კახაძე N39, გიორგი კახიძე N50, რუსუდან კაიშაური N105, საბა კაჭკაჭიშვილი N143, ლალი კეკელიძე N17, 29, 63, 132, 155, მანანა კვაჭანტირაძე N8, ზაზა კვერცხიშვილი N159, ზურაბ კიკნაძე N19, 22, 25, 27, 51, 61, 63, 66, 70, 81, 89, 96, 116, 135, 147, 148, 154, 159, ემზარ კვიტაიშვილი N26, 64, 70, 77, 150, 155, 160, ანა კვიციანი N143, დავით კლდიაშვილი N95, მათე კრავეიშვილი N129, 132, 134, 138, 141, 150, 154, 156, 157, 164, თამაზ კრეტელი N140, ლეო კორბუზია N106, ედუარდ კოდუა N31, ვახტანგ კომახიძე N8, 22, 83, 149, 150, ვახუშტი კოტეტიშვილი N10, 22, 44, 50, 66, 100, 127, 160, თამარ კოტრიკაძე N64, თამარ კოშორიძე N140, კოსტა კუპრავა N144, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია N159, ზურაბ ლავრელაშვილი N5, 266 74, 89, 115, 125, ლელა ლაგაზიძე N118, ნოდარ ლადარია N134, 156, 159, 164, მალხაზ ლაღიძე N149, ასმათ ლეკიაშვილი N23, 25, 26, 27, 37, 41, 42, 45, 47, 50, 54, 71, 80, 88, 91, 99, 105, 108, 113, 114, 121, 122, 125, 136, მამუკა ლეკიაშვილი N21, 130, 139, 150, ზურაბ ლეჟავა N153, 156, 158, 161, 164, გიორგი ლობჟანიძე N33, 111, 148, 150, 153, 156, 160, თამარ ლომიძე N65, 88, მეგი ლორია N127, 151, 156, ციცი ლომიშვილი-გურიელი N107, 128, ირაკლი ლომოური N29, არჩილ მათიძე N153, 163, მერაბ მამარდაშვილი N34, 44, 159, იმირ მამედლი N162, პ. მამფორია N156, ელგუჯა მარღია N31, დიანა მაღლაკელიძე N18, თემურ მაღლაფერიძე N32, ვასილ მაღლაფერიძე N149, 150, 151, 160, დათო მაღრაძე N34, ეკა მაჭარაშვილი N103, 131, 164, გიორგი მაჭუტაძე N3, 46, 115, ლონდა მდივანი N33, ტაგუ მებურიშვილი N26, ზაზა მებადური N113, ზეზვა მედულაშვილი N4,

15, 110, ჯემალ მეხრიშვილი N23, შალვა მიზანდარი N161, 162, 163, 164, 165, 166, ინგა მილორავა N49, მაია მირიანაშვილი N46, 49, 50, 81, 86, 92, 154, 165, მაია მიქაბერიძე N121, გიგა მიქაუტაძე N155, მაკა მიქელაძე N40, 122, რატი მიქელაძე N11, 23, 37, 71, 127, თამარ მესხი N109, მიხაილ მიტა N140, ზაზა მოდებიძე N156, 161, 162, ნათია მორჩაძე N21, მიხო მოსულიშვილი N40, 686 87, ანი მოსულიშვილი N135, მამუკა მურუსიძე N101, გია მუხაძე N147, ლილი მჭედლიშვილი N7, 17, 24, 40, 52, 60, 69, 83, 87, 103, 119, 121, 124, 130, 134, 136, 137, 138, 143, 144, 150, 152, 157, 158, 164, დავით მჭედლური N106, თემურ ნადარეიშვილი N132, კოლაუ ნადირაძე N59, ნიკოლოზ ნინიკაშვილი N154, ქეთი ნიჟარაძე N69, 151, 154, შოთა ნიშნიანიძე N34, გია ნოდია N84, ნათია ნოზაძე N89, გელა ოდიკაძე N596 72, 80, 85, 100, ლელა ოდიშელი N111, გიორგი ოდიშარია N74, გურამ ოდიშარია N45, 155, გივი ორაგველიძე N117, ირაკლი ოქროსცვარიძე N142, გია პატარიძე N56, ნუგზარ პაპუაშვილი N165, ბუბა პიპინაშვილი N118, ხათუნა ჟორდანია N90, გოჩა ჟორჟოლიანი N11, 17, ლელა ჟორჟოლიანი N41, ზვიად რატიანი N1, 3, 6, 8, 12, 16, 17, 21, 28, 32, 36, 40, 54, 62, 79. 100, 113, 117, 135, 144, 146, 147, 154, 156, 158, 159, 164, 165, ნინო რატიანი N11, ზურაბ რთველიაშვილი N19, 164, მერაბ რობაქიძე N95, გურამ რჩეულიშვილი N147, შალვა საბაშვილი N27, ნინო საითიძე N82, 133, მამუკა სალუქვაძე N53, ზაალ სამადაშვილი N12, 25, 34, 46, 47, 55, 61, 65, 72, 78, 90, 114, ლელა სამნიაშვილი N49, 67, 98, 127, 129, 148, 151, 154, 155, 158, 159, 160, 163, 166, მაია სარიშვილი N52, 68, 87, 137, 153, 163, გია სიამაშვილი N152, სანდრო სილაბიძე N152, 154, 160, რევაზ სირაძე N162, ლადო სეიდიშვილი N58, 86, მადი სერებრიაკოვა N102, 139, 147, 153, 155, ნინო სვანიძე N13, 15, მერაბ სვანიძე N85, ნოდარ სვანიძე N66, ბესო სოლომანაშვილი N14, 15, ირაკლი სოლომანაშვილი N50, 97, სოზარ სუბელიანი N146, სოზარ სუბარი N147, 148, 156, თამარ სუხიშვილი N159, ლია სტურუა N20, რობერტ სტურუა N82, ბაკურ სულაკაური N11, თამარ სუხიშვილი N134, დავით ტაკიძე N38, თამუნა ტაბახმელაშვილი N151, ჯუანშერ ტიკარაძე N9, 101, დათო ტურაშვილი N18, 42, მერი ტიტვინიძე N116, 118, მანანა ტურიაშვილი N70, გელა ურთმელიძე N40, 48, 55, გურამ ფანჯიკიძე N51, დალი ფანჯიკიძე N153, 164, ზაზა ფირალიშვილი N10, 39, 66, 93, 136, 151, 152, 159, ინგა ფალიანი N126, ზაზა ფაჩუაშვილი N146, 148, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 164, 166, მარინე ფერაძე N155, ნინო ფირცხალავა N96, 128, 151, 152, ნუცა ქათამაძე N98, თამუნა ქავთარაძე N119, დავით ქართველიშვილი N163, ზურაბ ქარუმიძე N27, ჯემალ ქარჩხაძე N9, 10, 161, ეკა ქევანიშვილი N161, მიხეილ ქვლივიძე N53, 61, 70, 73, 95, 104, 113, 123, 129, 136, 166, გერონტი ქიქოძე N92, გიორგი ქორიძე N105, ბექა ქურხული N11, 106, ეკა ღაღანიძე N155, მერაბ ღაღანიძე N59, 64, 69, 74, 75, 77, 79, 80, 81, 82, 83, 87, 88, 90, 92, 94, 96, 97, 99, 101, 102, 107, 109, 113, 115, 116, გვანცა ღვინჯილია N71, 75, ლანა ღოღობერიძე N36, მარინე ყიფიანი N17, ლია ყიფიანი N136, ვანო ყვავილაშვილი N128, სალომე ყუბანეიშვილი N22, 124, 161, აკაკი ყულიჯანიშვილი N22, ზაზა შათირიშვილი N84, 145, ნოდარ შამანაძე N153, შადიმან შამანაძე N2, 146, შორენა შამანაძე N132, მაკა შანიძე N23, ნანა შარაშიძე N93, ნუგზარ შატაიძე N3, 19, 123, 155, გივი შაჰნაზარი N111, 112, 136, ვანო შატბერაშვილი N95, 150, ზაალ შენგელია N7, 39, 43, რომან შენგელია N57, 65, დათო შიომღვდლიშვილი N67, 76, 88, 112, ელენე შიომღვდლიშვილი N142, თეა შურღაია N160, ალეკო შუღლაძე N105, 114, 117, 120, 123, 125, 128, ბაჩუკი ჩაბრაძე N80, გიორგი ჩართორლანი N61, 67, მირანდა ჩარკვიანი N34, 83, თამაზ ჩაჩავა N4, ბელა ჩეკურიშვილი N49, 68, ირენა ჩემერესი N157, ნესტან ჩერქეზიშვილი N136, თამარ ჩიქოვანი N96, სიმონ ჩიქოვანი N17, დავით ჩიხლაძე N7, 47, 56, ლია ჩლაიძე N36, როსტომ ჩხეიძე N15, 24, 31, 37, 45, 78, 87, 99, თამაზ ჩხენკელი N56, 66, 78, 92, 136, თემურ ჩხეტიანი N41, 57, 75, 92, 156, 160, სოფიკო ჩხუმიანი N45, 155, ლალი ცერცვაძე N73, 108, ელიზბარ ცისკარიშვილი N42, მამუკა ცეცხლაძე N104, ალეკო ცქიტიშვილი N49, 72, 150, 164, ნელი ცქიტიშვილი N20, 49, თამარ ცხოვრებაძე N133, კობა ცხაკაია N138, 143, დავით წერედიანი N6, 161, დიმიტრი წიკლაური N98, ბელა წიფურია N91, ხათუნა წულაძე N35, ეკა ჭავჭავაძე N138, ბექა ჭახელიძე N36, 44, 55, 72, 75, 82, 93, 101, 121, 129, 139, 166, ზეზვა ჭანტურია N105, რეზო ჭეიშვილი N13, 28, 104, ზაზა ჭილაძე N16, 59, 85, ოთარ ჭილაძე N2, გივი ჭიჭინაძე N58, ზურაბ ჭუბაბრია N70, 98, 119, ანა ჭუმბურიძე N46, ხათუნა ხაბულიანი N32, 50, 54, 71, 160, დუდა ხაზარაძე N143, მიხო ხარაძე N35, 38, 41, 93, 94, 119, 131, 145, 162, ბესიკ ხარანაული N147, 165, მალხაზ ხარბედია N1, 2, 3, 5, 9, 14, 18, 28, 44, 51, 73, 66, 78, 79, 85, 87, 100, 117, 122, 127, 128, 129, 130, 131, 133, 138, 141, 146, 148, 150, 152, 153, 154, 155, 156, 158, 159, 164, ავთო ხეთანელი N158, მერაბ ხერგიანი N166, ბესო ხვედელიძე N97, 109, 117, 126, 131, 134, 135, 139, 144, 148, 149, 151, 162, გია ხომერიკი N114, დალი ხუციშვილი N78, თინიკო ხუტურიძე N162, ლადა ჯავიში N25, ბაირა ჯაიანი N114, კახა ჯამბურია N161, დავით ჯანდიერი N9, 12, 20, 29, 42, ბასა ჯანიკაშვილი N24, 31, 62, 76, 128, 151, 155, 160, 164, ანასტასია ჯაფარიძე N152, გია ჯაფარიძე N38, 81, ზაალ ჯინჭარაძე N136, ბექა ჯგუბურია N64, მურმან ჯგუბურია N43, ოთარ ჯიოთი N30, 56, 69, ქეთი ჯიშიაშვილი N19, 166, მაია ჯორჯაძე N63, ავთანდილ ჯოხაძე N5, 120.

არილი

(100) ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი

The Weekly Literary Newspaper

აბუ ლ-ათაჰია N13, აბუ ლ-ალა ალ მაარი N13, აბუ ნუვასი N13, აბუ საიდი N10,13, ენდრე ადი N91, პოლ აზარი N66, გენადი აიგი N140, აქრამ აილისლი N15, უენდა აკინარი N83, აკუტაგავა რიუნოსკე N77, ჯენიფერ ალენი N130, ისაბელ ალიენდე N155, ბორის ალმაზოვი N77, კარენ ანდერსონი N21, პოლ ანდერსონი N21, შერვუდ ანდერსონი N44, ინოკენტი ანენსკი N10, ანსარი N13, ჯონ აპდაიკი N38, ჰოსეინ არეზუ N66, ფილიპ არიესი N59, ანტონენ არტო N66, 104, სუდაბე აშური N66, კრისტინ აშერი N125, ანა ახმატოვა N36, 76, 95, 127, აბდოლ რაჰიმ აჰმადი N160, ანდრე ბაზენი N107, მერი ბარეტი N7, რობერტ ბარტი N121 , როლან ბარტი N122, 141, ინგებორგ ბახმანი N153, მიხაილ ბახტინი N44, ჯონ ბეინსი N5, სემუელ ბეკეტი N14, 164, ანდრეი ბელი N137, მერვინ ბელი N49, გოტფრიდ ბენი N26, ალექსანდრ ბენიცკი N77, სიბილე ბერგი N164, ინგმარ ბერგმანი N63, ნიკოლაი ბერდიაევი N72, 82, 116, 121, 139, უილიამ ბეროუზი N154, ბერნარდო ბერტოლუჩი N104, 128, ჰაინრიხ ბიოლი N13, 39, 92, მორის ბლანშო N146, ალექსანდრ ბლოკი N104, ერიკ ბლონდელი N163, რობერტ ბლოჰი N15, ემი ბლუმი N130, 138, შარლ ბოდლერი N36,

53, ჟან ბოდრიიარი N18, ივ ბონფუა N155, იოჰან ბორ-
გენი N93, 94, 149, ვოლფგანგ ბორხერტი N78, ხორხე
ლუის ბორხესი N7, 11, 30, 43, 71, 83, 158, ბო ძიუ-ი N66,
რეი ბრედბერი N64, ანა ბრენკენი N111, ანდრე ბრეტო-
ნი N89, იოსიფ ბროდსკი N10, 44, 52, 78, 100, 137, 148,
150, 165, მარტინ ბუბერი N96, ჩარლზ ბუკოვსკი N90,
სერგეი ბულგაკოვი N40, 136, ევგენი ბუნიმოვიჩი N52,
ივან ბუნინი N24, 52, 96, ანჟეი ბურსა N56, რუდი
დორნბუში N156, რიჩარდას გავიალისი N157, ანტუან გა-
ლიმარი N128, მარკო განჩევი N75, გაბრიელ გარსია
მარკესი N48, გიორგი გაჩევი N6, ალექსანდრ გენისი
N105, ლიდია გინზბურგი N127, ალენ გინსბერგი N154,
ლეოპოლდ ფრიდრიჰ გიუნთერ ფონ გიოკინგკი N75, 77,
თომას გიუნთერი N51, დაგლას გლოვერი N126, ჟან ლუკ
გოდარი N56, იოჰან ვოლფგანგ გოეთე N75, 77, ივან
გოლი N65, მიროსლავ გოლუბი N132, თეოფილ გოტიე
N80, მარტინ გოფი N144, გიუნთერ გრასი N142, სარა
გრესი N127, ჰენრიკ გრინბერგი N132, მარიანა გრუბე-
რი N132, ტონინო გუერა N156, ნიკოლაი გუმილიოვი
N22, 76, 100, სალვადორ დალი N72, გაბრიელე დ'ანუნ-
ციო N164, კარლ დედეციუსი N38, კინ დეი N6, გრაცია
დელედა N156, ლიზა სენტ ოუბინ დე ტერენი N119, მი-
რიამ ალენ დეფორდე N24, ემილი დიკინსონი N3, 49,
ჰაიმოტო ფონ დოდერერი N46, მინონ ე.ებერჰარტი N30,
ბერნარ ედელმანი N163, ევგენი ევტუშენკო N68, ჩარლზ
ეინსტეინი N10, უმბერტო ეკო N65, 119, 134, 149, მირჩა
ელიადე N74, ტომას სტერნზ ელიოტი N1, 8, 21, 32, 54,
135, 153, პოლ ელუარი N36, იუნუს ემრე N41, ჰანს მაგ-
ნუს ენცენსბერგერი N93, მიხაილ ეპშტეინი N83, მარგა-
რეტ ეტვუდი N163, ანჯეი ვაიდა N38, პიოტრ ვაილი
N51, 105, 126, პოლ ვალერი N128, 144, რობერტ ვალზე-
რი N154, ფრიდრიჰ ვალნერი N96, არვო ვალტონი N63,
ნაჯაფ ვაჰიდი N66, ორჰან ველი N41, ვიმ ვენდერსი
N56, თომას ვენცლოვა N157, პოლ ვერლენი N6, 36, 80,
ჟან პიერ ვერნანი N159, ანა ვიაზემსკაია N104, სვამი ვი-
ვეკანანდა N143, მიკოლა ვინგრანოვსკი N70, ნორბერტ
ვინერი N81, ალფრედ დე ვინი N60, პოლ ვირილიო N28,
მანუელ ვისენტი N166, ივლინ ვო N59, მაქსიმილიან ვო-
ლოშინი N22, ვირჯინია ვულფი N26, 99, 107, ანდრე
ვურმსერი N148, ნელი ზაქსი N19, ტომას ვულფი N23,
გეორგ ზიმელი N104, მიხაილ ზოშჩენკო N17, 44, 166,
რაბინდრანათ თაგორი N36, 66, გოლი თარაყი N160,
ჯეიმს თარბერი N54, 74, გეორგ თრაკლი N65, 79, ელ-
ენა იაკოვიჩი N51, იაროსლავ ივაშკევიჩი N125, მარია
იანდონი N38, შელომო იბნ გებიროლი N19, იგორ იარ-
კევიჩი N136, უილიამ ბატლერ იეიტსი N32, ურს იენი
N110, იურგა ივანაუსკაიტე N94, გიორგი ივანოვი N58,
76, ვიაჩესლავ ივანოვი N44, 136, ვსევოლოდ ივანოვი
N44, ალექსეი ილიჩევსკი N77, თომას ინჯი N85, ერ-
ლანდ იოზეფსონი N133, ეჟენ იონესკო N29, 56, ბირუ-
ტე იონუშკაიტე N157, ატილა იოჟეფი N116, კარლ გუს-
ტავ იუნგი N29, ერნსტ იუნგერი N164, აინ კაალეპი
N122, ნიზარ კაბანი N34, ალექსანდრ კაბაკოვი N136, ის-
უნარი კავაბატა N60, 158, კონსტანტინოს კავაფისი N106,
იტალო კალვინო N134, 149, ედვარდ ესთლინ კამინგსი
N8, ალბერ კამიუ N12, 16, 44, 161, ელიას კანეტი N33,
იან კაპლინსკი N122, რაიმონდ კარვერი N152, ფილიპო
კარიამიჩი N124, ადოლფო ბიოი კასარესი N147, იგნაც
ფრანც კასტელი N75, ვალტერ კაუერი N49, ფრანც კაფ-
კა N46, 86, 115, 145, მარია ლუიზა კაშნიცი N47, ლუის
კეროლი N7, ჯეკ კერუაკი N154, რედიარდ კიპლინგი
N32, 66, 135, სიორენ კირკეგორი N70, ტომ კლენსი N23,
ჯონ სპარტაკ კლიმსი N11, ჰანა კოვალევსკა N35, 48,
ჯონ კოლიერი N23, 32, 38, 39, სემუელ ტეილორ კოლ-
რიჯი N105, საულიუს თომას კონდროტასი N78, ჯოზეფ
კონრადი N105, ანდრე კონტ-სპონვილი N30, ლევ კოპე-
ლევი N73, გრეგორი კორსო N154, ხულიო კორტასარი
N161, 162, 163, 164, 165, 166 , ივან კოტლიარევსკი N120,
მარგარეტ კრაიდლი N158, ედმუნდ კრისპინი N2, 3, 4,
8, აგათა კრისტი N27, ჟაკ კრუაზე N145, მარცინ კრუ-
ლი N146, მიხაილ კუზმინი N99, ვიქტორ კული N140,
ალექსანდრ კუპრინი N38, ემირ კუსტურიცა N129, პერ
ლაგერკვისტი N11, 44, ურსულა ლეგუინი N105, კარინ
ლეიდეკერი N106, ჟან-მარი გ.ლე კლეზიო N88, სტანის-
ლავ ლემი N38, 120, 145, რიჩარდ ლენგი N50, ზიგფრიდ
ლენცი N10, ჯაკომო ლეოპარდი N90, მიხაილ ლერმონ-
ტოვი N58, ლუის ლერჯენმილერი N91, გოთჰოლდ ეფ-
რაიმ ლესინგი N75, 77, ასტრიდ ლინდგრენი N148, უგო
ლინდო N74, მარიო ვარგას ლიოსა N142, 145, ეჟი ლი-
სოვსკი N38, დმიტრი ლიხაჩოვი N136, ჰენრი უოდსუ-
ორთ ლონგფელო N3, ჯეკ ლონდონი N40, ფედერიკო
გარსია ლორკა N114, ლევ ლოსევი N126, იური ლოტმა-
ნი N156, ლოტრეამონი N53, ჯეიმს ლოუელი N49, რო-
ბერტ ლოუელი N153, 165, სთივ ლუთრელი N112, ვლა-
დიმირ მაიაკოვსკი N68, აპოლონ მაიკოვი N75, იუსტი-
ნას მარცინკევიჩუსი N111, მაკარი ეგვიპტელი N46, სტე-
ფან მალარმე N59, ოსიპ მანდელშტამი N19, 22, 687 100,
თომას მანი N44, ჰენრი მანრო N23, 54, მარიამ მანსუ-
რი N66, აიმე მარიპუუ N104, მიხაელ მარმარინოსი N139,
მარცელიუს მარტინაიტისი N157, მარკუს ვალერიუს მარ-
ციალი N75, 77, ედგარ ლი მასტერსი N8, სომერსეტ მო-
ემი N113, მასუდ სად სალმანი N10, N100, ნაჯიბ მაჰფუ-
ზი N29, 53, 82, გუსტავ მეირინკი NN87, 124, აირის
მერდოკი N127, დმიტრი მერეჟკოვსკი N154, მორის მე-
ტერლინკი N142, ჰენრი მილერი N41, 55, ჩესლავ მილო-
ში N38, 148, 153, დიმიტრი მინაევი N77, მიხაილ მიტა
N140, ალფრედ დე მიუსე N80, მიქელანჯელო ბუონარო-
ტი N90, ალექსანდრ მიხაილოვი N151, სტოიან მიხაილოვ-
სკი N77, ეუჯენიო მონტალე N90, ფრანსუა მორიაკი
N27, ჯიმ მორისონი N54, ანდრე მორუა N9, სლავომირ
მროჟეკი N162, ვლადიმირ ნაბოკოვი N76, 96, 100, 145,
სიმიონ ნადსონი N58, მაჰდიე ნაზარი N66, ვიტეზსლავ
ნეზვალი N43, ტატიანა ნიკოლსკაია N102, ნიზამი გან-
ჯელი N10, მოჰამადალი ესლამი ნოდუშანი N160, თადე-
უშ ნოვაკი N22, ნოვალისი N6, უისტენ ჰიუ ოდენი N32,
პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი N162, მორის ოლენდერი
N49, რიჩარდ ოლდინგტონი N114, ხოსე ორტეგა-ი-გასე-
ტი N139, ომარ იბნ აბუ რაბია N13, ომარ ხაიამი N10,
13, 66, ედუარდ ოლბი N146, რობერტ ოლტმენი N152,
რობერტ ოპენჰეიმერი N66, აგნეშკა ოსეცკა N38, მენ
პალ ოშერი N11, მილორად პავიჩი N143, პიერ პაოლო
პაზოლინი N69, 156, ჯოვანი პაპინი N130, 151, ბორის პა-
რამონოვი N154, დოროთი პარკერი N121, 125, ოქტავიო
პასი N127, 133, 147, 152, 160, ბორის პასტერნაკი N44,
68, 76, ეზრა პაუნდი N8, 28, ფერნანდო პესოა N6,
ფრანჩესკო პეტრარკა N19, ლუდმილა პეტრუშევსკაია
N5, ლუიჯი პირანდელო N159, სილვია პლათი N67, 98,
127, 163, ედგარ ალან პო N3, 128, ჟან-ჟაკ პოლე N153 ,
ვალენტინა პოლუხინა N138, ჟაკ პრევერი N12, 36, 72,
100, დმიტრი პრიგოვი N112, ბოლესლავ პრუსი N42, ალ-
ექსანდრე პუშკინი N58, 75, 112, 136, ჟერარ ჟენეტი N131,
141, 158, ანდრე ჟიდი N44, დმიტრი რადიშჩევსკი N51,
რადჰაკრიშნანი N66, რადოი რალინი N75, ბერტრან რა-
სელი N163, აჰმად რაჯაბი N48, ევგენი რეინი N51, არ-
ტურ რემბო N80, იოანა რემედიაკი N139, ჟიულ რენა-
რი N92, ქარიმ რეჯებ ზადე N66, მიხაილ რიკლინი N118,
რაინერ მარია რილკე N10, 19, 44, 50, 62, 90, 100, ალ-
იფა რიფათი N137, ჯეკ რიჩი N14, იანის რიცოსი N109,

ალენ რობ-გრიე N65, ვასილი როზანოვი N44, რომენ როლანი N66, რიჩარდ რორტი N79, ანდრეას როსმანი N80, თადეუშ რუჟევიჩი N31, 125, ჯალალ ედ-დინ რუმი N13, 55, პაულ-ერიკ რუმო N122, საადი შირაზელი N9, სუად ელ-საბაჰი N25, ლუ ანდრეას-სალომე N163 , ალი სამადიანი N66, უილიამ საროიანი N12, 17, ჟან პოლ სარტრი N20, ტერუჰირო სასაკი N136, კამილო ხოსე სელა N45, კარლ სენდბერგი N8, სოჰრაფ სეფეჰრი N156, 160, ჩარლზ სიმიკი N150, ლაიზა სკოტი N11, 127, პიერ სოლოგუბი N11, ფილიპ სოლერსი N163, სიუზენ სონტაგი N100, 104, 130, 131, 132, 141 , ვლადიმირ სოროკინი N143, ჯორჯ სოროსი N150, ალექსეი სოფრონოვი N52, იურატე სპრინდიტე N157, ლეოპოლდ სტაფი N2, ირვინ სტეტნერი N149, დერ სტინი N144, ჯორჯო სტრელერი N109, მარკ სტრენდი N73, კლოდ ლევი-სტროსი N138, გჟეგოჟ სტრუშიკი N24, დაგ სულსტადი N151, სილვია ბარონ სუპერვილი N158, ანტონიო ტაბუკი N134, ნედრა ტაიერი N18, ისიკავა ტაკუბოკუ N96, ანდრეი ტარკოვსკი N63, 114, 117, 120, 123, 125, 128, ნადეჟდა ტეფი N82, 133, ფიოდორ ტიუტჩევი N58, 96, დილან ტომასი N32, 100, ემა ტოპოლი N51, ბრუნო ტორნეზი N134, 164, ტუმას ტრანსტრიომერი N57, უილიამ ტრევორი N157, ჰერბერტ უელსი N101, 102, ელვინ უაითი N45, უილიამ კარლოს უილიამსი N8, უოლტ უიტმენი N3, 36, 58, მიგელ დე უნამუნო N118, ელის უოკერი N2, დერეკ უოლკოტი N138, ანდრეი ფადეევი N164, ჰაბიბოლა ფეიამი N66, ფედერიკო ფელინი N103, 122, პატრიკ ფელონი N102, ლორენს ფერლინგეტი N154, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი N19, 37, 47, 122, უილიამ ფოლკნერი N16, 44, 85, დარიო ფო N134, ფორდ მედოქს ფორდი N113, 166, ედუარდ მორგან ფორსტერი N8, ჟორჟ ფრადიე N66, სემიონ ფრანკი N136, მაქს ფრიში N92, ერიხ ფრომი N47, რობერტ ფროსტი N8, 100, 150, მიშელ ფუკო N141, ლუდვიგ ფულდა N77, კარლოს ფუენტესი N103, 132, ფრენსის ფუკუიამა N153, სტივენ ქრეინი N3, ფილიპ შარდენი N153, ფრიც შახერმაირი N66, ზინაიდა შახოვსკაია N136, რობერტ შეკლი N89, რენატა შერელიტე N157, ლევ შესტოვი N44, ვისლავა შიმბორსკა N38, 61, 127, ალექსეი შიშოვი N51, ვილჰელმ შმიდი N155, არტურ შნიცლერი N77, ირვინ შოუ N41, ერიჰ ფონ შტროჰაიმი N121, ვოლფგანგ შუსელი N147, გილბერტ კით ჩესტერტონი N12, 18, ანტონ ჩეხოვი N75, ჯონ ჩივერი N25, 42, 50, 71, 80, 88, 108, ემილ მიშელ ჩორანი N87, 146, კორნეი ჩუკოვსკი N108, პაულ ცელანი N113, 146, 158, შტეფან ცვაიგი N21, 44, მარინა ცვეტაევა N22, 36, 127, დანიილ ხარმსი N98, გეირ ხიეტსო N44, ხუან რამონ ხიმენესი N96, ვლადისლავ ხოდასევიჩი N76, 95, ვლადიმირ ხოროსი N151, ნინა ხრუშჩოვა N155, მუსტაფა ჯამშიდი N66, დონალდ ჯასტისი N49, ჯებრან ხალილ ჯებრანი N57, დეინა ჯოია N13, 15, ჯეიმს ჯოისი N137, ვაცლავ ჰაველი N103, 158, მარტინ ჰაიდეგერი N37, იოჰან ჰაიზინგა N84, იეჰუდა ჰალევი N66, რობერტ ჰამფრი N80, თომას ჰარდი N49, რიჩარდ ჰ.ჰარდუიკი N26, ჰენრი ჰარისონი N33, ფერიდე ჰასანზადე N66, იენს რობერტ ჰაუსი N49, ჰაფეზი N10, 66, ოლდოს ჰაქსლი N35, აჰმედ ჰაშიმი N41, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი N156, ერნესტ ჰემინგუეი N56, 106, ჰერმან ჰესე N33, 44, 50, 71, 81, 117, შეიმას ჰინი N3, 37, ვიქტორ ჰიუგო N80, ლენგსტონ ჰიუზი N129, ტედ ჰიუზი N32, 159, ნაზიმ ჰიქმეთი N41, მარეკ ჰლასკო N150, ედვარდ ჰოკი N10, 35, ბერნარდ ჰოლანდი N114, ჯონ კლელონ ჰოლმსი N154, ოდონ ფონ ჰორვათი N3, ვლადიმირ ჰოროვიცი N114, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი N92, ტაჰა ჰუსეინი N71.

## პერსონალური

"თამაზ ბაძალუა" - N90, 1997, 13 ნოემბერი
"კონსტანტინოს კავაფისი" - N106, 1998, 7 მაისი
"ლენგსტონ ჰიუზი" - N129, 1999, 11 თებერვალი
"ოქტავიო პასი" - N133, 1999, 8 აპრილი
"ტომას სტერნზ ელიოტი" - N135, 1999, 20 მაისი
"დერეკ უოლკოტი" - N138, 1999, 30 ივნისი
"კლოდ სიმონი" - N140, 1999, 6 ოქტომბერი
"გენადი აიგი" - N140, 1999, 6 ოქტომბერი
"გიუნტერ გრასი" - N142, 1999, 3 ნოემბერი
"მილორად პავიჩი" - N143, 1999, 17 ნოემბერი
"ვლადიმირ სოროკინი" - N143, 1999, 17 ნოემბერი
"პაულ ცელანი" - N146, 2000, 17 თებერვალი
"რობერტ ფროსტი" - N150, 2000, 13 აპრილი
"ზურაბ კაკაბაძე" - N151, 2000, 27 აპრილი
"რაიმონდ კარვერი" - N152, 2000, 11 მაისი
"ტომას სტერნზ ელიოტი" - N153, 2000, 26 მაისი
"იზაბელ ალიენდე" - N155, 2000, 22 ივნისი
"ტონინო გუერა" - N156, 2000, 6 ივლისი
"ხორხე ლუის ბორხესი" - N158, 2000, 28 სექტემბერი
"ჯემალ ქარჩხაძე" - N161, 2000, 4 ნოემბერი
"ზლავომირ მროჟეკი" - N162, 2000, 7 დეკემბერი
"ერნსტ იუნგერი" - N164, 2001, 18 იანვარი
"რობერტ ლოუელი" - N165, 2001, 8 თებერვალი
"ზალმან რუშდი" - N166, 2001, 22 თებერვალი

## თემატური

"რუსული ლიტერატურა - დოსტოევსკიდან ბროდსკიმდე" - N44, 1996, 30 ნოემბერი
"აღმოსავლეთი - დასავლეთი" - N66, 1997, 15 მაისი
"ლიტერატურული ასოციაცია "ფავონიუსი" - N84, 1997, 2 ოქტომბერი
"უილიამ ფოლკნერი - 100" - N85, 1997, 9 ოქტომბერი
"ქალი - ეროსი - ლიტერატურა" - N127, 1999, 14 იანვარი
"ეკო და მისი ძმები" - N134, 1999, 22 აპრილი
"ალექსანდრ პუშკინი - 100" - N136, 1999, 3 ივნისი
"ბლუმსდეი" - N137, 1999, 16 ივნისი
"როლან ბარტი - ავტორის სიკვდილი" - N141, 1999, 20 ოქტომბერი
"ვლადიმირ ნაბოკოვი - 100" - N145, 1999, 29 დეკემბერი
"ბორხესი და მისი თანაავტორები" - N147, 2000, 2 მარტი
"დოსტოევსკი - ენა, ქრისტე თუ ჭეშმარიტება" - N148, 2000, 16 მარტი
"გივი გეგეჭკორის ხსოვნას" - N152, 2000, 11 მაისი
"გიორგი ლეონიძე - 100" - N153, 2000, 26 მაისი
"თემატური ქალაქი - პრაჰა" - N153, 2000, 26 მაისი
"პოსტმოდერნი და "ისტორიის დასასრული" - N153, 2000, 26 მაისი
"ბიტ თაობის დასასრული" - N154, 2000, 8 ივნისი
"მეზობელი ინტელიგენტები" - N154, 2000, 8 ივნისი
"ლიტვური დივერტისმენტი" - N157, 2000, 14 სექტემბერი
"მერაბ მამარდაშვილი - 70" - N159, 2000, 12 ოქტომბერი
"ირანულ-ქართული მუნასიბი" - N160, 2000, 26 ოქტომბერი
"ნიცშეს საუკუნე" - N163, 2000, 21 დეკემბერი
"მიხეილ თუმანიშვილი - 80" - N165, 2001, 8 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE


არილი